პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში—ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა ხანგრძლივობის ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

შაბათი, 18 ივნისი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 137 (1882)

დღიური

— ბრიუსელში (ბელგია) გაიხსნა საბჭოთა წიგნის გამოფენა.

— საფრანგეთი ალიერებს სამხედრო გემების მშენებლობას.

— გადადგა პეკინის მთავრობის თავმჯდომარე; ახალ პრემიერათ დანიშნულია პან-ფუ.

— ოპოზიციის გამოსვლების შემდეგ, რენოდელმა განაცხადა, რომ გავა ცენტრ. კომიტ. შემადგენლობიდან.

— რემედასმა დახმარება გაუგზავნა ბელორუსიის დამშეულ რაიონის გლეხობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემბერლენის დამარცხება

როგორც მოსალოდნელი იყო, ჟენევის მოლაპარაკების მთავარ საგანს ინგლის-საბჭოთა კონფლიქტით შექმნილი მდგომარეობა შეადგენდა. სხვადასხვა სახელმწიფოთა მთავრობებმა გამოაშკარავეს თავისი პოზიცია ლონდონის ანტისაბჭოთა პოლიტიკისადმი. თუმცა ეს პოზიცია საკმაოდ გამოირკვა ინგლისის მიერ ჩვენთან ურთიერთობის გაწყვეტის მომყოლ დღეებში—თითქმის ყველა გაიმიჯნა ჩემბერლენის ავანტიურისაგან, მაგრამ ინგლისის მთავრობას ასეთი დამარცხების შემდეგაც „ფარ-ხმალი“ არ დაუყრია. ჩემბერლენი კვლავ შეეცადა მთლიანი ანტისაბჭოთა იმპერიალისტურ ბლოკის შეკოწიწებას.

შემთხვევითი არ ყოფილა, რომ თავდასხმა ლონდონის საბჭოთა წარმომადგენლობაზე და ჩვენთან დამოკიდებულების გაწყვეტა მოხდა ერთა ლიგის საბჭოს სესიის გახსნის წინ, ისე როგორც შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ ჩემბერლენის მიერ თებერვლის ცნობილ ნოტის გამოგზავნა წინ უსწრებდა ერთა ლიგის საბჭოს მარტის სესიას: მას უნდოდა სხვა ქვეყნები „მომხდარი ფაქტის“ წინაშე დაეყენებია და მათზე ზეგავლენა მოეხდინა საბჭოთა კავშირთან მათ მიერ დამოკიდებულების გართულების აზრით.

რ[illegible] უწყებოდენ, ჩემბერლენი ამ ხან[illegible]ში ჩასულა რაღაც ახალი წი[illegible]ათით, რომელთა მიზანი იყო დასა[illegible]ის ქვეყნების ინტერესთა წინააღმდეგობის შენელება, მათ მიმართ ზოგიერთ დათმობაზე წასვლა, რომ ამ გზით აემხედრებია ისინი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამ მიზნით გაიმართა მთავარ კაპიტალისტურ სახელმწიფოების გარეშე საქმეთა მინისტრების საიდუმლო თათბირი. ამ თათბირის შესახებ შემდეგი ზოგადი და ძუნწი ცნობა იქნა გამოქვეყნებული: „ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, იაპონიის, იტალიის და ბელგიის წარმომადგენლები შეიკრიბენ, რომ გაეზიარებიათ ერთი მეორისათვის აზრი ამ ქვეყნებისათვის საინტერესო პოლიტიკურ საკითხების შესახებ. შემდგომი მოლაპარაკება გაგრძელდება“. გარდა ამისა, ამაზე წინ ცალ-ცალკე მოლაპარაკება გაიმართა ჩემბერლენ-ბრიანსა და ჩემბერლენ-შტრეზემან შორის. ყველა ფაქტები იმას მეტყველებენ, რომ ამ თათბირებზე ვერ მიაღწიეს რაიმე შეთანხმებას საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების საკითხში, უფრო სწორად: ინგლისის წარმომადგენელს ანტისაბჭოთა კამპანიაში არ გაჰყვენ დანარჩენ სახელმწიფოთა დელეგატები.

ჯერ ერთი, ამას მოწმობს თვით ზევით მოყვანილი ცნობა: ის მოკლებულია რაიმე კონკრეტიულ შინაარსს და ეს აიხსნება არა მარტო დიპლომატიური საიდუმლოების დაცვის მოსაზრებებით, არამედ უფრო მეტად იმით, რომ თათბირის მონაწილენი ვერ მორიგდენ. გარდა ამისა, წინააღმდეგ დაპირებებისა, „შემდგომი მოლაპარაკება“ არ შემსდგარა, ცხადია, იმიტომ, რომ გამოირკვა შეთანხმებისათვის ნიადაგის უქონლობა. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი „პატარა“ ფაქტი: ბრიანი გაემგზავრა პარიზში ისე, რომ წასვლის წინ მისი ნახვა შტრეზემანმა ვერ მოახერხა. ამან საყოველთაო ყურადღება მიიქცია. ეს გასაგებია,—ვინაიდან იგი მოწმობს საფრანგეთ-გერმანიის ინტერესთა შეურიგებლობას. საქმე ის არის, რომ ერთა ლიგის ეხლანდელ სესიაზე უნდა გადაწყვეტილიყო საოკუპაციო ჯარებისაგან რეინლანდის დაცლის საკითხი. გერმანია ამას დაჟინებით მოითხოვდა. მაგრამ არამც თუ ამ ოლქის გერმანიისათვის დაბრუნების შესახებ არ იქნა გამოტანილი დადგენილება, არამც თუ საოკუპაციო ჯარების რიცხვის შემცირების საკითხიც ვერ გადაიჭრა,—ის გადადებულ იქნა და უნდა მოწესრიგდეს ჟენევის სესიის შემდეგ დიპლომატიური მოლაპარაკების გზით.

ცხადია, რომ ჩემბერლენი რეინის ოლქის საკითხის გერმანიის სასარგებლოდ გადაჭრით ფიქრობდა უკანასკნელის გადაბირებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა. ამასთან, ორივე მხარე—საფრანგეთი და გერმანია—არჩევენ ერთმანეთთან პირდაპირი მოლაპარაკების საშუალებით მოაგვარონ დავა, თუ საერთოდ ეს შესაძლებელი გახდება, და არავის სურს ინგლისის მთავრობას მიაკუთნოს არბიტრობა ამ საქმეში, ვინაიდან ეს მათ ლონდონის ქვეშ მოაქცევდა.

საერთოდ გერმანიის ჩასაბმელად ანტისაბჭოთა ფრონტში ჩემბერლენს არაფერი დაუზოგავს. „დეიტშე ალგემეინე ცეიტუნგ“ აღნიშნავდა, რომ „დასავლეთის დიდი სახელმწიფოები (იგულისხმეთ ინგლისი) თანდათან უფრო ენერგიულ ზეგავლენას ახდენს გერმანიის მთავრობაზე იმ მიზნით, რომ ჩააბან ის კონფლიქტში ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის“-ო. მაგრამ „გერმანიის პოზიცია ნეიტრალიტეტის შენარჩუნების საკითხში უცვლელი რჩება“-ო, — გადმოგვცემს ბერლინის პრესა. შტრეზემანმა უარჰყო ყოველგვარი ინტერვენციის პოლიტიკა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, იმ ქვეყნის წინააღმდეგ, რომელიც, მისი სიტყვით,— პირველხარისხოვან როლს თამაშობს მსოფლიო წონასწორობაში“. გერმანია, რომლის საგარეო ვაჭრობის 40 პროცენტი საბჭოთა კავშირთან ვაჭრობაზე მოდის, ცხოვლად დაინტერესებულია ჩვენთან ეკონომიურ თანამშრომლობის განმტკიცებაში. ამასთან, საბჭოთა კავშირთან კეთილმეზობლური დამოკიდებულების განმტკიცება გერმანიის საერთაშორისო პოზიციის გაძლიერების უმთავრესი პირობაა, ამიტომ გასაგებია, რომ შტრეზემანმა ჩემბერლენის „ლამაზი თვალებისათვის“ არ მოისურვა თავისი ქვეყნისათვის დამღუპავი ნაბიჯების გადადგმა.

ჟენევის მოლაპარაკებაში სხვათა შორის, აღსანიშნავია ერთი მომენტი: ესაა კომუნისტურ პროპაგანდის საკითხი: ყველა კაპიტალისტური სახელმწიფო და მათ რიცხვში, ცხადია გერმანიაც, რა თქმა უნდა, სასტიკად იბრძვიან კომინტერნის წინააღმდეგ, მაგრამ, „დეიტშე ალგემეინე ცეიტუნგ“-ის თქმით, „ამ ფაქტიდან საკმაოდ მნიშვნელოვანი მანძილია გერმანიის პოლიტიკური გეზის შეცვლამდე და ნეიტრალიტეტის უარყოფამდე“. ასეთია ბრიანის თვალსაზრისიც, რომელიც განსხვავების ხაზს ავლებს საბჭოთა **მთავრობასა** და კომინტერნს შორის. ამ პუნქტშიაც ჩემბერლენი დამარცხდა.

ყველა ამის შემდეგ სხვა არაფერი დარჩა ჩემბერლენს, რომ უკან დაეხია. ის იძულებული შეიქნა განეცხადებია, რომ „ინგლისის მთავრობა არ ფიქრობს ომზე ან რაიმე ფრონტის შექმნაზე მოსკოვის წინააღმდეგ“. აგრეთვე საგულისხმოა ცნობა, რომ ჩემბერლენმა ზალესკისთან საუბრის შემდეგ „თითქო გადასწყვიტა თავი შეიკავოს ყველაფერ იმისაგან, რაც შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც პროვოკაციული ჟესტი მოსკოვის მიმართ“-ო. ჩვენ ვიცით ამ სიტყვების ნამდვილი ღირებულება. თუ გინდ კავერდას გასამართლების კომედია, რომელიც, ცხადია, ინგლისის დიპლომატიის მონაწილეობის გარეშე არ გათამაშებულა, გვეუბნება, რომ ასეთ „ჟესტს“ ის კვლავ მიმართავს.

ერთი კი აშკარაა: ინგლისი განმარტოებულია თავის ანტისაბჭოთა ავანტიურაში, მან ჯერ-ჯერობით ვერ შესძლო მოკავშირეების გამოძებნა. „ტაიმს“-ის სპეციალური კორესპონდენტი მწუხარებით აღნიშნავს, რომ „ომი და ეკონომიური ბოიკოტი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შეუძლებელია“-ო, და დასძენს: „ამჟამად უნდა ვაიიოთ მოთმინების პოლიტიკა“-ო.

ვიმეორებთ, ინგლისის იმპერიალიზმი ამ ხანად დამარცხდა, მან ვერ შესძლო ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნა ჩვენთვის ეკონომიური ბლოკადის გამოსაცხადებლად და მით უმეტეს ომის საწარმოებლად. მაგრამ, რა თქმა უნდა, ის მაინც არ მოისვენებს და გააგრძელებს თავის ძველ „მოღვაწეობას“. ინგლისელ იმპერიალისტების ამ მუშაობას როგორც დღემდე, ისე შემდეგშიც ფხიზლად ადევნებენ თვალ-ყურს საბჭოთა კავშირის მშრომელები და საბჭოთა მთავრობა.

სასამართლო თუ კომედია

საგანგებო სასამართლომ ბორის კავერდას მიუსაჯა უვადო ციხე და ამავე დროს დაადგინა სთხოვოს პრეზიდენტს ამ სასჯელის შეცვლა 15 წლის ციხით.

ვოიკოვის მკვლელი, როგორც დეპეშები გადმოგვცემენ, გაბრწყინებული სახით შეხვდა საგანგებო სასამართლოს განაჩენს. გაბრწყინებული სახით შეხვდებიან ცნობას ამ განაჩენის შესახებ ემიგრაციის ყველა ნაძირალები, საერთაშორისო კონტრ-მზვერავები, რომლებიც აგროვებენ დაგეშილ ხალხს საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო „დივერსიულ“ აქტების მოსაწყობად. გაბრწყინებული სახით წაიკითხავენ ამ განაჩენის შესახებ ბ-ნნი ლიანოზოვები, ნობელები, ბელოსელსკები და ტიქსტონები—რევოლიუციის წინანდელ რუსეთის ეს სამრეწველო და საფინანსო მეფეები, რომლებიც ეხლა სხედან პარიზში, ქირაობენ ხელმისაწვდომ ფასებში მკვლელებს, ცეცხლის წამკიდებლებს და ბანდიტებს და მილიონებს ხარჯავენ ტერორისტული ბრძოლისათვის მუშურ სახელმწიფოს წინააღმდეგ.

მაგრამ ცნობა ამ განაჩენის შესახებ მრისხანებით და აღშფოთებით აღავსებს ჩვენი კავშირის მშრომელების, ევროპის პროლეტარების და ყველა იმათ გულებს, ვინც გულწრფელად და სინდისიერად მიისწრაფვის მშვიდობიანობის დაცვისაკენ. ვინაიდან საგანგებო სასამართლომ თავისი განაჩენით და განსაკუთრებით თვის შუამდგომლობით სასჯელის შემსუბუქების შესახებ გააკეთა ყველაფერი, რაც კი შეეძლო, რომ ხაზი გაესვა თავის გულშემატკივრობისათვის ასეთი ბოროტმოქმედებისა და დამნაშავეებისადმი. ეს აშკარაა ყველასათვის, ვინც მოიგონებს, როგორ დაუზოგავად სჯიდენ პოლონეთის იგივე სასამართლოები ახალგაზრდა კომკავშირელებს, რომელთაც ასამართლებდენ. ჯაშუშების მოკვლისათვის, ენგელის ბოტვინის, კნიევსკის და რუტკოვსკის სახელები ჯერ კიდევ სცოცხლობენ ყველას მეხსიერებაში. ამ შემთხვევაში პოლონეთის სასამართლოები არ იჩენდენ არავითარ მერყეობას; არ ეძებდენ სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებებს.

მაგრამ ეხლა, როცა თავდასხმა მოხდა მშრომელთა მრავალმილიონიან სახელმწიფოს წარმომადგენელზე, როცა დანაშაული ჩადენილია აშკარად იმ მიზნით, რომ გამოიწვიონ მწვავე საერთაშორისო კონფლიქტი,—პოლონეთის ფემიდა შესაძლებლად სთვლის გვერდზე გადასდოს [illegible]სი მახვილი და დემონსტრატიულად იშუამდგომლოს თავისი საკუ[illegible]ის შემსუბუქების შესახებ.

რა არის ეს, თუ არა აშკარა წაქეზება მონარქისტულ თეთრგვარდიელთა ხროვის სწორედ იმ „ბნელი ძალების“, რომელთა ალაგმვის აუცილებლობაზე თვალთმაქცურად სწერდა პოლონეთის პრესა.

—რა ფასი უნდა ექნეს ამ განაჩენს „ხანგრძლივი“ ციხის მისჯის შესახებ, როცა ჩვენ ვიცით, რომ ბაგინსკის და ვეჩორკევიჩის მკვლელს, პოლონეთის „ოხრანკის“ აგენტს მურაშკოს, ასეთივე „მკაცრი“ სასჯელი მიუსაჯეს, მაგრამ შემდეგ პრეზიდენტის მიერ მსჯავრდადებული განთავისუფლებულ იქნა. სხვანაირად როგორ უნდა იქნეს გაგებული პოლონეთის სასამართლოს ეს ჟესტი, თუ არა როგორც ჩვენი საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივი აზრის გამოწვევა.

პოლონეთის მთავრობამ მთელი თავისი საქციელით ჩვენი 11 ივნისის ნოტის შემდეგ დაამტკიცა, რომ მას არ სურს დააკმაყოფილოს ის მინიმალური მოთხოვნილებები, რომელთა წარდგენის უფლება ჩვენ გვქონდა. ჩვენ ვიცით როგორ იქნა ჩატარებული კავერდას პროცესი და ეხლა სავესებით გარკვევით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ საქმე საგანგებო სასამართლოს გადასცეს არა იმიტომ, რომ დაეჩქარებიათ და გაეძლიერებიათ რეპრესია, არამედ იმიტომ, რომ მიეფუჩეჩებიათ გამოძიება, განზე დაეტოვებიათ საკითხი თანამონაწილეების შესახებ, იმ ორგანიზაციის შესახებ, რომელმაც მოამზადა ეს ბოროტმოქმედება და თავის იარაღად გამოიყენა კავერდა.

პოლონეთის მთავრობას არავითარი ზომები არ მიუღია საქმის ყოველმხრივ გამოსაძიებლად და ყველა დამნაშავეთა გამოსარკვევად. პირიქით, სასამართლომ ყოველივე ძალ-ღონე იხმარა იმისათვის, რომ წინასწარ შეთხზული ვერსია „შურისძიების ინდივიდუალურ აქტის“ შესახებ არ უარეყოთ სასამართლო გამოძიებაზე. ყველა უხერხულ საკითხებს, რომელთაც შეიძლოთ შეთქმულების ნამდვილ სულისჩამდგმელთა და ორგანიზატორთა გამომჟღავნება, ყოველმხრივ განზე სტოვებდენ და გვერდს უვლიდენ. პოლონეთის მთავრობა ამით გამოვიდა იმ მონარქისტ შეთქმულების მფარველის როლში, რომლებიც თავდასხმის მეორე დღისვე აშკარად აგროვებდენ შემოწირულებებს მკვლელის სასარგებლოდ.

პოლონეთის მთავრობამ ამით დაამტკიცა, რომ ის ანგარიშს არ უწევს არც იმ ვალდებულებებს, რომელთაც მას აკისრებს რიგის ხელშეკრულების მე-5-ე მუხლი, და არც ჩვენი კავშირის მშრომელთა ფართო მასების სოლიდურ განწყობილებას. პოლონეთის მთავრობამ აშკარად დაამტკიცა, რომ ის მომავალ[illegible] მზად არის ბაზად გამოადგეს საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილ ორგანიზაციების მუშაობას. პოლონეთის მთავრობამ ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვა, რომ ყოფილი მეფის რუსეთის რეაქციონერ ელემენტებთან მეგობრობის კულისთვის იგი არ დაერიდება საბჭოთა კავშირის ხალხებთან ურთიერთობის გაწვავებას.

და დეე პოლონეთის მთავრობა ნუ დაეჭვდება იმაში, რომ ვარშავის პროცესის ამ გაკვეთილს ჩვენ კარგად დავიმახსოვრებთ.

„პრავდა“
მოსკოვი, 17 ივნისი.

ჟენევის მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა

სესიამ ვერ გაამართლა ერთა ლიგის მომხრეთა იმედები

ნანკინის არმია გადავიდა შანდუნის საზღვარს და პეკინისაკენ მიიწევს

ჩან-შაიში აღდგენილია რევოლიუციონური წესრიგი.—ოფიცერთა აჯანყების ხელმძღვანელი გაიქცა

ერთა ლიგის საბჭოს სესია

ჩემბერლენი თავს იკავებს

პარიზი, 16 ივნისი. „მატენ“-ი იუწყება:

ინგლისის გაზეთები იუწყებიან, რომ სახელმწიფოებმა გადასწყვიტეს მოიწვიონ კონფერენცია ბოლშევიზმის წინააღმდეგ საბრძოლველ ზომების შესამუშავებლად. **ეს ხმები სრულებით უსაფუძვლოა. ჩემბერლენმა ზალესკისთან ხანგრძლივი საუბარის შემდეგ, როგორც სჩანს, გადასწყვიტა თავი შეიკავოს ყველაფრისაგან, რაც შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც პროვოკაციული ნაბიჯი მოსკოვის მიმართ.** ევროპის სახელმწიფოთა მთავრობები შეთანხმდენ იმაში, რომ დაეხმარონ ერთი მეორეს ბრძოლაში სოციალური რევოლიუციის მთესველთა წინააღმდეგ“. (ადს).

უარყოფილი გეგმა

ბერლინი, 16 ივნისი. „ბერლინერ ლოკალანცეიგერ“ (გერმანიის სავაჭრო და საბირჟო წრეების ორგანო) იუწყება, რომ ინგლისურ წრეებიდან მიღებულ ცნობების თანახმად, საბჭოთა კავშირის მონაწილეობით კონფერენციის მოწვევის გეგმა ჟენევაში უარყოფილ იქნა. **უარყოფილ იქნა აგრეთვე წინადადებები კომინტერნის წინააღმდეგ გაერთიანებულ გამოსვლის შესახებ.**

ნაციონალისტების ორგანოს „დერ ტაგ“-ის ცნობით, კონფერენციის მონაწილეებმა უარი სთქვეს გაეკეთებიათ რაიმე განცხადება გარეშე საქმეთა მინისტრების თათბირის შედეგების შესახებ. **არ შეიძლება იმის თქმა, რომ ყველა მინისტრები ერთი და იგივე აზრის არიან კომინტერნის აგიტაციის საშიშროების შესახებ ევროპის მშვიდობიანობისათვის.**

იმედის გაცრუება

ბერლინი, 16 ივნისი. 16 ივნისს ბრიანი გაემგზავრა პარიზში. შტრეზემანმა ვერ მოახერხა ბრიანის ნახვა წასვლის წინ, რამაც საერთო ყურადღება მიიქცია.

საკითხი საოკუპაციო ჯარების შემცირების შესახებ რეინის ოლქში გადაჭრილ იქნება დიპლომატიური მოლაპარაკების გზით სესიის დამთავრების შემდეგ.

ერთა ლიგის საბჭო კიდევ განიხილავს რამდენიმე მიმდინარე საკითხს, მაგრამ აღარ შეეხება მნიშვნელოვან პოლიტიკურ პრობლემებს.

ბენეში და ზალესკი ძლიერ უკმაყოფილონი არიან მით, რომ ისინი არ მიიწვიეს სახელმწიფოთა კონფერენციაზე

ერთა ლიგის საბჭოს მიმდინარე სესიის დამთავრება უშედეგოთ ერთა ლიგის მომხრეთა შორის მეტად მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებს. (ადს).

„მოთმინების პოლიტიკა“

ლონდონი, 16 ივნისი. „ტაიმს“-ის სპეციალური კორესპონდენტი სთვლის, **რომ შეუძლებელია ომი, ან ეკონომიური ბოიკოტი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.** ერთად-ერთი იარაღი, რომელიც რჩება ევროპის სახელმწიფოების ხელში, ეს არის ფინანსიურად „კანონ გარეშე გამოცხადება“, მაგრამ **ეს ღონისძიება მხოლოდ იმ შემთხვევაში მოახდენს გავლენას, თუ მას მხარი დაუჭირა გერმანიამ.**

ამჟამად, დასძენს კორესპონდენტი, ყველაზე უფრო მისაღები რჩება მოთმინების პოლიტიკა“. (ადს).

ამხ. ვოიკოვის მკვლელის გასამართლება

მკვლელის ჩვენება

ვარშავა, 16 ივნისი. სასამართლოს სხდომის შეწყვეტის შემდეგ საღამოს 6 საათზე სიტყვა ეძლევა კავერდას. ის განმარტავს, თუ როგორ მივიდა მკვლელობამდე. რევოლიუციამ მას მოუსწრო სამარის გიმნაზიის მეორე კლასში. რევოლიუციის პირველი შედეგი, რომელიც მან იგრძნო, ეს იყო ის, რომ დირექტორმა აუკრძალა მოწაფეებს ქუჩაში სიარული შემოღებულ ფორმის ქუდებით. კავერდა აღნიშნავს, რომ ამ დროს მას შემთხვევა ჰქონდა გასცნობოდა დემობილიზაცია ქმნილ სამხედრო მასას, რომელიც მასზე „საზიზღარ შთაბეჭდილებას“ ახდენდა.

1920 წ. კავერდა მშობლებით გაემგზავრა ვილნოში. როცა ის უკვე პოლონეთში იყო და სწავლობდა ბელორუსულ გიმნაზიაში, გრძნობდა, რომ იქ სწარმოებს კომუნისტური მუშაობა ბელორუსების პროცესზე მის მიერ მიცემულ ჩვენებების შემდეგ ამხანაგებმა დაუწყეს მას დევნა. მაშინ ის გადავიდა რუსულ გიმნაზიაში და შევიდა პავლიუკევიჩის ორგანიზაციაში (შექმნილია პოლონეთის ოხრანკის მიერ).



ამხ. ვოიკოვის მკვლელი კავერდა

კავერდა დაინტერესდა წიგნებით და გაზეთებით და ფიქრობდა წარსულიყო რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.

შემდეგ კავერდა აცხადებს, რომ მისთვის მეტად არა სასიამოვნოა, რომ მკვლელობა მოხდა პოლონეთის ტერიტორიაზე და პოლონეთს ამის გამო აქვს უსიამოვნება.

კავერდას ახსნა-განმარტების შემდეგ სასამართლოს სხდომა წყდება. სასამართლო ელის როზენგოლცის ჩამოსვლას, რომელიც გამოდის როგორც მოწმე.

ამხ. როზენგოლცის ჩვენება

საღამოს 8 ნახ. საათზე დარბაზში შემოდის როზენგოლცი.

როზენგოლცი სასამართლოს აუწყებს მკვლელობის [illegible]. მას აძლევენ რამდენიმე შეკითხვას, რომლებიც ეხება მკვლელობას და ვოიკოვის უკანასკნელ სიტყვებს.

დამცველთა შუამდგომლობა

დამცველნი სასამართლოს სთხოვენ გადასდონ მხარეთა კამათი შემდეგი დღისათვის. სასამართლომ ეს შუამდგომლობა უარყო.

პროკურორის სიტყვა

პროკურორი რუდნიცკი თავის საბრალმდებლო სიტყვაში აღნიშნავს, რომ „კავერდას გრძნობებში პირველი ადგილი ეკავა სიყვარულს სამშობლოსადმი, მისი კულტურისა და ჩვეულებებისადმი“.

შემდეგ პროკურორი აღნიშნავს „ბრალდებულის ბავშურ ასაკს“. რუდნიცკი ამტკიცებს, რომ ამ შემთხვევაში ლაპარაკიც ზედმეტია შეთქმულებაზე და რომ მკვლელობა წარმოადგენს ინდივიდუალურ აქტს.

შემდეგ აღნიშნა რა კავერდას საგანგებო სასამართლოსთვის გადაცემის მოტივები, პროკურორი სიტყვის დასკვნითი ნაწილში არ აყენებს არავითარ წინადადებას ბრალდებულის სასჯელის ზომის შესახებ.

მიმართავს რა „მსაჯულთა სინიდისს“, პროკურორი აცხადებს:

„თქვენ, რომლებიც ამ მომენტში გამოხატავთ სახელმწიფოს სუვერენიტეტს, გამოიტანეთ ისეთ განაჩენს, როგორსაც თქვენი სინიდისი გიკარნახებთ და როგორიც შეეფერება სამართლიანობას, სახელმწიფო ინტერესებს და კაცთმოყვარეობას“.

პროკურორის სიტყვამ სასამართლოს დარბაზში მეტად რბილი შთაბეჭდილება მოახდინა. სიტყვის დაფასებაში ხაზს უსვამენ, რომ მასში. ფორმალურ ბრალდებასთან ერთად, მკვეთრად იყო აღნიშნული ბრალდებულის ფაქტიური დაცვის მომენტებიც.

დამცველთა სიტყვები

შემდეგ გამოვიდენ დამცველები, რომელთაც თავისი სიტყვები გამოიყენეს ანტისაბჭოთა პროპაგანდისათვის.

ადვოკატი **ნედელსკი**, რომელსაც „გლოს პრავდი“ უწოდებს „ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს წარმომადგენელს სასამართლოში“, აშკარად ამართლებდა და ქებას ასხამდა ვოიკოვის მკვლელობას.

დამცველმა **ანდრეევმა** თავისი სიტყვის პირველი ნაწილი უძღვნა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გალაშქრებას, მეორე ნაწილში კი მოუწოდებდა მსაჯულებს „გამსჭვალულიყვენ კაცთმოყვარეობით ამ უბედურ ბავშისადმი“.

დამცველი **ეტტინგერი** თავის სიტყვას უძღვნის საქმის იურიდიულ მხარეს და ამტკიცებს, კავერდას საგანგებო სასამართლოსათვის გადაცემის უკანონობას. ემყარება რა საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსს, ეტტინგერი აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირში სასჯელის საგანგებო ზომები გათვალისწინებულია მხოლოდ „მმართველი მუშურ-გლეხური ორგანიზაციის თანამდებობითი პირებისა და წევრების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთათვის. ეტტინგერი ამტკიცებს, რომ საბჭოთა კავშირში უცხოეთის ელჩის მკვლელს პასუხისგებაში მისცემენ, როგორც ჩვეულებრივი მკვლელობისათვის.

დამცველი **პასხალსკი**, ერთი მხრით, აღნიშნავს პოლონეთის მთავრობის გაბედულ ნაბიჯს რომელმაც მოსამართლეთ დააკისრა მძიმე მოვალეობა—გაასამართლოს კავერდა საგანგებო სასამართლოში, მეორე მხრით კი ლაპარაკობს კავერდას „გმირობაზე“.

„პოლონეთის მთავრობამ, აცხადებს პასხალსკი, ვოიკოვის მიმართ, როგორც სიცოცხლეში, ისე მისი სიკვდილის შემდეგაც, შეასრულა ყველა თავისი ვალდებულებანი. არსად არ არის ნათქვამი, რომ პოლონეთის მთავრობას შეუძლია უბრძანოს სასამართლოს მიუსაჯოს კავერდას სიკვდილით დასჯა“.

დასასრულ პასხალსკი მოუწოდებს გამოიჩინონ კავერდას მიმართ „სრული კაცთმოყვარეობა“.

ღამის 12 სათ. სასამართლოს ძიება კავერდას საქმის გამო დამთავრდა. პროკურორი უარს ამბობს რეპლიკაზე. ბრალდებულიც აგრეთვე უარს ამბობს საბოლოო სიტყვაზე.

სასამართლო გადის სათათბიროდ.

ნაწყვეტი პროკურორის სიტყვიდან კავერდას პროცესზე

ვარშავა, 16 ივნისი. პროკურორ რუდნიცკიმ, რომელიც დაასაბუთა თავის სიტყვაში, თუ რისთვის უნდა გადაეცეს კავერდა საგანგებო სასამართლოს, განაცხადა: „ვოიკოვი იყო არა მარტო ელჩი, არამედ ის იყო მივლინებული პოლონეთის პრეზიდენტთან, ის იყო შუამავალი საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის. ვოიკოვი არ ყოფილა დიპლომატი, რომელსაც შემთხვევით უნდა გაევლო პოლონეთში. მაგალითად როზენგოლცი რომ მოეკლათ, რომელსაც პოლონეთის დიპლომატიური ვიზა ჰქონდა, ეს არ იქნებოდა ისეთი მძიმე დანაშული, როგორც ვოიკოვის მოკვლა“. (ადს).

გერმანიის პრესა კავერდას განაჩენის შესახებ

ბერლინი, 16 ივნისი. ბერლინის გაზეთების უმრავლესობამ უკომენტარიოდ მოათავსეს კავერდას განაჩენი. „ბერლინერ ცეიტუნგ ამ მიტტაგ“-ის აზრით მკვლელს იმისათვის არ გადაუწყვიტეს უმაღლესი სასჯელი, რომ მის ზურგს უკან დგანან წამქეზებელნი, რომლებზეც ხელის დადება შეუძლებელი შეიქნა.

გაზეთის აზრით ასეთი რბილი განაჩენი საბჭოთა კავშირში დიდ მღელვარებას გამოიწვევს. (ადს).

გეტენბორგის კომკავშირის ფურცლები

სტოკჰოლმი, 16 ივნისი. გეტენბორგის პოლიციამ კომკავშირის ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარე დაიბარა დასაკითხავად იმის გამო, რომ ინგლისის ესკადრის ყოფნის დროს გეტენბორგში გავრცელდა ფურცლები ინგლისურ ენაზე. **სულ გამოცემული იყო 3.000 ფურცელი, რომლებიც გეტებორგის კომკავშირის ორგანიზაციამ დაურიგა ინგლისელ მეზღვაურებს. ფურცლებში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ინგლისის ფლოტის დემონსტრაცია ბალტიის ზღვაში წარმოადგენს ანტისაბჭოთა კამპანიის გამოაშკარავებას. ფურცლები ესკადრის მეზღვაურებს მოუწოდებდენ, რომ არავითარ პირობებში არ აღმართონ იარაღი რუსი ამხანაგების წინააღმდეგ.** ინგლისის ესკადრა სტოკჰოლმში წავიდა. (ადს).

რენოდელის წინააღმდეგ

პარიზი. 16 ივნისი. მემარცხენე სოციალისტებმა პროტესტი განაცხადეს რენოდელის მოქმედების წინააღმდეგ. **რომელიც პარტიის ცეკას გადაწყვეტილების წინააღმდეგ დეპარტამენტის სოციალისტებს მოუწოდებდა არ მიეცათ ხმა კომუნისტების კანდიდატისათვის.**

რენოდელმა განაცხადა, რომ შეაქვს განცხადება ცენტრალურ კომიტეტიდან გასვლის შესახებ. (ადს).

საფრანგეთის საზღვაო

პროგრამა

ბერლინი, 16 ივნისი. **საფრანგეთის საზღვაო პროგრამა მომავალ საამშენებლო წელში, რომელიც ივლისიდან იწყება, ითვალისწინებს 1 კრეისერის, 6 ნაღმოსანის, 5 პირველხარისხოვანი წყალქვეშა ნავის და ერთი სამხედრო გემის აგებას.** (ადს).

რუსი მონარქისტები

ესტონეთში

რეველი, 16 ივნისი. „ვაბა მაა“ იუწყება, რომ ესტონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჟურნალისტებს განუცხადა:

„თუ რუსი მონარქისტები დაიწყებენ უკანონო მოქმედებას, მათ წინააღმდეგ მიღებულ იქნება უსასტიკესი ზომები“. (ადს).

სამძიმარი

ამხ. ვოიკოვის მოკვლის გამო

შანხაი, 16 ივნისი. **ძიან-სუს პროვინციის გარეშე საქმეთა რწმუნებულმა ინახულა საბჭოთა კავშირის საკონსულო შანხაიში და განუცხადა სამძიმარი ამხ. ვოიკოვის მოკვლის გამო.** (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

(ფრონტების მიხედვით)

რევოლიუციონურ ჯარების ფრონტზე მოღუშული ცა გაწმენდილია. ენერგიულმა და სწრაფმა ზომებმა ხანკოუს მთავრობა იხსნა კრიზისისაგან, რომელსაც შეეძლო დიდი გართულების შეტანა სამხედრო ოპერაციებში. ჩან-შაში მომხდარი კონტრ-რევოლიუციონური ამბოხება ჩაქრობილ იქმნა და თვით მეთაური ამბოხებისა გაიქცა. ჩენ-ჯოუში მომხდარ რევოლიუციის მეთაურთა კონფერენციაზე მიღწეულია ერთსულოვნობა და ჯარის მთავარსარდლობის ერთგულება რევოლიუციისადმი დადასტურებულია.

ამ ფრიად მნიშვნელოვან ფაქტებს მოჰყვა ცვლილება სამხედრო ფრონტებზედაც. ჩენ-ჯოუ-პეკინის მიმართულებით მუკდენელების ჯარს ბაო-დინ ფუდან კიდევ დაუხევია და გადასულა უფრო ახლოს პეკინთან. ამრიგად მუკდენელების ჯარს, როგორც ეტყობა, ხელი აუღია იმ ხაზის დაცვაზე, რომლის დაცვაც ჩან-ძო-ლინს პირველად ჰქონდა განზრახული—ეს არის ბაო-დინ ფუ დე ჯოუს ხაზი. აღნიშნული უკან დახევა და შედარებით ხელსაყრელი პოზიციის დატოვება ალბად გამოწვეულია იენ-სი-შანის ჯარების ტაი-იუნის მხრით გამოლაშქრებით. დეპეშების ცნობით მუკდენელების ჯარის იმ ნაწილის უკანსვლას, რომელიც ჩენ-ჯოუ-კაი-ფინის რაიონში დამარცხების შემდეგ წამოვიდა პეკინისაკენ, მეტად უშლიან ხელს და აფერხებენ გლეხთა შეიარაღებული რაზმები შუნ-დე-ფუს (ჩენ-ჯოუ პეკინის რკინის გზაზე) რაიონში. მაშასადამე გლეხთა რაზმები უკვე ჩჟილის პროვინციაში გაჩენილან, ე. ი. პეკინის უახლოეს რაიონებში. მუკდენელების ჯარის აღნიშნული უკან-სვლა და პეკინთან დაახლოვება იმას ამტკიცებს, რომ უკანასკნელნი აღარ ფიქრობენ პეკინის აქტიურ დაცვაზე, არამედ მხოლოდ პასიურ მოგერიებითი ბრძოლას აპირებენ. ალბად დიდი იმედი პეკინის შენარჩუნებისა აღარ აქვთ.

დეპეშები დაჟინებით ლაპარაკობენ ჩან-ძო-ლინის და ჩან-კაი-შის შეთანხმებაზე, მაგრამ ჩან-კაი-ში მაინც განაგრძობს ჩრდილოეთისაკენ შეტევას და უკვე გადალახა შანდუნის პროვინციის საზღვარი. აღსანიშნავია, რომ ამჟამად შეტევას აწარმოებს ჩან-კაი-შის ჯარის მარჯვენა ფრთა ზღვის ნაპირით და მიზნად ისახავს ცინდაოს დაპყრობას. აქვე, ცინ-დაოში, როგორც ვიცით ამჟამად იაპონელების საკმაოდ ძლიერი რაზმია. იმავე დროს ჩან-კაი-შის ჯარის მარცხენა ფრთა, რომელიც მოდიოდა ნანკინ ტიან ძინის რკინის გზის მიმართულებით, გაჩერებულია; და როგორც სჩანს, ჩან-კაი-ში საზოგადოდ ერიდება ამ რკინის გზას. თუ გავიხსენებთ, რომ ამას წინად იყო ცნობა, რომ უცხოელ იმპერიალისტებს გადაუწყვეტიათ აღნიშნულ რკინის გზის დაცვა და ერთგვარი ნეიტრალიზაცია, აშკარა გახდება ჩვენთვის, რომ ჩან-კაი-ში მოქმედობს ამ იმპერიალისტებთან სრული შეთანხმებით და მათი დირექტივების თანახმად. მაშინ მისი უკანასკნელი ოპერაცია (ცინ-დაოს მიმართულებით) გასაგები ხდება. ალბად ჩან-კაი-შის მიეცემა საშუალება დაიკავოს ცინდაო და ვეი-ხაი-ვეი და მთელი შანდუნის პროვინცია. აქედან ჩან-კაი-შის ჯარი მეტად ხელსაყრელ სტრატეგიულ პოზიციას ჩაიგდებს ხელში რევოლიუციონურ ჯარების მიმართ.

ი. ბედიანიშვილი.

საბჭოთა გამოფენა

ბრიუსელში

მოსკოვი, 17 ივნისი. **ბრიუსელში გაიხსნა საბჭოთა კავშირთან ინტელექტუალური დაახლოების საზოგადოების** (ბელგიის) **მიერ მოწყობილი საბჭოთა წიგნების გამოფენა.** (ადს).
რუსი მონარქისტები

ჰავასის სააგენტოს ჭორები

პარიზი, 16 ივნისი. ჰავასის სააგენტო იუწყება თითქოს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატიდან მოიპარეს რაღაც საბუთები. თითქოს ამ საბუთებით მტკიცდებოდეს გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის თანამშრომლობა კომინტერთან. მიღებული ცნობის თანახმად გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატიდან არავითარი საბუთები არ დაკარგულა. ეს ცნობა სრულიად მოჭორილია.

ავტორიტეტულ წრეების აზრით ამ ყალბი ცნობების მიზანია შეუქმნას ნიადაგი ახალ ფალსიფიკაციას, რომელსაც ადგენენ იმისათვის, რომ დაამტკიცონ საბჭოთა მთავრობის თანამშრომლობა კომინტერთან. (ადს).

ჩინეთ-საფრანგეთის

სავაჭრო ხელშეკრულება

შანხაი, 16 ივნისი. ვინაიდან ჩინეთ-საფრანგეთის სავაჭრო შეთანხმებას ვადა გაუვიდა, ნანკინის მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრმა ნანკინის მთავრობას და გომინდანის (მემარჯვენე) კომიტეტს ნანკინში მიმართა, რომ მას მიეცეს შესაფერი ინსტრუქციები. მინისტრი იძლევა წინადადებას, რომ ხელშეკრულებას აღარ გაუგრძელდეს ვადა და საფრანგეთთან დაიწყოს მოლაპარაკება ახალი ხელშეკრულების დადებისათვის მხარეთა თანასწორობის საფუძველზე. (ადს).

საქ. პროფკავშირთა საბჭოს ცნობა

ინგლის-რუსეთის კომიტეტის მოწვევის შესახებ ბერლინში

მოსკოვი, 17 ივნისი. სრ. საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმმა გამოაქვეყნა ცნობა ინგლის-რუსეთის კომიტეტის მოწვევის შესახებ ბერლინში. ცნობაში ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირის ორგანიზაციები და მუშათა ფართო მასები, რომელთაც ნათლად აქვთ წარმოდგენილი მიმდინარე პოლიტიკური მომენტის მნიშვნელობა და სერიოზულობა, გამოსთქვამენ კანონიერ აღელვებას ინგლის-რუსეთის კომიტეტის სიჩუმის მიზეზების შესახებ, იმ ორგანოს სიჩუმის მიზეზების შესახებ, რომელიც მოწოდებულია გააერთიანოს ორივე ქვეყნის ღონისძიებანი ომის საფრთხის და კაპიტალის შეტევის წინააღმდეგ და საერთაშორისო პროფმოძრაობის გასაერთიანებლად ბრძოლისათვის.

სრ. საკავშირო პროფკავშირთა ცენტ. საბჭო ამ აღელვებას სთვლის სრულიად კანონიერად და ამავე დროს ფიქრობს, რომ მომენტის სირთულე და პასუხისმგებლობა გვავალებს ყოველგვარ ფორმალობის მიუხედავათ, რაც შეიძლება, მალე მოწვეული იქნეს ინგლის-რუსეთის კომიტეტი ომის საწინააღმდეგო ღონისძიებათა ერთად განხილვის მიზნით.

სრ. საკავშირო პროფკავშირთა ცენტ. საბჭოს პრეზიდიუმი, აქვეყნებს რა მიწერ-მოწერას გენერალურ საბჭოსთან ინგლის-რუსეთის კომიტეტის მოწვევის შესახებ, დარწმუნებულია, რომ ყოველი მუშა დაინახავს ამ მიწერ-მოწერიდან, რომ სრ. საკ.პროფ. კავ. ცენტრ. საბჭომ ყველაფერი გააკეთა, რომ მოწვეული ყოფილიყო ინგლის-რუსეთის კომიტეტი და ამ მიზნით ხელი შეეწყო მუშათა ძალების მობილიზაციისთვის—ომის წინააღმდეგ გამოსასვლელად.

როგორც გამოქვეყნებული მიწერ-მოწერიდან სჩანს, ამხ. **ტომსკის და დოგადოვის მიერ** 14 მაისის თარიღით გაგზავნილ იმ დეპეშის საპასუხოთ, სადაც აღნიშნული იყო ინგლის-რუსეთის კომიტეტის მოწვევის აუცილებლობა, გენერალურ საბჭოს მდივანს **სიტრინს** 13 მაისს განუცხადებია, რომ ამის შესახებ „მომავალ კვირას“ მოვახსენებ გენერალურ საბჭოსო.

ამხ. ტომსკის და დოგადოვის 25 მაისის თარიღით გაგზავნილ იმავე შინაარსის დეპეშაზე და თხოვნაზე, რომ სასწრაფოდ გაეცათ მათთვის პასუხი, სიტრინს 26 მაისს უპასუხნია:

„ამჟამად არ შეგვიძლია მოვაწყოთ ინგლის-რუსეთის კომიტეტის სხდომა, მაგრამ პირველ შესაძლებლობისთანავე მოვახსენებ გენერალურ საბჭოსო“.

3 ივნისს გენერალურ საბჭოსადმი მიმართულ წერილში, სადაც აღნიშნული იყო კომიტეტის მოწვევის დაყოვნების დამღუპველი შედეგები, ამხ. ტომსკი და დოგადოვი ითხოვენ სასწრაფოდ შეეტყობინებიათ, თანახმაა თუ არა გენერალური საბჭო მოწვეულ იქნეს ინგლის-რუსეთის კომიტეტი და თუ თანახმაა, სად და როდის.

10 ივნისს ამხ. მელნიჩანსკიმ აცნობა სიტრინს: „ჩვენი ორგანიზაციები გვეკითხებიან ინგლის-რუსეთის კომიტეტის პასიურობის მიზეზებს, რაც ჩვენ იძულებულს გვხდის გამოვაქვეყნოთ ჩვენი მიწერ-მოწერა თქვენთან ინგლის-რუსეთის კომიტეტის მოწვევის შესახებ, თუ კი თქვენგან ამა თვის 14-მდე რაიმე გარკვეული პასუხი არ იქნა მიღებული“.

მაშინ სიტრინმა გვიპასუხა, რომ საერთაშორისო კომიტეტი წინადადებას იძლევა, რომ ტომსკი და დოგადოვი 17 და 18 ივნისს შეხვდენ ბერლინში სიტრინს და ჰიკსს, იმ საკითხების წინასწარ განსახილველად, რომელთა წარდგენასაც ფიქრობს სრ. საკ. პრ. კავ. ცენტრ. საბჭო ინგლის-რუსეთის კომიტეტის განსახილველად.

მეორე დღეს ამხ. მელნიჩანსკიმ გაგზავნა შემდეგი დეპეშა:

„არ ვუარობთ რა გაიმართოს თავმჯდომარეების და მდივნების წინასწარი თათბირი დღის წესრიგის შესახებ, ჩვენი ორგანიზაციების სახელით კატეგორიულად მოვითხოვთ ინგლის-რუსეთის კომიტეტის ყველა წევრების ბერლინში ჩამოსვლას და პლენუმის მოწყობას. ამბები სწრაფი ტემპით ვითარდებიან და ყოველგვარი დაყოვნება დაუშვებელია. ველით სასწრაფო პასუხს. პასუხის მიუღებლობას ჩავთვლით დათანხმებად, და ინგლის-რუსეთის კომიტეტის ყველა წევრები იქნებიან ბერლინში 17 ივნისს. სიტრინმა უპასუხა: „არ შემიძლია მოვაწყო ინგლის-რუსეთის კომიტეტის პლენუმის სხდომა ინსტრუქციების მიუღებლად გენერალურ საბჭოსგან, რომელიც შეიკრიბება 22 ივნისს, მაშასადამე სრული შემადგენლობით კომიტეტი არ შეიძლება იქნეს ბერლინში 17 ივნისს, როგორც თქვენ ფიქრობთ. ამიტომ, გვეცით პატივი, გარკვევით შეგვატყობინეთ დეპეშით, გსურთ თუ არა, მე და თავმჯდომარე ჩამოვიდეთ 17 ივნისს“.

14 ივნისს მელნიჩანსკიმ დეპეშით აცნობა „დანიშნულ დროისათვის ორივე ბერლინში ვიქნებით“.

მუკდენის არმიის გახრწნა

ძარცვა ხაი-ჯოუში

შანხაი, 16 ივნისი. იაპონიის სააგენტო ტოხოს ცნობით, **იაპონიის მოქალაქენი ხაი-ჯოუში** (რომელიც ნანკინის ჯარებმა დაიკავეს) **გაძარცვეს უკან დახეულმა ჩრდილოელთა ჯარებმა და ჩან-კაი-შის არმიის ნაწილებმა.** იაპონიის კონსული ხაი-ჯოუში მიემგზავრება ნანკინში, რომ პროტესტი განაცხადოს ძარცვის წინააღმდეგ. იუწყებიან, რომ თითქოს ნანკინის ჯარებმა დასწვეს გემი, რომელზედაც იაპონელი ლტოლვილები იმყოფებოდენ; გემის დაწვის შემდეგ დაესხენ თავს მგზავრებს და გაძარცვეს. იაპონელები ხაი-ჯოუდან ცინდაოში მიემგზავრებიან. მათი სიტყვით, როცა ქალაქში გავრცელდა ხმები ნანკინის ჯარების მოახლოების შესახებ, **სუნ-ჩუან-ფანის ჯარებმა დაიწყეს ძარცვა.** გარდა ამისა, იაპონელების სიტყვით, **ქალაქს ძარცვავდენ ჩან-კაი-შის ჯარები.** (ადს).

მდგომარეობა ჩან-შაში

ხანკოუ, 16 ივნისი. ჩან-შადან იუწყებიან, რომ **კონტრ-რევოლიუციონური გადატრიალების ხელმძღვანელი სიუ-კეი-სიანი გაიქცა ქალაქიდან. ტანშენჩის მიერ დანიშნულმა ჩან-შას გარნიზონის ახალმა უფროსმა ჩო-უ-ლიანმა ჩაიბარა ჯარების სარდლობა.** ჩხრეკა და დაპატიმრებები ქალაქში შეწყდა. **ჩო-უ-ლიანმა წინადადება მისცა მუშათა და გლეხთა კავშირს განაახლონ მუშაობა და შეჰპირდა მათ, რომ აღადგენს საზოგადოებრივ ორგანიზაციების ლეგალობას.** (ადს).

პეკინის მთავრობის კრიზისი

პეკინი, 16 ივნისი. პეკინის მთავრობის პრემიერი ველინგტონ-კუ გადადგა. ახალ პრემიერად დანიშნულია პან-ფუ. (ადს).

შეტევა ცინდაოზე

პეკინი, 16 ივნისი. პეკინის გაზეთების ცნობით, **სუნ-ჩუან-ფანის ჯარებმა ხაი-ჯოუდან (ძიან-სუს პროვინცია) ჩუჩენისაკენ (შანდუნის პროვინცია) დაიხიეს.** ჩუ-ჩენში მოეწყობა თავდაცვის პირველი ხაზი..

ნანკინის ჯარები მიიწევენ ჩრდილოეთისაკენ, ზღვის ნაპირების გასწვრივ; მათ მიმართულება აღებული აქვთ აღმოსავლეთისაკენ ტიან-ძინ-პუკოუსის რკინის გზიდან. ნანკინის ჯარების შეტევის მიზანია ცინდაოს დაკავება. (ადს).

გენერლების შეთანხმება?

შანხაი, 16 ივნისი. იაპონელი გენერალის იამანაშის პეკინში ჩასვლის გამო **კვლავ გავრცელდა ხმები ჩან-ძო-ლინსა და ჩან-კაი-შის მომავალი შეთანხმების შესახებ.**

ტოხოს სააგენტო იუწყება, რომ ჩან-ძო-ლინმა იამანაშისთან საუბარში განაცხადა:

„კომპრომისი აუცილებელია, მაგრამ მე არ ვსცნობ შესაძლოდ გომინდანის დროშის აღმართვას და მუკდენელთა ჯარების გარდაქმნას ეროვნულ ჯარებად. (ადს).

მუკდენის „ოხრანკა“

პეკინი, 16 ივნისი. მუკდენის პოლიცია პეკინის ბრძანების თანახმად, შეუდგა „ოხრანკის“ ახალი რაზმის შედგენას. რაზმს უფლება ეძლევა თავისი შეხედულების მიხედვით გაუსწორდეს ყველა იმ პირებს, რომელთაც რაიმე კავშირი აქვთ კომუნისტებთან. (ადს).

ნანკინის ჯარების წინსვლა

შანხაი, 16 ივნისი. **ნანკინის ჯარებმა გადალახეს შანდუნის საზღვრები და ჩრდილოეთისაკენ მიემართებიან.**

მემარჯვენე გომინდანელთა ორგანოს „ჩაინა კურიერი“-ს ცნობით, **ჩან-კაი-შის ჯარებმა გუან-ჩაო დაიკავეს.**

რეიტერის სააგენტოს ცნობები პეკინიდან ადასტურებენ ნანკინის ჯარების შანდუნის პროვინციის საზღვრების გადალახვას და აღნიშნავენ, **რომ სუნ-ჩუან-ფანის ჯარები იხევენ ჩუ-ჩენის მიმართულებით,** შანდუნის პროვინციის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სადაც ახდუნელების ჯარები ემზადებიან თავდაცვისათვის. **წითელი პიკების მოქმედება მნიშვნელოვნად აძნელებს ჩრდილოელთა ჯარების მსვლელობას შუნდეფუს რაიონში.** (ადს).

ჩენ-ჯოუს კონფერენციაზე

ხანკოუ, 16 ივნისი. ნაციონალური დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ უხანის მთავრობის წევრთა და გომინდანის აღმასკომის დელეგაცია ჩენ-ჯოუს სამხედრო-პოლიტიკურ კონფერენციიდან დაბრუნდა უხანში. **კონფერენციაზე მიღწეულია სრული შეთანხმება ყველა სამხედრო პოლიტიკურ საკითხებში. ფინ-იუ-სიანმა ფიცი მისცა ნაციონალურ მთავრობას და გომინდანის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს უხანში.**

კონფერენციაზე შემუშავებულ იქნა მუკდენის ჯარების განადგურების და კონტრ-რევოლიუციის აღმოფხვრის დაწვრილებითი სამხედრო გეგმა. კონფერენციამ დანიშნა მთავრობის კომისრები ხენანის, შენ-სის და გან-სუს პროვინციებში. დანიშნულ იქნა აგრეთვე პოლიტიკური საბჭო, რომელიც წარმოადგენს სამივე პროვინციის უმაღლეს პარტიულ ორგანოს. **ფინ-იუ-სიანი დანიშნულია ხენანის პროვინციის პოლიტიკურ საბჭოს და მთავრობის კომისიის თავმჯდომარეთ.** (ადს)..

ახალი კურსი

პეკინი, 16 ივნისი. ტოხოს სააგენტოს ცნობით, პეკინის მთავრობის ახალ პრემიერთან—პან-ფუსთან შესდგა ანგოძიუნის ბელადების თათბირი ახალი პოლიტიკური კურსის შესახებ. თათბირზე დაესწრო ჩან-ძუნ-ჩანი, სუნ-ჩუან-ფანი, იან-იუ-ტინი, ჩან-სუე-ლიანი და სხ. **თათბირმა დაადგინა აქტიურ პოლიტიკაზე გადასვლა და გომინდანის დაპირდაპირებით ახალი პოლიტიკური პარტიის შექმნა „შინგოციუიამინის“ (ახალი სახელმწიფო პარტია) სახელწოდებით. ახალი პარტიის წესდების პროექტის შედგენა უკვე დამთავრდა. ეს პარტია აცხადებს ოთხი კლასის თანასწორობას: აზნაურების, მრეწველების, კომერსანტების და გლეხებისა. წესდებაში ნათქვამია, რომ აუცილებელია შრომის თანამშრომლობა კაპიტალთან და ბრძოლა მემარჯვენე ჯგუფებთან.**

სტუდენტების დაპატიმრება პეკინში

პეკინი, 16 ივნისი. პეკინის რკინის გზის სადგურზე დააპატიმრეს ტიან-ცზინდან მოსული 4 სტუდენტი.
დან მოსული 4 სტუდენტი.

პოლიციის ცნობით, სტუდენტებს აღმოაჩნდათ მნიშვნელოვანი საბუთები, რომელნიც მოწმობენ, რომ სტუდენტები გაგზავნილია პეკინში ნაციონალისტების მიერ“. ა(დს).

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ორი მკვლელი

ვარშავის სასამართლოს განაჩენმა ერთხელ კიდევ ცხად ჰყო, ვინ იმალება ამხ. ვოიკოვის ფიზიკური მკვლელის ზურგს უკან.

გაზეთებიდან.



უკანასკნელი ცნობები

მონარქისტების დახვრეტის გამო

პარიზი, 17 ივნისი. „მატენი“ აღნიშნავს, რომ იმ ერებმა, რომლებიც წარდგენილი არიან ჟენევაში, არ ისურვეს კოლექტიურად გამოსვლა მონარქისტების დახვრეტის გამო. (ადს).

ჯვაროსნული ომი ს. ს. რ. კ.-ის წინააღმდეგ

ბერლინი, 17 ივნისი. „როტე ფანე“ აცხადებს: „ჟენევის თათბირს ის მნიშვნელობა აქვს, რომ ინგლისმა აშკარად გამოაცხადა თავისი სამხედრო გეგმები და აშკარად აცნობა დანარჩენ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს მათი მონაწილეობის ფასი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ჯვაროსნულ გალაშქრებაში“. (ადს).

ერთა ლიგის სესიის უშედეგობა

ბერლინი, 17 ივნისი. როგორც ფიქრობენ, ერთა ლიგის საბჭოს სესია ბრიანის უეცარი წასვლისა და საკულისო მოლაპარაკების უშედეგობის გამო, თავდება დანიშნულ ვადაზე უფრო ადრე.

იმ საკითხებიდან, რომელნიც გერმანიას ეხებიან, დადებითად გადაწყდა საკითხი დამცველი პოლიციის მოწყობის შესახებ (ადს).

ერთა ლიგის უშედეგობა

პარიზი, 17 ივნისი. ერთა ლიგის სესიის უშედეგობის გამო ბერანჟე (საფრანგეთის ყოფ. ელჩი ამერიკაში) „აჟანს - ეკონომიკ - ფინანსიერ“-ში სწერს: „ევროპა მიხვდა, რომ არც ერთ სახელმწიფოს ცალ-ცალკე არ ძალუძს გაიმარჯვოს კომინტერნზე. გაერთიანებული მოქმედება კი თითქმის შეუძლებელია.

ინგლისმა გამოიწვია შეტაკება ინგლის-მოსკოვს შორის — აზიაში. გერმანია წინააღმდეგია შევიდეს ევროპიელთა კავშირში, ვიდრე საფრანგეთის მიერ კომპენსაციას არ მიიღებს რეინზე. საფრანგეთმა ვერ დაიცვა ხიფათისაგან თავის აღმოსავლეთის საზღვარი, ვერ მოაწესრიგა თავისი მილიარდები და ვალიუტა. იგი მოკლებულია სათანადო ფლოტს და სხვ. (ადს).

ჩან-შაში

ხანკოუ, 16 ივნისი. უკანასკნელი ცნობებით, ტან-შენ-ჩის მიერ გამოგზავნილი ჯარები ჯოულიანის მეთაურობით, უკვე შეუდგენ წესრიგის აღდგენას ჩან-შაში. ჯოუ-ლიანს საუბარი ჰქონდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, გლეხთა კავშირის და კომპარტიის წარმომადგენლებთან. (ადს).

ნანკინის ჯარების თავდაცვა

პეკინი, 16 ივნისი. ანგოძიუნის კონფერენციამ დაადგინა, გირინ ჯარები ბაო-ტინ-ფუდან წაიყვანოს გაო-გეი-ტენში ნანკინ - ხანკოუს რკინისგზაზე, 80 კილომეტრის მანძილზე სამხრეთ - აღმოსავლეთით პეკინიდან, „იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას დედა - ქალაქის რაიონის თავდაცვა“ (ადს).

ბოროდინის ცოლის საქმე

პეკინი, 17 ივნისი. დღეს ჟუნენსეს სასამართლოში დაიწყო ბოროდინის ცოლის და სამი დიპლომატიური შიკრიკის საქმის წინასწარი (არა საჯარო) მოსმენა. ყველა ბრალდებულთა საერთო დაკითხვის შემდეგ—მოხდა თვითეული მათგანის დაკითხვა ცალკე.

ბოროდინის ცოლს წარუდგინეს მთელი რიგი საბუთები, რომელნიც ბოროდინის ცოლმა ის თავის საბუთებად არ სცნო და განაცხადა, რომ ეს საბუთები მისთვის უცნობია. იგივე დოკუმენტები წარუდგინეს შიკრიკებს, თითქოს ის საბუთები ენახათ დიპლომატიურ ფოსტაში. დიპლომატიურ შიკრიკებმა განაცხადეს, რომ მათ არ იციან დიპლომატიურ ფოსტის შინაარსი და გარდა ამისა, ისინი პასუხისმგებელი არ არიან [illegible] თვის. ამავე დროს შიკრიკებმა ხაზი გაუსვეს, რომ მათ [illegible] დროს არაფერი არ ყოფილა აღმოჩენილი, დიპლომატიური შიკრიკების განცხადების თანახმად, სასამართლო დათანხმდა მიაკეროს საქმეს საპატიმროს სამმართველოში შენახული დოკუმენტები, მათ შორის, შიკრიკის ფურცლები და გემის კაპიტანისაგან ხელმოწერილი ოქმი, რომელიც მოწმობს, რომ დიპლომატიურ ფოსტაში არაფერი ისეთი საყალ-მაყალო არ ყოფილა.

სხდომის დასასრულ, დამცველმა გოტინბამ სასამართლოს აცნობა დამცველთა შუამდგომლობა იმ პირთა მოწმეებად გამოწვევის შესახებ, რომელნიც დაესწრნენ გემის გატაცებას, ამავე დროს დამცველმა სთხოვა სასამართლოს მიაკეროს საქმეს ზოგიერთი დაწესებულების ცნობები, რომელნიც ადასტურებენ ბრალდებულთა განცხადებებს, ვექილი ფოქსის ნაცვლად ბრალდებულთა წარმომადგენლად გამოდის **კანტოროვიჩი**. (ადს).

საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს ცნობა

მოსკოვი, 17 ივნისი. ვინაიდან ინგლისის პრესა ყალბ ცნობებს ავრცელებს, თითქოს ფინეთის ელჩს ელვენგრენის დახვრეტის გამო პროტესტი განეცხადებოის საბ. კავშირის დეპეშათა სააგენტოს რწმუნება აქვს განაცხადოს, რომ გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატს არავითარი ნოტა რა მიუღია, და რომ ფინეთის ელჩის არტის სიტყვიერ შეკითხვაზე ელვენგრენის ქვეშევრდომობის შესახებ, მას სიტყვიერადვე უპასუხეს, რომ ელვენგრენი არალეგალურად ჩამოვიდა რუმინეთის პასპორტით და არასოდეს არ განუცხადებია, რომ ის ფინეთის ქვეშევრდომია, დაკითხვის დროს ელვენგრენმა განაცხადა, რომ ის რუსი მონარქისტია და განსაზღვრული მოქალაქეობა არ აქვს. ფინეთის ელჩს ამავე დროს აცნობეს ელვენგრენის ჩვენება მისი კონტრ-რევოლიუციონური და ტერორისტული მოქმედების შესახებ.

თვალთმაქცობის და მტრობის პოლიტიკა

(„იზვესტია“-ს მოწინავე წერილი)

მოსკოვი, 17 ივნისი. „იზვესტია“ მოწინავე წერილში „თვალთმაქცობის და მტრობის პოლიტიკა“, კავერდას საქმეზე გამოტანილ განაჩენის გამო სწერს:

„როცა ეს განაჩენი მივა საბჭოთა კავშირის ფართო მასების ყურამდე, ჩვენ ეჭვი არ შეგვდის, რომ ის ულრმეს და სამართლიან აღშფოთებას გამოიწვევს.

მოითხოვდა რა ამხ. ვოიკოვის მკვლელის სასტიკად დასჯას, საბჭოთა კავშირის მთავრობა ამით საშუალებას აძლევდა პოლონეთის მთავრობას საქმით და არა სიტყვით გამიჯნოდა ტერორის მეთოდებს და დაეგმო ეს მეთოდები. პოლონეთის მთავრობამ მკვლელი გადასცა საგანგებო სასამართლოს, მაგრამ განაჩენი კავერდას საქმეზე იმ სახით, რა სახითაც ის გამოიტანა საგანგებო სასამართლომ, არაფრით არ განსხვავდება ჩვეულებრივი განაჩენისაგან, რომელიც გამოაქვთ პოლონეთის კანონების მიხედვით წინდაწინვე მოფიქრებული მკვლელობისათვის.

მაშ რაღა საჭირო იყო ამ შემთხვევაში საქმის გადაცემა საგანგებო სასამართლოსათვის?

ამჟამად სურათი საკმაოდ ნათელია. როგორც ცნობილია საგანგებო სასამართლოს მართლმსაჯულება გულისხმობს საკმაოდ გამარტივებულ საგამოძიებლო პროცესს, რომელიც არა თუ არ არკვევს, არამედ წინასწარი განზრახვით ფარავს ბოროტმოქმედების ყოველგვარ კვალს. ასეთი პროცედურის მეოხებით შესაძლო იყო იმ არასასურველი საკითხების თავიდან აცილება, რომელთა მეოხებით შეიძლებოდა ბოროტმოქმედებათა კვალის მიგნება, როგორც პოლონეთში, ისე მისი საზღვრების გარედ და რომელთა გამომჟღავნება არ არის სასურველი პოლონეთის მთავრობისათვის. მეტად მცირე ხნის განმავლობაში კავერდა ისევე განთავისუფლდება, როგორც მისი ღირსეული მოძმე მურაშკო—ბაგანსკის და ვეჩირკევიჩის მკვლელი.

ვარშავის სასამართლოს განაჩენი ამავე დროს არის პოლონეთის მთავრობის პოლიტიკის დემონსტრაცია საბჭოთა კავშირის მიმართ. საბჭოთა კავშირის მთავრობის ნოტა თავდება განცხადებით, რომ „ვარშავაში მომხდარი ტრაგიკული მკვლელობის შედეგის აღმოფხვრა შეიძლება არა ფორმალური ხასიათის განცხადებით, არამედ იმ რეალური ღონისძიებებით, რომლითაც პოლონეთის მთავრობა ნამდვილად მიიღებს“.

ერთი ასეთი „ღონისძიება“ არის ვარშავის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი. საბჭოთა კავშირის მთავრობის ნოტაში წამოყენებული ორი მოთხოვნილება (მონაწილეობა გამოძიებაში და მკვლელისათვის მკაცრი განაჩენი) საქმით უარყო პოლონეთის მთავრობამ.

ველით პოლონეთის მთავრობის პასუხს საბჭოთა ნოტის მესამე მოთხოვნილებაზე. ამის შემდეგ საბოლოო დასკვნები უნდა გამოვიტანოთ პოლონეთის მთავრობის პოზიციისა და იმის შესახებ, თუ რამდენად შეეფერება სინამდვილეს პოლონეთის მთავრობის განცხადება, რომ მას სურს შეინარჩუნოს კეთილმეზობლური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან“.

ბანდიტებს

მკვლელს სიკვდილი მათ სიცოცხლით შეუცვალეს.
იხდის არა? პან პილსუდსკი თავის ვალებს.
და აქეზებს კვლავ შავრაზმელ ბნელ ბნელ ძალებს!..
თურმე: „ძაღლი მართლაც არ ღრღნის ძაღლის ძვალებს“!

მაგრამ განა შეგვაშინებს ძაღლის კბენა?!
ჩვენ ხომ ვიცით რათ აუტყდა მწარე ღრენა:

სულს ლევს, მიტომ იკბინება სალახანა.
კარზე ადგას ცუდი დღე და ცუდი ხანა.
დღეს ბანდიტობს, გული ამით მოიფხანა,
სხვაგვარად, რომ ვერაფერი გაიტანა.
სამარისკენ რომ თავმტვრევით გაექანა,
ბანდიტობით სურს თავის ხსნა იმას, განა?
ვერ უშველის, ვერა ბანდიტს ტყვია, დანა.
ისტორიამ უგალობა „სულთათანა“.
ტყვია სტყორცნეა ვარშავაში ელჩს ვოიკოვს?
ათასობით შევცვლით საქმე რომ მოითხოვს!
მოგვისევენ ლაწირაკებს კვლავ—კავერდებს?!
გაუფრთხილდენ თავის ისეც დამპალ გვერდებს!
მკვლელს სიკვდილი მათ სიცოცხლეთ შეუცვალეს?!
მაშ დაუხვდენ კარზე მომდგარ მრისხან ხვალეს!

ხოზიკა.

რა ხდება უცხოეთში

პრეზიდენტის არჩევნები ჩეხო-სლოვაკიაში

პრეზიდენტის არჩევნები ჩეხო-სლოვაკიაში დასრულდა ისე, როგორც ყველანი მოელოდენ. პრეზიდენტად შვიდი წლ. ვადით კვლავ აირჩიეს მასსარიკი, მაგრამ მთავარი მნიშვნელობა არჩევნების შედეგებში როდია. უფრო მეტს ინტერესს იწვევენ ის მოვლენები, რომლებიც უკანასკნელ არჩევნებს ახასიათებენ.

არჩევნებს ამზადებდენ დიდი ხნის განმავლობაში, მთელი განგაში და აურზაური იყო ატეხილი მის გარშემო, ყველა სახელმწიფო დაწესებულების შენობებზე დროშები ფრიალებდნენ. პარლამენტის შენობის წინ მოაწყვეს ჯარების აღლუმი, მიუხედავათ ამისა ხალხის აღფრთოვანება არ ეტყობოდა. არჩევნები მოდუნებით ჩატარდა.

დიდ ინტერესს იწვევს აგრეთვე ის შინაპოლიტიკური ცვლილებები, რომელიც შედეგათ მოჰყვა არჩევნებს. მასსარიკის სასარგებლოდ განსაკუთრებით გააფთრებულ კამპანიას ეწეოდენ „მემარცხენე“ პარტიები, თვით სოციალ-დემოკრატებიც კი. მათი პრესა განუწყვეტლივ ქებათ-ქებას ასხამდა „ჰუმანის“ მასსარიკს—„დემოკრატიის ამ დედა-ბოძს“. ამით ისარგებლეს კრამარჟის მომხრეებმა (ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე ფრთა) და კლერიკალებმა. რომ დაეშინებიათ „მემარცხენეები“ და ამავე დროს ეჩვენებიათ თავისი „ძალა“. თითქმის არჩევნების წინა დღეს მათ მოულოდნელად განაცხადეს, რომ მასსარიკს არ მისცემენ ხმას და წამოაყენებენ საკუთარ კანდიდატს. რასაკვირველია, ამ საარჩევნო ფანდს მიზნად ჰქონდა ზეგავლენის მოხდენა სოციალ-დემოკრატებზე, სახალხო სოციალისტებზე და სხვა „მემარცხენეებზე“ იმ მიზნით, რომ ისინი დათმობაზე წასულიყვნენ საგარეო და საშინაო პოლიტიკის მთელ რიგ საკითხებში. ასეთ პირობებში, „მემარცხენეებს“ სხვა არაფერი დარჩენოდათ, თუ არა ის, რომ მთელი იმედები დაემყარებიათ მემამულეების პარტიაზე, რომელმაც, კრამარჟის მომხრეების მახინაციის წყალობით, დიდი პოლიტიკური კაპიტალი შეიძინა არჩევნებში. საქმე იმაშია, რომ მემამულეების პარტიის პოზიციაზე იყო დამოკიდებული გაივლიდა თუ არა არჩევნებში მასსარიკი. სოციალ-დემოკრატებიც კი, რომ ამ რეაქციონური პარტიის გული მოეგოთ, თავის პრესაში ამ პარტიას „სამშობლოსა და დემოკრატიის მხსნელს“ უწოდებდენ.

პრეზიდენტი მასარიკი

საარჩევნო მახინაციების შედეგები ეხლა იჩენენ თავს. „სამშობლოსა და დემოკრატიის მხსნელები“ შერევანდედით მოსილი მემამულეები მომავალში უფრო მეტის ენერგიით, ვიდრე არჩევნებამდე, განავითარებენ შეტევას მუშათა კლასზე. მათ უკვე დამზადებული აქვთ „თვითმართველობათა რეორგანიზაციის“ რეაქციონური პროექტი, რომლის გატარებას ჩქარობენ პარლამენტის სესიის დასრულებამდე. თავისთავად ცხადია, რომ სოციალ-დემოკრატები და სხვ. პარტიები, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი მემამულეების პარტიის პოლიტიკური კაპიტალის ზრდას, ვეღარ გაუწევენ ამ კანონპროექტს რაიმე წინააღმდეგობას.

ამრიგად ჩეხო-სლოვაკიის ს.-დ. კიდევ ერთხელ გაჰყიდეს მშრომელი მასების ინტერესები.

ა. ა—ი.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

სამომხმარებლო კოოპერაციის თათბირი პურის შესახებ

მოსკოვი, 17 ივნისი. დაიხურა „ცენტრ-სოიუზი“-ს მიერ მოწვეული სამომხმარებლო კოოპერაციის თათბირი პურის შესახებ. თათბირმა მიიღო დადგენილებები, რომელთა მიხედვით მომავალ პურის დასამზადებელ კამპანიაში კოოპერაცია უნდა გამოვიდეს ერთიანი ფრონტით.

თათბირმა სცნო პურის ფასების შემდგომი გაიაფება, როგორც დანართი ხარჯების შემცირებით, ისე იმ აპარატის რაციონალიზაცია, რომლის საშუალებიც პური მიდის მომხმარებლამდე. (ადს).

სკოლებში შემსვლელთა შერჩევა

მოსკოვი, 17 ივნისი. საკავშირო პროფსაბჭომ ყველა პროფორგანიზაციებს მიმართა წინადადებით, მიიღონ ზომები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სკოლებში შემსვლელ პირთა რაც შეიძლება უკეთესი შერჩევა.

განაწილების გაუქმება, აღნიშნავს საკავშირო პროფსაბჭო, წარმოადგენს ზომას, რომელიც გამოწვეული იყო იმ მუშაკების კვალიფიკაციის აწევის აუცილებლობით, რომლებიც ამთავრებენ სასწავლებლებს. მაგრამ ამ ზომამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გააუარესოს სკოლებში მიღებულ პირთა სოციალური მდგომარეობა. პროფკავშირებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ უფრო უკეთ მომზადებულ მუშების შერჩევას და ყოველნაირად ხელი შეუწყონ მისაღებ გამოცდებისთვის მუშების მომზადების საქმეს (ადს).

საკრედიტო სისტემა

მოსკოვი, 16 ივნისი. კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა კანონპროექტი საკრედიტო სისტემის პრინციპების შესახებ.

კანონ-პროექტის მიხედვით, საკრედიტო დაწესებულებათა მოქმედების საერთო მოწესრიგება ევალება საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ. კომისარიატს, ხოლო საკრედიტო სისტემის უშუალო ხელმძღვანელობა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკს. (ადს).

სამგზავრო მატარებლის დამტვრევა

მოსკოვი, 17 ივნისი. 17 ივნისს ღამით სუმაროკოვო - პატოჩნაიას გადასარბენზე, მოსკოვ-კურსკის რკინისგზის ხაზზე, დაიმტვრა სამგზავრო მატარებელი № 5, რომელიც მოსკოვიდან სევასტოპოლში მიდიოდა. ძლიერ დაზიანდა ორთქლმავალი, საბარგო რონოდა და ორი კლასის რონოდა. 5 კაცი მძიმედ დაშავდა, 17 მსუბუქად. უბედური შემთხვევის მიზეზია სადგურ პატოჩნაიას და სუმაროკოვას მორიგეების დაუდევრობა, რომლებიც დაპატიმრებული არიან. (ადს).

თავდაცვის ფონდისათვის

მოსკოვი, 17 ივნისი. კამპანია თავდაცვის ფონდში შემოწირულების შეგროვებისათვის წარმატებით მიმდინარეობს. ვლადივოსტოკში პროფკავშირთა საოლქო ყრილობამ დაადგინა ააშენოს თვითმფრინავი - გამანადგურებელი „ვლადივოსტოკის პროლეტარი“. ნოვო - სიბირსკში „სიბკრაისოიუზის“ თანხით აიგება ჰაეროპლანი „კოოპერატიული ციმბირი“. კუზნეცის აუზში სწარმოებს შემოწირულების შეგროვება თვითმფრინავ „კუზბასის“ ასაგებად.

ასეთივე ცნობებია მიღებული სიმფეროპოლიდან, ბრიანსკიდან, ხაბაროვსკიდან, ტულადან, ვლადიმირიდან და მთელ რიგ სხვა ქალაქებიდან (ადს).

ნათესების მდგომარეობა

მოსკოვი, 17 ივნისი. ცენტრ. სტატ. სამმართველოს ცნობით, ნათესების საერთო მდგომარეობა მთელ საბჭოთა კავშირში პირველ ივნისისათვის გაცილებით უკეთესია, ვიდრე იყო შარშან ამავე თვეში (ადს).

პარტიულ კლუბში დაჭრილები მალე განიკურნებიან

ლენინგრადი, 17 ივნისი. ლენინგრადში პარტიულ კლუბში აფეთქების დროს დაჭრილთა მდგომარეობა უმჯობესდება. ამხ. პოზერნი საავადმყოფოდან 2—3 დღის შემდეგ გამოეწერება (ადს).

600.000 მან. თურქული ანბანის შემოღებისათვის

მოსკოვი, 17 ივნისი. ახალი თურქული ანბანის შემოღებისათვის საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ გადასდო

პოლონელ ჯაშუშების დახვრეტა

ხარკოვი, 17 ივნისი. 1926 წლის აგვისტოში სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს მოსაზღვრე ორგანოებმა შეიტყეს, რომ საბჭოთა კავშირის საზღვრებზე უნდა გადმოსულიყო პოლონელ ჯაშუშების შეიარაღებული ჯგუფი: მათ შორის იყო 3 კაცი, რომელთაც დავალებული ჰქონდათ მთავრობის რამდენიმე წევრის და საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელთა მოკვლა უკრაინაში.

საბჭოთა მოსაზღვრე რაზმელებმა მალე მოახერხეს 3 პირის დაჭერა, რომელთაც სცადეს პოლონეთიდან საბჭოთა საზღვრებზე გადმოსვლა. ერთმა მათგანმა შესძლო გაქცევა. შეპყრობილებმა თავიანთ თავს უწოდეს ერთმა ანდრეი **კნიპანსკი** და მეორემ—ტადეუშ **ვეჟბოვიჩი**. მათ აღმოაჩნდათ 3 ყუმბარა, ბრაუნინგი 23 ტყვიით, წითელ-არმიელის წიგნაკი და უკრაინის ერთ-ერთი ოლქის რუკა.

სახელმწ. პოლიტიკურ სამმართველოს ცნობებით, ტერორისტების ჯგუფი უნდა გადმოსულიყვნენ წითელ-არმიელების დოკუმენტებით.

ხარკოვის საოლქო სასამართლოს საგანგებო სესიაზე გამოირკვა, რომ კნიპანსკი და ვეჟბოვიჩი ნებაყოფლობით შევიდნენ 1926 წელს მე-5 ბრიგადის მზვერავი რაზმის აგენტებად კნიშინსკი ნოვაკის, ხოლო ვეჟბოვიჩი ტომაშევსკის სახელწოდებით.

ბრალდებულებმა აღიარეს, რომ პოლონეთის მზვერავი რაზმის დავალებით არალეგალურად გადმოლახეს საზღვრები, რომ მესამე მიმალული აგენტი გვარად **მელნიკი**, იგივე—მატიევსკი ანუ შარუცკი უკვე დიდი ხანია ცნობილია სახელმწ. პოლიტიკ-სამმართველოსათვის, როგორც ერთი თვალსაჩინო პოლონელი ჯაშუშთაგანი—ყოფილი პეტლიურელი.

მელნიკი იყო ჯგუფის ხელმძღვანელი და მიაწოდა მას 6 ყუმბარა და ორი რევოლვერი.

საქმის გარჩევის დროს გამოირკვა, რომ ნოვაკიც ძველი პოლონელი აგენტია, რომელიც არა ერთხელ რუმკევიჩის გვარით გადასულა საბჭოთა საზღვრებზე ჯაშუშობის მიზნით.

სასამართლომ კნიპანსკის და ვეჟბოვიჩს მიუსაჯა დახვრეტა. განაჩენი მოყვანილია სისრულეში. (ადს).

ავტომობილის კატასტროფა

მოსკოვი, 17 ივნისი. 15 ივნისს ს. ს. რ. კ. ს. მ. უ. ს. თავმჯდომარის მოადგილე ამხ. სერებროვსკი, საფეიქრო მრეწველობის მთავარი სამმართველოს ინჟენერები კირპოტენკოსა და ჟელენდეკის თანხლებით, გაემგზავრა ავტომობილით სადგ. უნდოლში, (ვლადიმირის გუბ.), იმ საქსოვი ფაბრიკის დასათვალიერებლად, რომელსაც აშენებს ვლადიმირის ბამბეულის ტრესტი.

142 ვერსზე მოსკოვიდან, ლურსმანმა, რომელიც გზაზე ეგდო, გახეთქა ავტომობილის ერთი წინა ბორბლის შინა. მანქანა, რომელიც გზის ნაპირზე მიდიოდა, დაქანდა და გადავარდა თხრილში.

დაცემის გამო ამხ. სერებროვსკის დაუზიანდა ორი ნეკნი, ინჟ. კირპოტენკო და ჟელენდეკი მსუბუქად დაშავდნენ. შოფერი უვნებლად გადარჩა. ამხ. სერებროვსკი დაუყოვნებლივ შეიყვანეს მოსკოვში და მოათავსეს კრემლის საავადმყოფოში. ექიმების დასკვნით ორი სამი კვირის შემდეგ ნეკნები შეიზრდება. ამხ. სერებროვსკი თავს დამაკმაყოფილებლად გრძნობს (ადს).

აღმშენებლობა ზუგდიდის მაზრაში

21—22 წ. წ. იწყება ჩვენში სახალხო მეურნეობის ფართო აღმშენებლობითი მუშაობა. სამწუხაროდ ამ საერთო აღმშენებლობიდან ჩამორჩენილი იყო ზუგდიდის მაზრა. ზუგდიდის მაზრის მშრომელი მოსახლეობას საბჭოთა აური არ უნახავს 1926 წლის დასაწყისამდე ამრიგად ის შეიძლება ითქვას მთელი ხუთი წლით ჩამორჩა საქართველოს დანარჩენ მაზრებს. როგორც სოფლის, ისე განსაკუთრებით ქალაქის მეურნეობა სავალალო მდგომარეობაში იყო. მაგალითად: უსინათლობა, ქუჩები დანგრეული, თხრილები ჭაობად გადაქცეული, კომუნალური შენობები თითქმის დამპალი ორი დიდი სახალხო განადგურებული იყო, საშუალო სასწავლებლის შენობები დანგრევის კარზე იყო მიმდგარი, აგრეთვე საავადმყოფოები და ამბულატორიები შენობების უვარგისობის გამო უნდა დახურულიყვნენ, ქალაქს არ გააჩნდა სრულიად აბანო; ასეთივე მდგომარეობაში იყვნენ ყველა თემების სკოლები და სხვა დაწესებულებები.

1926 წლიდან დღემდე ყველა ზემოდჩამოთვლილი დანგრეული მეურნეობანი აღდგენილია, ხოლო ახალი აშენდა შემდეგი: აბანო საუცხოოდაა მოწყობილი,—დაჯდა 22.000 მანეთი, ქუჩების ქვაფენილი ხუთი ვერსის მანძილზე, აღდგენილია და მუშაობს სპირტის ქარხანა, ამუშავებულია ყველა სახერხი ქარხნები. ამ დღეებში იქნა გაშვებული შამგონის დიდი სახერხი ქარხანა, რომლის მსგავსი ჯერ მაზრას არაფერი უნახავს. ჯერ-ჯერობით აქ მუშაობს 130 მუშა, სამ-ოთხი თვის შემდეგ იქნება დაახლოვებით 180-მდე. გარდა ამისა აღდგენილ ქარხნებშიც იქნება ამდენივე მუშები ჩაბმული მუშაობაში. მდ. ხობის და ინგურის რკინის გზის ხიდებზე მუშაობს 700 მუშა, ესეც ერთი წელია რაც დაიწყო. ამრიგად, ამ ერთ-ნახევარ წლის განმავლობაში მუდმივ სამუშაოზე დაახლოვებით მაზრაში ჩაბმულია 1.300-მდე ადგილობრივი ღარიბი გლეხობა, რამაც საგრძნობლად შეამსუბუქა უმუშევრობის საკითხი. პარტიის და ხელისუფლების უმაღლეს ორგანოების ყურადღების წყალობით ამ დღეებში გადაწყდა მეტად დიდი მნიშვნელობის საწარმოს აშენება ზუგდიდის მაზრაში, რაც დიდად წინ წასწევს მაზრას ეკონომიურად. ეს არის ქაღალდის ქარხნის აშენება ს. ჯვარში და გარდა ამისა რკინის გზის შტოს გაყვანა ს. ჯოლეჯაიანიდან ს. ჯვარამდე ქ. ზუგდიდში გავლით.

ზოგიერთებს ეგონათ, რომ ქაღალდის ქარხნის აშენება შამგონში უფრო ხელსაყრელი იქნება მაზრისათვის და მით უმეტეს ქალ. ზუგდიდისათვის, მაგრამ ასეთი აზრი არ გამოდგა მართალი, როგორც ქარხნისათვის, ისე მაზრისათვის და თვით ქალ. ზუგდიდისათვის ჯვარში ქარხნის აგება მეტი ხელსაყრელი შეიქნა. ქ. ზუგდიდი სულ ყოველთვის ნაწყენი იყო რკინის გზის მხრივ და დარჩებოდა სამუდამოდ რომ ჯვარში ქაღალდის ქარხანა არ დაწყებულიყო, ვინაიდან ჯვარამდე რკინის გზას არავინ გაიყვანდა და ზუგდიდი დარჩებოდა რკინის გზის ლიანდაგიდან დაშორებით, ეხლა გზა შიგ ქალაქში გაივლის, ამას კი რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს ქ. ზუგდიდისათვის.

გარდა ამისა რკინის გზის ხაზი გაივლის 35 ვერსის მანძილზე მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში. ამ მანძილზე იქნება არა ნაკლებ სამი სადგურისა, რის საშუალებით გაუადვილდება ზემო სამეგრელოს გლეხობას ბაზარზე გაიტანოს სოფლის ნაწარმოები. ამრიგად ს. ჯვარში ქაღალდის ქარხნის აგებამ დიდი მტკივნეული საკითხი ერთხელ და სამუდამოდ გადასჭრა ქალ. ზუგდიდის სასარგებლოდ. მთავრობის გადაწყვეტილებამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ქალაქის და მაზრის მშრომელ მოსახლეობაში. ზუგდიდის მაზრის მშრომელი მოსახლეობა დღეს ღრმად დარწმუნებულია, რომ არც ერთი მთავრობა არ მისცემდა ზუგდიდის მაზრას იმის მესამედსაც, რაც მან მიიღო ამ ერთ ნახევარ წლის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლებისაგან. დღემდე თუ ამის თქმა ეჭვს გამოიწვევდა, დღეს შეიძლება თამამად ითქვას, რომ ზუგდიდის მაზრა უკვე გაუთანასწორდა საქართველოს დანარჩენ მაზრებს სოფლის და ქალაქის მშენებლობის მხრივ.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ის არ ჩამორჩება მომავალშიც სხვა მაზრებს და მათთან ერთად იქნება ჩაბმული საერთო აღმშენებლობაში. ასეთი იმედითაა გამსჭვალული დღეს მთელი მშრომელი მოსახლეობა. დღეს იქით სრულებით არა აქვს გასავალი ჩვენი მოწინააღმდეგეების გველურ სისინს. ამას წინეთ ერთ-ერთ თემში შემოსულიყო ვიღაც „ცნობების ამკრეფი“ მოქალაქე. ამ თემის მცხოვრებმა ეს არ მოეწონათ და „პატივისცემული“ სტუმარი მუშურ-გლეხურ მილიციას ჩააბარეს. ეს მაგალითი იმას მოწმობს, რომ აღმშენებლობითი მუშაობაში ჩაბმული მშრომელი გლეხობა ვერ ითმენს ხელის შემშლელს.

ი. ჟვანია.

პარტიული ცხოვრება

გავაძლიეროთ მუშაობა თავდაცვისათვის

თბილისის კომიტეტს, ყველა საოლქო, სამაზრო და სარაიონო კომიტეტებს

თანდათან ძლიერდება ახალი ომის საფრთხე; იმპერიალისტური სახელმწიფოები ემზადებიან ერთიანი ფრონტის შესაქმნელად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოლაშქრებისათვის, ადგილი აქვს მთელ რიგ გაუგონარ პროვოკაციულ გამოსვლებს, საბჭოთა კავშირის დიპლომატიურ და სავაჭრო წარმომადგენლების ჩხრეკას ჩინეთში და ინგლისში; შეწყვეტილია დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობა ინგლისთან. პოლონეთში მოკლულ იქნა ამხ. ვოიკოვი, საბჭოთა კავშირში გახშირდა ტერორისტული აქტები და ჯაშუშობა; თავს ესხმიან მთელ რიგ მოწინავე ამხანაგებს და სხვა. ყოველივე ეს ნათელი მაჩვენებელია იმ გააფთრებულ ანტისაბჭოთა კამპანიისა, რომელსაც მეთაურობს და ხელმძღვანელობს დიდბრიტანეთის კონსერვატიული მთავრობა.

მიუხედავად მშვიდობიანი პოლიტიკისა, რომელსაც საბჭოთა კავშირის მთავრობა ატარებს ყველა ქვეყნების მიმართ, მსოფლიო ბურჟუაზია ყოველგვარი საშუალებით სცდილობს შეუშალოს ხელი მშვიდობიანობის საქმეს და დაანთოს მსოფლიო ომის ცეცხლი.

სოც. საბჭ. რესპუბლიკების კავშირის წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით სდგას ამოცანა ქვეყნის თავდაცვის გაძლიერებისა საბჭოთა კავშირის მშრომელი მოსახლეობის გასამხედროების ენერგიულად გატარების გზით.

წითელ არმიასთან ერთად თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოება უდიდეს როლს თამაშობს საბჭოთა კავშირის თავდაცვის გაძლიერების საქმეში.

მომავალი ომის წარმოების ხასიათი აუცილებლად მოითხოვს, რომ მთელი საბჭოთა სახელმწიფოს ყველა დასახლებული და საცხოვრებელი პუნქტები მომზადებულ იქნან თავდაცვისათვის.

ამ საქმის მომზადებაში უმთავრესი როლი ეკისრება საზოგადოებრივ ორგანიზაციას—თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობ საზოგადოებას, რომელიც მოწოდებულია გაასამხედროვოს მოსახლეობა.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკა, გამოდის რა ზემოთქმულიდან და აქცევს რა თქვენს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების ორგანოების მუშაობის მდგომარეობა ადგილებზე ვერ არის დამაკმაყოფილებელი, წინადადებას გაძლევთ სერიოზული ყურადღება მიაქციოთ თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების მუშაობის გამოცოცხლებას და გაძლიერებას ადგილებზე, შემდეგი წესით:

1) რომ წარმატებით ჩატარდეს კამპანია (კვირეული), რომელსაც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის თავდაცვა ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოება აწყობს ა. წ. 10-დან 17 ივლისამდე, პარტიულმა ორგანიზაციებმა ადგილობრივ თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობ საზოგადოებასთან ერთად უნდა გამოჰყონ სპეციალური კომისია საოლქო, სამაზრო ცენტრებში ადგილობრივი აღმასკომების თავმჯდომარეთა ან სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეთა თავმჯდომარეობით, კომისია უნდა გამოჰყონ აგრეთვე სარაიონო ცენტრებში და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი კვირეულის ჩატარებასთან დაკავშირებულ საგიტაციო და საორგანიზაციო ღონისძიებათა მომზადებას. სათანადო კამპანია უნდა ჩატარდეს პრესაში. კვირეულის მიზანია: საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია გასამხედროების და თავდაცვის საკითხების ირგვლივ, აგრეთვე თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების ფინანსიური მდგომარეობის გაძლიერება პრაქტიკული მუშაობის გაძლიერებისათვის. მსროლელთა ტირების, მსროლელთა წრეების, გაზით მოწამლულთათვის პირველი დახმარების აღმოჩენის, ავიოსპორტის, საჰაერო ქიმიური თავდასხმის ინსცენიროვკის და სხ. მოწყობა. დაიწყოს შემოწირულების შეგროვება ესკადრილიის „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს“ სასარგებლოდ; შემოწირულების შეგროვება უნდა სწარმოებდეს პრესაში გამოწვევით, სამუშაო ხელფასიდან ანარიცხების გადადებით, ყულაბებით შეგროვებით, სხვადასხვა სანახაობებზე პროცენტების დაწესებით, ინდივიდუალური შემოწირულებით და სხ.

2) აუცილებელია სასწრაფოდ იქნას მიღებული სათანადო ზომები თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობ საზოგადოებასთან ერთად, რომ მოეწყოს ჩამოსაფრენი მოედნები (აეროდრომები), ხოლო თანხები ამისათვის, ჩვენი წინანდელი დირექტივის თანახმად, უნდა იქნას გამონახული ადგილობრივ (აღმასკომების და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების დახმარება).

3) თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობ საზოგადოებაში ჩაბმულ უნდა იქნან კომპარტიის და ახ. ლენ. კომკავშირის ყველა წევრები და კანდიდატები, ჩაბმულ უნდა იქნან როგორც თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობ საზოგადოების რიგებში, ისე სათანადო წრეებში, რაზმებში და გუნდებში, საზოგადოების პრაქტიკულ მუშაობაში და მის ხელმძღვანელ ორგანოებში.

4) უჯრედებს მიეცეს სათანადო დირექტივა იმის შესახებ, რომ წარმოებებში და დაწესებულებებში მოაწყონ თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოება, გააცხოველონ საზოგადოების არსებული უჯრედების მუშაობა და აგრეთვე გააძლიერონ მათი მუშაობის ხელმძღვანელობა და კონტროლი.

5) ადგილობრივ თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობ საზოგადოების საბჭოებთან და პრეზიდიუმებთან მოეწყოს კომფრაქციები, რომელთაც უნდა მიეცეთ წინადადება გააძლიერონ ხელმძღვანელობა საზოგადოების მუშაობის გამოცოცხლებისათვის.

საქართველოს კომპარტის (ბ) ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებას არაა უგვიანეს ა. წ. 5 ივლისისა უნდა აცნობოს, თუ რა ზომები იქნა მიღებული თქვენ მიერ ამ ცირკულიარული მოწერილობის შესრულებისათვის.

დაწვრილებით დირექტივებს დაგზავნის საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოება.

საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი **მ. კახიანი**.

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე **თათარიშვილი**.

კომუჯრედისა და უპარტიო მასის ურთიერთობის შესახებ

შემჩნეულია, რომ ცირკულიარს მასიურ მუშაობის შესახებ ეწვია ცირკულიარის საერთო ბედი. ის წაიკითხეს, მიიღეს მხედველობაში და.. ბევრ შემთხვევაში დავიწყებას მისცეს.

ამის გამო დღესაც არ არის იშვიათი ისეთი მაგალითები, როცა უჯრედი ნაკლებ ყურადღებას აქცევს უპარტიო მუშების მოთხოვნილებებს და განწყობილებას, რასაც შედეგათ მოსდევს ის, რომ უჯრედის ღია კრებების დღის წესრიგი მოკლებულია ინტერესს უპარტიო მასისათვის. ამასთან ერთად ადგილი აქვს ისეთ მავნე გადახრასაც, როცა პარტიულები უკან მისდევენ უპარტიოებს, რათა არ „დასცენ“ თავიანთი ავტორიტეტი. ამ მიზნით ისინი ან სრულიად არ უწევენ წინააღმდეგობას ზოგიერთ უპარტიოს მიერ წამოყენებულ მიუღებელ მოთხოვნილებებს, ან. რაც უფრო ცუდია, პირდაპირ მხარს უჭერენ მას ასეთ მოთხოვნილებებში.

მეორე მხრივ უპარტიო მასის მოთხოვნილებათა ანგარიშის გაუწევლობას ზოგიერთი პარტიულები მიჰყავთ იქამდე, რომ ისინი ამართლებენ ადმინისტრაციის ყველა ნაბიჯებს, მუშაობენ ბრძანებლობის და არა შთაგონების საშუალებით. ცხადია ამ გადახრასაც სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. ეს ხდება მაშინ, როცა ადმინისტრაცია ზოგჯერ ცდილობს მომჭირნეობა მოახდინოს ისეთ წვრილმან ხარჯებზე, როგორიცაა საპონი, ადუღებული ცივი წყალი და სხვა ამის მზგავსი.

გარდა ამისა მასიურ მუშაობის ნაკლათ უნდა ჩაითვალოს ნებაყოფლობით საზოგადოებათა საქმიანობის მოდუნება. პარტუჯრედები არ აწარმოებენ სისტემატიურ მუშაობას ნებაყოფლობით საზოგადოებებში. არ უწევენ კონტროლს ამხანაგებს, რომელნიც გაგზავნილი არიან სამუშაოთ ამ ორგანიზაციებში.

საერთოდ მასიურ მუშაობაზე უარყოფით გავლენას ახდენს ის გარემოებაც, რომ ქვედა საფეხურის პარტორგანიზაციებმა არ იციან რა და როგორ აკეთონ ამ მიმართულებით.

ყველა ამ გარემოებას ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებმა უნდა მიაქციონ ყურადღება და უნდა გადადგან ნაბიჯები მასიური მუშაობის თავის სიმაღლეზე დასაყენებლათ.

დ. ვ—ა.

დაწინაურებულ მუშების თათბირი

დაწინაურებულთა [illegible]

(თბილისი)

16 ივნისს საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტთან შესდგა დაწინაურებულთა თათბირი. თათბირმა აღნიშნა მნიშვნელოვანი გარდატეხა აპარატის დამოკიდებულებაში დაწინაურებულების მიმართ. [illegible]. გარდა ამისა შექმნილია ისეთი პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ მათი მუშაობის ნაყოფიერებას. ადმინისტრაცია და სხვადასხვა ორგანიზაციები დახმარებას უწევენ დაწინაურებულთ.

ამასთანავე თათბირმა აღნიშნა მთელი რიგი ნაკლოვანებათა, რომელთა აღმოსაფხვრელათ დასახულია შემდეგი ღონისძიებები: საჭიროა, რათა დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა დიდი ყურადღება მიაქციონ თვითეულ დაწინაურებულის მუშაობას, რეგულიარულად შეამოწმონ მისი მუშაობის მსვლელობა და პირობები და გაუწიონ მას საჭირო დახმარება. დაწესებულებათა უჯრედებმა პერიოდულათ უნდა მოისმინონ მოხსენებები დაწინაურებულის მუშაობის შესახებ, უნდა მისცენ მას საჭირო სახელმძღვანელო მითითებები და ხელი უნდა შეუწყონ დაწინაურებულთა მუშაობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.

მოწონებულ იქნა დაწესებულებებში დაწინაურებულთა მოსამზადებელ წრეების მოწყობის ცდა; წრეების ხელმძღვანელობით წამოყენებულ უნდა იქნენ ავტორიტეტული პარტიული ამხანაგები. დაწინაურებულთა მოსამზადებელ წრეების მუშაობაში მონაწილეობას უნდა იღებდეს აგრეთვე საუწყებო სპეციალისტები. დაწინაურებულთა მუშაობის შესასწავლათ და მუშაობის გამოცდილების გასაზიარებლათ პერიოდულათ უნდა იმართებოდეს დაწინაურებულთა თათბირები საქართველოს კომპარტიის რაიკომებთან და პროფსაბჭოსთან. მიზანშეუწონლად იქნა ცნობილი დაწინაურებულთა ზედმეტად დატვირთვა სხვადასხვა დავალებებით, სხდომებით, კომისიებით და სხვ., რათა დაწინაურებულს შესაძლებლობა მიეცეს სავსებით შევიდეს თავისი მუშაობის კურსში, სათანადო ყურადღება მიაქციოს მისი უშუალო მუშაობის [illegible] დაწესებულებების [illegible] უნდა მიიწვიონ დაწინაურებულნი დაწესებულების საპასუხისმგებლო სხდომებზე, რაც ხელს შეუწყობს დაწესებულების ცხოვრების გაცნობას დაწინაურებულის მიერ.

დაწინაურებულნი მიმაგრებული უნდა იქნენ დაწესებულებების უჯრედებთან და [illegible] ბას უნდა იღებდენ მათ მუშაობაში; ამასთანავე ერთად დაწინაურებულებმა უნდა შეინარჩუნონ კავშირი იმ წარმოებასთან და უჯრედთან, რომელთაც ის წამოაყენეს. ამისათვის ის პერიოდულათ უნდა აკეთებდეს მოხსენებებს წარმოების მუშათა კრების და პარტუჯრედის წინაშე.

თვითეულ დაწინაურებულის წინაშე სდგას საერთო პოლიტიკურ და სპეციალურ თვითგანვითარების ამოცანა; რაიკომების საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებებმა ინდივიდუალურად უნდა უხელმძღვანელონ დაწინაურებულის თვითგანვითარების საქმეს. გამოცდილების ერთი-მეორესთვის გაზიარების მიზნით გაძლიერებულ უნდა იქნეს დაწინაურებულთა მუშაობის გაშუქება პრესაში. გაზეთებში უნდა თანამშრომლობდენ თვით დაწინაურებულნი. საჭიროა, რათა ამ საკითხის შესახებ გაზ. „კომუნისტი“-ს, „მუშა“-ს და „რაბოჩაია პრავდა“-ს რედაქციებთან ჩატარებულ იქნეს დაწინაურებულ კორესპონდენტების თათბირი. თათბირმა მიმართა თხოვნით ს. კ. პ. ბ. კ. ს. კ: და ს. კ. პ. ცეკას ბეჭდვ. სიტყვის განყოფილებებს, რათა ორგანოში „ეკონომიჩესკი ვესტნიკ ზაკავკაზია“ და საქართველოს ს. მ. უ. ს. ჟურნალში „საქართველოს ეკონომისტი“ გახსნილ იქნეს პოპულიარული განყოფილებები დაწინაურებულთათვის მათი ტეხნიკური და საერთო ცოდნის შესავსებათ.

სათანადო პროფესიონალურ და პარტორგანიზაციების წინაშე დასმულია საკითხი დაწინაურებულ სამეურნეო და საბჭოთა მუშაკების საქმიანი კლუბის დაარსების შესახებ.

ფრაქციების მუშაობა საბჭოებში

კომუნისტური ფრაქციები ზუგდიდის მაზრაში ყველა საბჭოებში არის ჩამოყალიბებული. 1924 წლამდე ფრაქციების მუშაობა უმნიშვნელო იყო და ადგილობრივ ამხანაგებს ჰქონდათ შეთვისებული ასეთის მნიშვნელობა. 1925 წლიდან მდგომარეობა საგრძნობლად იცვლება. სამზრკომის მიერ მიღებულმა ენერგიულმა ზომებმა, მიზანს მიაღწია მრავალჯერ იყო მოწვეული უჯრედების მდივნების თათბირი, მრავალჯერ მოეწყო თათბირი ფრაქციების მდივნების, სადაც შესწავლილ იქნა მუშაობა. და რაც დრო გადიოდა, მით უფრო და უფრო ღრმავდებოდა მათი მუშაობა. წელს კი მივაღწიეთ სრულიად ნორმალურ მუშაობას.

არ არის ისეთი საბჭო მაზრაში, სადაც ფრაქციის მუშაობა არ იყოს სამაზრკომს მოსდის აუარებელი ოქმები ფრაქციის დადგენილებისა, სადაც სჩანს, რომ ფრაქცია მართლაც მოქმედებს, მუშაობს, და არჩევს თემის ყველა საჭირბოროტო საკითხებს. ფრაქცია არამც თუ არჩევს აღმასკომის მიერ გამომუშავებულ საკითხებს წინ და წინ საბჭოს სხდომაზე დასაყენებელს, არამედ სულ ახალ-ახალ საკითხებს სვამს და ამით ის მართლაც საგრძნობ ძალას წარმოადგენს საბჭოში.

ილია ლუკავა.

ა.-კ. ქალთა შორის მომუშავეთა თათბირი

პირველი სხდომა

გუშინ საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტში გაიხსნა ქალთა განყ. გამგეობის ა.-კ. თათბირი. დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1. საერთაშორისო მდგომარეობა, 2. სადელეგატო კრებების მუშაობა 26—27 წ., 3. მშრომელ ქალთა მონაწილეობა საბჭოების მუშაობაში, 4. მასიური მუშაობა მუშა და გლეხ ქალთა შორის, 5. ქალთა ყოფა - ცხოვრების საკითხებზე, 6. ადგილობრივი ბიუჯეტი და 7. მიმდინარე საკითხები.

თათბირი გახსნა ამხ. შავერდოვამ, რომელიც მოკლე შესავალი სიტყვის შემდეგ გამოვიდა მოხსენებით სადელეგატო კრებების მუშაობის შესახებ.

26—27 წ. მოწვევის დელეგატთა კრებების მუშაობას ა.-კ. ქალთა განყ. სისტემატიურ ხელმძღვანელობას უწევდა, დაიწყო ამხ. შავერდოვამ, ჩვენ მიერ ტარდებოდა ადგილებზე გამოკვლევები. უკანასკნელ წელში სადელეგატო პუნქტები და მათში შემავალი დელეგატ ქალთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა.

ნორმალურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის, რომ დელეგატთა შემადგენლობაში მეტი წილი მეოჯახე ქალებია. უნდა აღინიშნოს, რომ დელეგატთა მოსაქმეების მიხედვით უკანასკნელი ადგილი უკავია სოფლის მოჯამაგირე და ბოგანო ქალებს. მომავალში ჩვენი მუშაობა — ამბობს მომხსენებელი — მიმართული უნდა იყოს ამ ნაკლის გამოსასწორებლად.

26—27 წლის გადარჩევები დასწრების მიხედვით სავსებით დამაკმაყოფილებელი ვერ იყო, რადგანაც ადგილების მიერ დასაწყისშივე არ იყო გამოყენებული ყოველივე საშუალებები. (მაგ. გლეხთა კრებები, საბჭ. ყრილობა საბჭ. სხდომები და სხვა).

ამ წელში პროგრამა ადგილობრივ პირობებს უფრო ეგუებოდა და ამისათვის მან ნაყოფიერი შედეგებიც მოგვცა.

მუშაობის პრაქტიკული მხარე საგრძნობლად სუსტია, არ არის კავშირი საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და ამისათვის უკანასკნელებში მუშაობა სუსტად მიმდინარეობს. მომავალში საჭიროა ამ მიზნით დაწესებულებებზე და საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე მიმაგრებული იქნას წარსული წლის დელეგატი ქალებიც. მიმაგრების მიზანი უნდა გამოიხატებოდეს დაწესებულებების მუშაობის გაცნობაში და არა კონტროლში, რომელიც ხშირად გაუგებრობას იწვევს.

გადადის რა ხელმძღვანელთა შემადგენლობის საკითხზე. მომხსენებელი ამბობს—ქალთა შორის მომუშავენი, უმთავრესად სოფლად, სუსტები არიან პოლიტიკური ცოდნის მიხედვით. საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს სათანადო ყურადღება.

მოხსენების დამთავრების შემდეგ გაიმართა კამათი. გამოსული ამხანაგები აღნიშნავდენ,—რომ 26—27 წლის სამეცადინო პროგრამა სავსებით ვერ აკმაყოფილებდა უმთავრესად სოფლის სადელეგატო პუნქტებს, საზოგადოებრივი და საბჭოთა ორგანოები სადელეგატო კრებებს უყურებენ როგორც ქალთა კრებას და ამისათვის მას ანგარიშს არ უწევენ, ეს მოვლენა ადუნებს საზოგადოებრივ პრაქტიკულ მუშაობის საქმეს.

პირველი სხდომა დაიხურა ამხ. შავერდოვის მოხსენების ირგვლივ გამართული კამათით.

ვ. დ.

ამხ. ლადო ხოზერიძის ხსოვნას

ამხ. ლადო ხოზერიძე დაიბადა 1878 წ. ქ. ხაშურში. მამა მისი იყო საყლოის მუშა. განათლება მიიღო ხაშურის რკინის გზის სასწავლებელში. დამთავრების შემდეგ შევიდა საყუდში, სადაც ებმება რევოლიუციონურ მუშაობაში. პირველად ხაშურში დემონსტრაცია 1903 წელს მოხდა. ამ დემონსტრაციაზე დააპატიმრეს ამხ. ლადო, როგორც დემონსტრაციის ხელმძღვანელი. ციხეში მან დაჰყო 2 ნახ. წელ. შემდეგ კი გაგზავნილ იქნა როგორც პოლიტიკურად არა საიმედო პირი პეტროვსკის გამასწორებელ სახლში.

1905 წ. დაბრუნდა სამშობლოში და უფრო აქტიურათ ჩაუდგა მოძრაობას სათავეში. 1906 წელს ხელმეორედ დაიჭირეს და სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, რაც შეუცვალეს 20 წლის კატორღათ და გაგზავნეს სმოლენსკის საკატორღო ციხეში.

1917 წ. რევოლიუციით განთავისუფლებული ამხ. ლადო რჩება ქ. სმოლენსკში, სადაც ხელიხელ ჩაკიდებული მუშაობს ადგილობრივ ამხანაგებთან. აქ ამხ. ლადომ გამოიჩინა რევოლიუციონერ ორგანიზატორის დიდი უნარი. ის ერთი ხელმძღვანელთაგანი იყო ოქტომბრის რევოლიუციის ქ. სმოლენსკში.

რუსეთიდან ამხ. ლადო დაბრუნდა 1927 წ. 1-ლ მაისში. ეს მგზავრობა საბედისწერო გახდა მისთვის. ის გზაში გახდა ავათ და სულ თვენახევრის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 16 ივნისს 1927 . ხაშურში.

ამხ. ლადო იყო შეუდრეკელი რევოლიუციონერი, რომელიც არ სდგებოდა არავითარ დაბრკოლების წინაშე და ენერგიულათ აწარმოებდა მუშაობას მუშურ-გლეხურ ხელისუფლების განმტკიცებისათვის.

მისი ხსოვნა უკვდავი იქნება ჩვენს გულში.

ხაშურელი.

მუშათა კონფერენციები

მესამე რაიონის მუშათა კონფერენცია

მეორე დღე

კონფერენციის მეორე სხდომაზე მისალმებით გამოვიდნენ ქართული ჯარის ნაწილების წარმომადგენლები წით. არმ. ამხ. **ნუმელაძე**, **გროსი** და **ლაბაძე**.

ამხ. წითელარმიელები აცხადებენ კონფერენციის წინაშე, რომ წითელი არმია მზადაა დაიცვას ოქტომბრის მონაპოვარი საბჭოთა ხელისუფლების ყველა მტრებისაგან.

კონფერენცია ორატორებს მხურვალე ოვაციებით ხვდება.

შემდეგ მოხსენებით ფასების დაკლების კამპანიის შედეგების შესახებ გამოდის, ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარი ამხ. **ბეკზადიანი**, რომელიც აღნიშნავს, რომ ფასების დაკლების კამპანიის სათანადო ჩატარებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის ეკონომიკის განმტკიცებისათვის; სწორედ დღეს, როდესაც ჩვენს გარშემო ომის სუნი ტრიალებს —ფასების დაკლების საქმეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

შემდეგ ორატორს მოჰყავს ცნობები ფასების დაკლების კამპანიის შედეგებზე და აღნიშნავს, რომ საკავშირო შრ. და თავდაცვის საბჭოს დირექტივა ამიერ - კავკასიაში და კერძოთ საქართველოში მთლიანად შესრულებულია. კამპანიის მსვლელობის დროს გამოირკვა, რომ ერთის მხრივ ვანხორციელებთ სამრეწველო საქონელზე ფასების დაკლებას, ხოლო ამავე დროს სასოფლო მეურნეობის პროდუქცია ძვირდება და ქალაქის მუშის ბიუჯეტზე ფასების დაკლება ვეღარ ახდენს გავლენას.

დასასრულ მომხსენებელი დაასკვნის, რომ ამჟამად მორიგ ამოცანად უნდა გადაიქცეს სასოფლო მეურნეობის პროდუქტებზე ფასების დაკლების კამპანია და ამ საქმეში ჩაბმულ უნდა იქნან საბჭოთა საზოგადოებრივობის ყველა თვალსაჩინო ძალები.

მოხსენების შემდეგ ფასების დაკლების გამსინჯავი კომისიის სახელით თანამოხსენებით გამოვიდა ამხ. **ენუქიძე**. ორატორმა გააცნო კონფერენციას, თუ რა ზომები იქნა მიღებული მუშათა კომისიის მიერ ფასების დაკლების გასინჯვის საქმეში.

თანამოხსენების მოსმენის შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ამხ. **ერემაშვილმა**, **ქანიშვილმა**, **მარტიროსოვმა**, **ხვედელიძემ** და სხვებმა.

ამხ. ბეკზადიანის საბოლოო სიტყვის მოსმენის შემდეგ მიღებულ იქნა სათანადო რეზოლიუცია.

არსენალის რაიონის მუშათა გაფართოებული კონფერენცია

მეორე სხდომა

17 ივნისის სხდომაზე დაიწყო კამათი ამხ. ლუკაშინის მოხსენების გარშემო, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ორმოცამდე ამხანაგმა.

კამათში გამოსული მუშა - ორატორები აღნიშნავდენ, რომ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს ომი არ უნდა, მაგრამ თუ იმპერიალისტები გაბედავენ ძალით მოგვახვიონ თავზე ომი, ჩვენ ყველა უპარტიო მუშები გვერდში ამოუდგებით კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას და მასთან ერთად ვიბრძოლებთ ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავად.

არსენალის მუშათა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თუ არსენალის მუშები სამხედრო იარაღის დამზადებიდან გადავიდენ სასოფლო სამეურნეო იარაღების დამზადებაზე, ეხლა დადგა დრო, როდესაც ისინი ისევ სამხედრო იარაღის დამზადებას უნდა დაუბრუნდენ. რომ ამ იარაღით გული გაუგმირონ ყველა იმათ, რომლებიც გაბედავენ მახვილის აღმართვას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

კამათის დროს კონფერენციას მიესალმენ მესამე რაიონის მუშათა გაფართოებული კონფერენციის სახელით, ამხ. **ფედიაშვილი** და **გუსეინ ალახვერდოვი** და მეოთხე რაიონის მუშათა გაფართოებული კონფერენციის სახელით ამხ. **ოგანოვი** და **ბერაძე**.

კონფერენციამ დაადგინა აირჩიოს დელეგატები მესამე რაიონის მუშათა კონფერენციისათვის მისასალმებლად. დელეგატებათ არჩეულნი იქნენ ამხ. **მაქსიმოვი**, **მესტიაშვილი** და **სარქისოვი**.

კამათის დასრულების შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. **ლუკაშინი**, რის შემდეგაც კონფერენციამ მიიღო შემდეგი

რეზოლიუცია

„მოისმინა რა ამხ. ლუკაშინის მოხსენება საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, არსენალის რაიონის მუშათა გაფართოებული კონფერენცია აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი მტკიცედ და შეუდრეკელად მიდის წინ სოციალისტური აღმშენებლობის გზაზე. ამ მიმართულებით მას უდიდესი მიღწევები აქვს იმ დროს, როდესაც საერთაშორისო იმპერიალიზმი, რომელსაც ღრღნის წინააღმდეგობანი, დღეს კვლავ აწყობს კონტრ - რევოლიუციონურ შეტევას შრომის რესპუბლიკაზე, რომელშიაც ხედავს ყველა თავისი მარცხების წყაროს.

საერთაშორისო იმპერიალიზმი, რომელსაც მეთაურობს ინგლისის შუბლმაგართა მთავრობა, სცდილობს ჩაშალოს ჩვენი ფართო აღმშენებლობა და პროვოკაციის საშუალებით ჩაგვაბას ჩვენ ომში. ამ მიზნით მან მოაწყო ბანდიტური თავდასხმები ჩვენს წარმომადგენლობებზე ჩინეთში და ინგლისში, ჩაშალა დიპლომატიური ურთიერთობა ინგლისთან, მხეცურად მოჰკლა ჩვენი სრულუფლებიანი წარმომადგენელი ამხ. ვოიკოვი და სხვ.

ინგლისის იმპერიალისტების მახინაციებით წაქეზებულები ჩვენი „ბატონი“ მენშევიკები კვლავ ამზადებენ საზღვარგარეთ ახალ ავანტიურას საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ.

ყველაფერი ეს ლაპარაკობს იმაზე, რომ საერთაშორისო კაპიტალი მუშათა კლასის გამყიდველებთან — მენშევიკებთან ერთად ისევ სცდილობს გამოიწვიოს ახალი სისხლის ღვრა მრავალი მილიონი მსხვერპლით.

ყველა ამ თავდასხმებს ჩვენი მთავრობა და მასთან ერთად საბჭოთა კავშირის მთელი მუშათა კლასი და გლეხობა უპასუხებს: „ჩვენ მშვიდობიანობა გვინდა, მაგრამ ომისათვის ყოველთვის მზად ვართ“.

სოციალისტური მეურნეობის განმტკიცება და ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის გაძლიერება—მთავარი ამოცანაა, რომელიც სდგას ამჟამად საბჭოთა კავშირის მშრომელთა წინაშე.

ძირს შუბლმაგრები და მუშათა კლასის გამყიდველები!

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარობას!

გაუმარჯოს სოციალისტურ აღმშენებლობას და საბჭოთა კავშირის თავდაცვას!

გაუმარჯოს მშრომელთა დამცველს—წითელ არმიას!

გაუმარჯოს ჩინეთის მშრომელთა რევოლიუციონურ ბრძოლას!

გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიას (ბ) და კომინტერნს!“

მეოთხე რაიონის მუშათა კონფერენცია

მიმდინარე მომენტის შესახებ

16 ივნისს საღამოს სხდომაზე, მუშათა სასახლის დიდ დარბაზში გაიხსნა მეოთხე რაიონის მუშათა გაფართოებული კონფერენცია. კონფერენცია გახსნა ამხ. ვ. ფანცხავამ, რომელიც თავის მოკლე შესავალ სიტყვაში მიესალმა კონფერენციის მონაწილეთ და აღნიშნა კონფერენციის მოწვევის მიზეზები. ამხ. ფანცხავას წინადადებით კონფერენცია ირჩევს 17 კაცისაგან შემდგარ საქმიან პრეზიდიუმს. შემდეგ დამტკიცებულ იქნა ასეთი დღის წესრიგი: მოხსენება საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ და მოხსენება ფასების დაკლების კამპანიის შედეგებზე.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდნენ ამხ. რუბენი და მამულია. ამით დამთავრდა პირველი სხდომა. მეორე სხდომაზე გუშინ საღამოს გაგრძელდა მოხსენებების ირგვლივ კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს მთელ რიგ მუშებმა. ისინი ერთხმად აცხადებდნენ, რომ მზად არიან ყოველწუთში იბრძოლონ ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავად.

კამათის დასრულების შემდეგ კონფერენციამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია.

მე-4-ხე რაიონის გაფართოებულმა, მუშათა კონფერენციამ მოისმინა რა მოხსენება ამხ. რუბენის და მამულიასი ს. ს. რ. კ. საერთაშორისო მდგომარეობაზე, აღნიშნავს, რომ ინგლისის რეაქციონური მთავრობის „შუბლმაგართა“ ხელმძღვანელობით მეომარი იმპერიალიზმი აშკარად დადგა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლის გზაზე. თავდასხმა ჩვენს პოლიტიკურ წარმომადგენლობაზე — პეკინში, შანხაიში, ლონდონში, დიპლომატიური ურთი - ერთობის გაწყვეტა და მკვლელობა პოლიტიკურ წარმომადგენლისა ვარშავაში ამხ. ვოიკოვისა, ტერორისტული ბანდიტური აქტები და აფეთქება ფაბრიკა - ქარხნებისა, საბჭოთა ტერიტორიაზე, მოწყობილი ინგლისის ცოფ-მორეულ „შუბლმაგართა“ იმპერიალისტური ხელით, მოწმობენ მას, რომ მზადდება ახალი მსოფლიო ომი, ახალი კონტრ - რევოლიუციონური გამოსვლა ს. ს. რ. კ. სოციალისტური ქვეყნის აღმშენებლობის წინააღმდეგ.

იმპერიალისტების საომარ პოლიტიკას ჩვენ შევხვდებით აღმშენებლობის კიდევ უფრო გაფართოებით შრომის ნაყოფიერების გადიდებით, ჩვენ არ მივსცემთ საშუალებას ინგლისის „შუბლმაგართა“ კაბინეტს გაითარეშოს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და ხელი შეუშალოს სოციალისტურ მშენებლობას. ჩვენ უფრო მჭიდროთ და მაგრათ შევაკავშირებთ ჩვენს რიგებს მუშათა და გლეხთა მთავრობის და კომპარტიის ირგვლივ და დავიცავთ დიად ოქტომბრის მონაპოვარს.

კონფერენცია ამასთანავე აღშფოთებით აღნიშნავს, რომ ბურჟუაზიის ლაქიები, მე-2 ინტერნაციონალის ბელადები, ჟულიკ - მენშევიკების სახით, აწარმოებენ მოღალატურ პოლიტიკას, სცდილობენ ჩააჩუმონ სიფხიზლე მუშათა კლასში და მთელი ქვეყნის მშრომელებში და ჩააგონონ მშრომელებს ის ილიუზიები, რომ ომების პერიოდმა უკვე განვლო და რომ ერთა ლიგა წარმოადგენს მშვიდობიანობის იარაღს, და არა ომის საფრთხეს. ისინი ცდილობენ აგრეთვე შთააგონონ მუშათა კლასს, რომ მომავალ ომში, რომელიც მიმართულ იქნება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დაიცვან ნეიტრალიტეტი. საქართველოს მშრომელები, რომლებიც აქტიურად ჩაბმული არიან სოციალიზმის აღმშენებლობაში, და რომლებიც კარგათ იცნობენ მენშევიკებს, როგორც იმპერიალისტების აგენტებს და მუშათა კლასის მტრებს, არ დაუშვებენ მენშევიკურ ავანტიურას და არ წამოეგებიან „შუბლმაგართა“ პროვოკაციულ ანკესზე.

თავ შეკავება, სიფხიზლე და მედგარი ერთსულოვანი პასუხი—აი როგორი პასუხი უნდა გავსცეთ მტრებს.

გაუმარჯოს მსოფლიო მებრძოლ შტაბს პროლეტარულ რევოლიუციისას კომუნისტურ პარტიას.

ფოცხიშვილი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ნათესების მდგომარეობა

გორი, 17 ივნისი. 15 ივნისს გორის მაზრაში ნათესების მდგომარეობა განისაზღვრება შემდეგი ბალებით: შემოდგომის ხორბალი—2,9 გაზაფხულის — 2,9, შემოდგომის ქერი — 2,9, გაზაფხულის — 2,9, სიმინდი — 3,1 ვენახები 3,1 ბალები — 2,5.

ნათესების მდგომარეობის გაუარესება გამოწვეულია გვალვით და მავნებლებით. (ადს)

ხილის საშრობის აგება

გორი, 17 ივნისი. ჩამოვიდა საქართველოს ს. მ. უ. ს. კომისია სოფელ მეჯვრისხევში და შინდისში ხილის საშრობის ასაგებ ადგილის ასარჩევად. (ადს)

რადიო დადგმულობანი

სიღნაღი, 17 ივნისი. სიღნაღის, ლაგოდეხის, ველისციხის და კაკაბეთის 4 ქოხ - სამკითხველოში დადგმულია რადიომიმღები სადგურები. ხსენებულ ქოხ - სამკითხველოებთან ეწყობა რადიოს მოყვარულთა წრეები. (ადს)

აგრონომების ექსკურსია

თელავი, 17 ივნისი. მუკუზანში ჩავიდა აგრონომთა სამეცნიერო ექსპედიცია მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგის აგრონომ გედევანიშვილის ხელმძღვანელობით. ექსკურსიამ დაათვალიერა მუკუზანის სახალხო მამული და თელავის მაზრის სხვა აგრონომიული პუნქტები. აქედან ექსკურსია გაემგზავრება წნორის რაიონში სიღნაღის მაზრის აგრონომიულ პუნქტების დასათვალიერებლად (ადს).

აბრეშუმის პარკის მოსავალი

თელავი, 17 ივნისი. დაიწყო კამპანია ახალი მოსავალის აბრეშუმის პარკის დასამზადებლად. „საქართველოს აბრეშუმმა" მოაწყო 6 მისაღები პუნქტი (ადს).

ვენახების მდგომარეობა

თელავი, 17 ივნისი. ხელსაყრელი ამინდების გამო ვენახების მდგომარეობა კარგია. მოსალოდნელია კარგი მოსავალი (ადს).

აჭარისტანი

მესაქონლეობის გაუმჯობესება

ბათომი, 16 ივნისი. მიწადმოქმედების სახ. კომისარიატმა აჭარისტანის სასოფლო-სამეურნეო ბანკის წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რათა მისცეს გრძელვადიანი სესხი 8.000 მან. რაოდენობით ჯიშიანი საქონლის შესაძენად. ადგილობრივი საქონლის ჯიშის გასაუმჯობესებლად ხულოში გაიხსნება 5 საგრილებელი პუნქტი (ადს).

პლაჟის სამდღიური

ბათომი, 16 ივნისი. 17, 18 და 19 ივნისს ბათომში ჩატარდა პლაჟის სამდღიური. ამ დღეების განმავლობაში მოეწყობა სამდღიურის მონაწილეთა საზეიმო მსვლელობა, ყველა მუშათა კლუბებში გაიმართება ლექციები პლაჟის შესახებ, ზღვის პირის ბულვარში მოეწყობა დიდი სეირნობა, ხოლო თეატრებში გაიმართება წარმოდგენები და სხვა (ადს).

წერკუმსის სკოლების გამოშვება

ბათომი, 16 ივნისი. მეცადინეობა აჭარისტანის წერკუმსის ყველა სკოლებში დამთავრდა. წელს წერკუმსის სკოლები დაამთავრა 3.000 კაცმა; ეს ციფრი შარშანდელთან შედარებით სარეკორდოა (ადს).

სესხი გლეხობას

ბათომი, 17 ივნისი. აჭარისტანის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა ქობულეთის აღმასკომს მისცა სესხის სახით 1.700 მანეთი ნაგვარევიდან ციხის ძირში გადასახლებულ გლეხებისათვის დახმარების გასაწევად. (ადს)

მკვლელობა შურისძიების ნიადაგზე

ბათომი, 17 ივნისი. იუსუფ მახარაძემ მხეცურად მოჰკლა ნავთის სინდიკატის მცველი რაზმის უფროსი ამხ. სემიონოვი. მკვლელობის მიზეზია მახარაძის ადგილიდან დათხოვნა თავის მოვალეობისადმი არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებისათვის. მკვლელი მიიმალა. მიღებულია ზომები მის აღმოსაჩენად. (ადს)

წერილები

ამხ. ვანო სტურუას სახელობის არტელი

(საგარეჯო, გარე-კახეთი)

1924 წელს მაისის თვეში საძირკველი ჩაეყარა საგარეჯოში ამხ. „ვანო სტურუას" სახელობის არტელს. არტელში ხუთი კაცია; მამული აქვთ სივრცით 8 დესეტინა—ვაზით და ხეხილით გაშენებული. ეს მამული წინეთ ეკუთვნოდა გარე-კახეთში განთქმულ მემამულეს ვინმე აღაბაბოვს. მამული ამ ჟამად დამუშავებულია აგრონომიის უკანასკნელი სიტყვით. არტელი მისდევს მეფუტკრეობას, საკუთარი ფუტკარი ჰყავთ რვა ძირი, ხოლო მათვე აქვთ დავალებული მოვლა-პატრონობა 114 ძირი სკის, რომელიც ამ ჟამად ეკუთვნის თბილ. აღმასკ. სიადგ. მამულთ განყ. არტელს აქვს ორ სართულიანი სახლი, მარანი და საკმაო ინვენტარი. შარშან სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კომისიამ საგარეჯოში „არტელი" საუკეთესო მეურნეობის წარმოებისათვის დააჯილდოვა „ხანიავებელი მანქანით". სპეც. მეფუტკრის ამხ. რუმიანცევის აზრით მთელ გარე-კახ. ყველაზე უკეთ არტელის ფუტკარი არის მოვლილი. სრ. რუსეთის ბანკმა მისცა არტელს გრძელვადიანი სესხი 500 მანეთი, მაგრამ ეს მათთვის არ კმარა, რადგან მამული თხოულობს უფრო უკეთ დამუშავებას ამხ. ვ. სტურუას მიერ ნახვა ამ არტელისა საჭიროდ მიგვაჩნია—რადგან ამას მოითხოვენ თვით არტელის წევრები. საჭიროა მეტი დახმარება და მეტი ყურადღება არტელისადმი.

გ. გარსიაშვილი.

გამოგვიგზავნეთ სხვა ექიმი

(გამოჩინებ. თემი. ქუთ მაზრა).

გამოჩინებულის თემი შესდგება 2.000-მდე კომლისაგან. ნახევარი მოსახლეობა მალარიით არის დაავადებული. ამ შემთხვევაში კარგ ექიმს ბევრის გაკეთება შეუძლია რჩევა-დარიგებით, სათანადო ექიმობით და სხვა. მაგრამ აქაური ექიმი ქემურჯიევი ამას მოკლებულია. მას ერთი ნაკლებათ ესმის ქართული ენა, მეორე ის, ხშირათ არაა საექიმო პუნქტში, რადგან აქიმათაა კიდევ ხეიას წყაროს ხიდზე.

თემის საბჭომ მგონი ერთხელ გამოიტანა ექ. ქემურჯის შესახებ დადგენილება, რომ ის გადაეყვანათ აქედან და დაენიშნათ ისეთი ექიმი, რომელიც მართლაც გაიგებდა გლეხების ვულის ტკივილს, მაგრამ ჯერ-ჯერობით მაზრას არ მიუღია ზომები ამის შესახებ. ავადმყოფის პატრონები იძულებული ხდებიან მიმართონ სამტრედიაში ექიმებს და ამ სიშორეზე იარონ. ეხლა ზაფხულია და სხვადასხვა სენი უფრო გაიდგამს ფეხს. საჭიროა მაზრამ იზრუნოს ამაზე.

საჯავახოელი.

წერილებიდან

— **ქოხ-სამკითხველოს დაარსება.** (ს. ოფშკვითი, ქუთაისის მაზრა). სოფლის აქტივის შრომით შეძენილი იქნა ქოხ-სამკითხველოს შენობა. 1 მაისიდან უკვე გაიხსნა სამკითხველო. 20 მაისს შესდგა ზედა ოფშკვითის სამკითხველოს წრის კრება, რომელმაც ერთხმად დაადგინა, რომ სამკითხველოს დაერქვას ამხ. მარიამ ორახელაშვილის სახელობის ზედა ოფშკვითის სამკითხველო.

გამგეობა.

— **ჩვენი ნაკლოვანებანი.** (წითელ-ქალაქის თ., გორის მ.). ამ თემში ბევრია კერძო მოვაჭრენი, უმთავრესად მიკიტნები, რომლებიც ტყავს აძრობენ გლეხებს. საჭიროა მათი ალაგმვა. გარდა ამისა ძლიერ შეწუხებული არიან აქაური მცხოვრებნი უგზოობით. გაფუჭებულია მთავარი გზა, რომელიც აერთებს წითელ ქალაქს გორთან. ძლიერ გაძნელებულია მიმოსვლა სამაზრო ცენტრთან. საჭიროა ამ ნაკლის გამოსწორებას ყურადღება მიაქციოს თავმჯდომარემ.

მუშა.

— **მეტეხის ხიდი.** (ს. მეტეხი, გორის მ.). ამ ხიდის აგება დაიწყეს 1924 წ. ხიდს დიდი მნიშვნელობა აქვს მტკვრის გაღმა მდებარე სოფლებისათვის, ამ სოფლებს აერთებს რკინის გზასთან. ეს ხიდი დღეს უკვე დამთავრებულია. გლეხობა დიდი მადლიერია ჩვენი ხელისუფლების ამ ხიდის აშენებისათვის.

გ. ქ.

— **მიეცით კუთვნილი ფული.** ლენინის ქუჩის შესახვ. № 4 მეპურის დუქანში მუშაობდა ყრუ-მუნჯი მოქ. ტ. ჩლაიძე, რომელსაც მეფურნესაგან ერგება 60 მან. უკანასკნელი არ აძლევს კუთვნილ ხელფასს. ყრუ-მუნჯმა არ იცის როგორ აზღვევინოს ხელფასი მეფურნეს. შრომის ინსპექტორმა უნდა მიხედოს.

სხვაველაშვილი.

— **დაიცავით ისტორიული ნაშთი.** (გარე-კახეთი). პატარძეულის თემიდან 6—7 ვერსის შორიებით, ცივ-გომბორის მთების კალთებზე გაშენებულია მონასტერი „სამება". მონასტერი ირგვლივ გარშემორტყმულია თლილი ქვის გალავანით, რომლის სიმაღლე 6—7 არშინს აღემატება. ეზოს შუა ადგილზე მოთავსებულია ეკლესია. ტაძარი მოჭარგულია ჩუქურთმებიანი ქვებით, მრავალი ასო-მთავრული წარწერებით. შენობები ინგრევა, მეცხვარეები დაუზოგველად ეპყრობიან ძველ ისტორიულ ნაშთს. საჭიროა მფარველობა გავუწიოთ ძველ ისტორიულ ნაშთებს.

ს. ცაიშვილი.

— **გლეხობა კმაყოფილია.** (ქოდალოს უბანი, სიღნაღის მ.). გურჯაანის უბნის სახ. სასამართლომ 17-დან 30 მაისამდე მოაწყო სესია იორმუღანლოს, კაკაბეთის, ყარაღაჯის და კაჭრეთის თემებში. ამ ხნის განმავლობაში მან გაარჩია 310 საქმე. სასამართლოს ახლდა იურისკონსულტი, რომელიც ახსნა-განმარტებას აძლევდა გლეხებს სხვადასხვა საკითხებზე. გლეხები ძლიერ კმაყოფილია სასამართლოთი.

გ. თამაზაშვილი.

— **პური და სიმინდი გაძვირდა** (ქუთ. მაზრა, ს. ტობანიერი). სოფელში ამ ბოლო დროს პური და სიმინდი გაძვირდა. გირვანქა პური ღირს 12—13 კაპ. სიმინდიც გაძვირდა. ერთი თვის წინად ფუთი სიმინდი 1 მან. ღირდა, ეხლა კი ორი მან. ღირს. ჩარჩებმა და კულაკებმა გაავრცელეს ხმა, რომ გირვანქა პური თბილისშიც 13 კაპ. ღირსო. დასავლეთ საქართველოში წელს ბევრს აქვს საყიდელი სიმინდი. ამით სარგებლობენ კულაკები და თანდათან აძვირებენ სიმინდს. საჭიროა, რომ ჩრდილო კავკასიიდან შემოვიტანოთ სიმინდი და ამით ვებრძოლოთ კულაკებს.

ნ. ხანიკიძე.

სოფლის ქრონიკა

— **სარძეო ფერმა.** სოფ. წითელ ჰაში (სიღნაღი) გაიხსნა სარძეო ფერმა.

— **მამისონის უღელტეხილზე** გაიხსნა საბარგო მოძრაობა. ამ გზით რაჭაში გადააქვთ სიმინდი და სხვა საქონელი.

— **ცეცხლის მქრობელი რაზმი.** ზესტაფონის აღმასკომმა გადასწყვიტა მოაწყოს ცეცხლის მქრობელი რაზმი.

— **რკინის ჩელტის ხიდი.** ზესტაფონის აღმასკომი შეუდგა მდ. ყვირილაზე რკინის ჩელტის ხიდის მოწყობას.

— **მისაბაძი მაგალითი.** ლეხაურის განათლების მუშაკთა კავშირის, ფოსტა-ტელეგრაფის, საექიმო პუნქტის და აღმასკომის თანამშრომლებმა ამავე თემის ქოხ-სამკითხველოს ერთი წლით გამოუწერეს გაზ. „პრავდა", ჟურნალი „ახალი გზა" და „სოფლის კომუნისტი". ე. ჯაფარიძემ ამავე სამკითხველოს ექვსი თვით გამოუწერა „ფუხარა", რისთვისაც ქოხ-სამკითხველოს საბჭო უღრმეს მადლობას უძღვნის მათ.

— **მოჯამაგირეთა შორის.** ქუთაისის მაზრაში აღრიცხვაზე აყვანილია 543 მოჯამაგირე. ამათში კავშირის წევრია 43, ხელშეკრულება დადებულია 300-თან. მოჯამაგირეებმა ქუთაისში და მაზრაში დაარსეს კომიტეტი.

მუშათა ცხოვრება

უღელტეხილის ტკივილები*)

წინა წერილში შევეხე რელსების დაბალ ღირსებას, რომელთა უვარგისობაც დღითი დღე ნათელი ხდება.

ივნისის ცხელმა დღეებმა იმდენად უარყოფითად იმოქმედა ამ რელსებზე, რომ ეს ისედაც რბილი ლითონი ტყვიასავით რბილდება, უბრტყელდება თავები როგორც სიგრძეში ისე სიგანეში პირაპირებში (სტიკებში), მაშასადამე ის თავისუფალი მარაგი ადგილი, რომელიც სიცხეებში მთელი სიგრძით რელსის გაგრძელებას უნდა შეევსო, მარტო თავების გაბრტყელებამ შეავსო და დანარჩენ სიგრძის მომატებისათვის თავისუფალი გასაქანი აღარ დარჩა. ეს გარემოება კი ცხელ დღეებში ლიანდაგს საშინლად ხლართავს. საკმაოა მძიმე ორთქმავლის ცოტა ჩქარა გავლა, რომ ლიანდაგს მიმართულება დაუკარგოს და ლიანდაგი მოხვეულებში გარეთა მხარეს წაიღოს, რა მოვლენებიც ყოველდღიურ სამუშაოდ გადიქცა უღელტეხილზე.

ხრეშის საკითხიც ვერაა მოგვარებული. ძველი ხრეში იმდენად დამიწებულია, რომ მით ლიანდაგის შემაგრება შეუძლებელი ხდება და, ახალი ხრეში უმეტესად ძველის გადასახალისებლად იხარჯება.

ძველი ხრეშის ახალით გადახალისება უნდა უარვყოთ, როგორც მოძველებული მეთოდი, რადგან ახალ ხრეშსაც უშედეგოდ ვკარგავთ. ის ძველში მოკლე ხანში ითქვიფება და რამდენიმე თვის შემდეგ თავის სახეს და ვარგისობას სრულიად ჰკარგავს. თავის თავად ცხადია, რომ რაც უნდა მცირე რაოდენობის ხრეში შევიძინოთ, ის უნდა იცვლებოდეს პატარ-პატარა უბნებად, ძველის სრულიად მოცილებით, ასეთი თანდათანობითი ცვლა კი საშუალებას მოგვცემს რიგ-რიგით გამოვაჯანსაღოთ ლიანდაგის ესა თუ ის ნაწილი, სადაც უფრო საჭიროდ დავინახავთ.

როგორც ხიდების, აგრეთვე გადამყვან ძელების ნაკლულევანებაც აქ დიდია და თუ ნაწილობრივ ვღებულობთ, ისიც დაბალი ღირსების.

აღსანიშნავია, რომ წარსულში მიღებული და ხმარებაში მყოფი ხის მასალა 2-3-ჯერ მეტს სძლებდა ვიდრე ეხლანდელი შეძენილი, რაც მიმღებ კომისიათა სისუსტეს უნდა მიეწეროს.

ხაზ გასმით უნდა აღინიშნოს როგორც ხელსაწყო იარაღების, აგრეთვე ხელის რონოდების ნაკლულევანება, რაც ასე საჭიროა სხვადასხვა მასალის გასაზიდათ.

ხელის რონოდები მთელს მეოთხე უბანში არც ერთს სასტატოს არა აქვს, რაც სასწრაფო გადასვლას აბრკოლებს რაიმე შემთხვევის ან მარცხის დროს.

ნავთის მილებიც არ არის სათანადო სიღრმეზე ჩაწყობილი და ზოგგან სრულიად მაღლა ტიტველი მილები აწყვია. თუ ეს დასაშვებია სწორ უბნებში, აქ უღელტეხილზე მიუღებელია, ვინაიდან აქ ხშირია წვიმების დროს ქვების ჩამოცვენის შემთხვევები, რითაც მილები დაზიანებისაგან უზრუნველყოფილი არ არის.

ასეთი მაგალითი იყო 20 მაისს 187 კილომეტრის კარიერში, სადაც 1925 წლამდე მილები 120 სანტიმეტრის სიღრმეზე ეწყო და შელებვის შემდეგ კი, გატეხვის ალაგს მილები 25 სანტიმეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა.

ლიანდაგის ნიშნები, როგორიც არიან: აღმართ-დაღმართის, საყვირის მიცემის, ხიდების დასახელების და მათი სიგრძის, ლიანდაგის სიგან-სიმაღლის და რადიუსის, მწვავე ბადროსები და სხვა. მთლად გადახუნებულია და არავითარი შეღებვის ფერი და წარწერები არ ატყვია, ეს გარემოება კი დიდს დაბრკოლებას ქმნის როგორც მუშაობის წესიერი წარმოებისათვის, აგრეთვე მიმოსვლისათვის, ვინაიდან მემანქანეს არა აქვს საშუალება სისწორით იცოდეს, თუ რომელ თვისების ლიანდაგის ნაწილზეა ის.

187 კილ. მდებარე ქვის სატეხი კარიერი, მოძრაობისათვის დიდს დაბრკოლებას ქმნის და საშიშ მდგომარეობაში აყენებს მიმოსვლას. აქ ხშირია უზარმაზარი ლოდების ჩამოცვენა, დღე ისე არ გავა, რომ ლიანდაგი არ დაზიანდეს. მეორე მხრივ თვით მემანქანენი არ იცავენ ნელ სვლას, რაც ქვის ტეხვის დროსაა დაწესებული. ზოგი თავზე ხელაღებული მემანქანე მთელის სისწრაფით მიაქანებს მატარებელს, რაც მუშაობას ხელს უშლის, საშიშ მდგომარეობაში აყენებს თვით მატარებელს და აგრეთვე ქვის მტეხველს მუშებს. რაზედაც ყოველდღიური საჩივრები და მიმოწერა სწარმოებს.

ამ კარიერის დახურვა და წყალ გაღმა გადატანა აუცილებელია მოკლე ხანში, რადგანაც ძირს კლდეების ტეხა მოთავებულია და მთელი მუშაობა მაღლა მწვერვალებზეა გადატანილი, რაც ლიანდაგს და მის მასალას ანადგურებს. მისი ასეთ პირობებში დატოვება, გაცილებით მეტ ზარალს მისცემს ტრანსპორტს, ვიდრე სარგებლობას.

აქ ხშირია აგრეთვე მატარებლების გაწყვეტის შემთხვევები, რაშიც უმთავრესი დანაშაული ადგილმდებარეობას მიუძღვის. საჭიროა ამ პატარა ციცაბო მოხვეულების გაშლა და პატარ-პატარა ტეხილების შემსუბუქება, ესე იგი აღმართ-დაღმართის შესწორება მაღლობების გადათხრით და დაბლობების ამაღლებით, რის გეგმებიც დიდი ხანია დამუშავებულია და სამმართველოს არ გამოსცილებია.

მოხვეულების გაშლისთვის, ნიადაგი აქ უკვე ნახევრად მომზადებულია.

სასოფლო საურმე გზების უქონლობა, დიდს უარყოფით გავლენას ახდენს ლიანდაგზე. აქ ლიანდაგი შარა გზათაა გადაქცეული, რომელზედაც მახლობელი მოსახლეობა თავისუფლად დასეირნობს. აქ მუდმივია ლიანდაგზე საქონლის სიარული და ურმების ტარების შემთხვევებიც ხშირია. მიუხედავად მრავალი წინადადებების და გაფრთხილებებისა, მოსახლეობა არავითარ ანგარიშს არ უწევს არავის. ამის გამო, რომ დღეს რომ ლიანდაგი გაწმინდოთ-შესწოროთ, ხვალ ის უკვე ჩამონგრეულია.

ადგილი აქვს აგრეთვე ტყეების გაკაფვას ლიანდაგის ფერდობებზე, რაც მიუტევებელი ბოროტებაა, რადგანაც ტიტველი ფერდობები ხშირად ირეცხებიან ნიაღვრებისგან და ლიანდაგი შავავებით ივსება.

საყრდენი კედლებიც დაზიანებულია, რაზედაც მდინარე ჩხერიმელას განსაკუთრებული თვისებები მოქმედობენ და ამ დაზიანებული კედლების შეუკეთებლობა კი, ლიანდაგს გარეცხვით ემუქრება.

თვით მუშა-მოსამსახურეთა შტატის შერჩევას წარსულში დიდი ყურადღება ექცეოდა. აქ გადმოჰყავდათ დახელოვნებული თანამშრომლები, დღეს კი შემთხვევებია ამა თუ იმ შეუფერებელი პიროვნების დანიშვნა-გადმოყვანის, საც მომავალში დიდის სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ.

საერთოდ უღელტეხილი სათუთი ბავშვია, რომელსაც განსაკუთრებული მოვლა-აღზრდა ესაჭიროება, რასაც სათანადო ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ და ყველა აღნიშნული დეფექტები თანდათანობით აღმოფხვრან. ამას მოითხოვს ტრანსპორტის, და მუშათა კლასის კეთილდღეობა.

დაფიქრებული.

---

*). იხილეთ „კომუნისტი" № 127.

მეტი ყურადღება ექსკურსიების მოწყობას

კულტურული მუშაობა საზაფხულო პერიოდში იმით განსხვავდება საზამთრო მუშაობისაგან, რომ ის სცილდება კლუბის კედლებს და სწარმოებს სუფთა ჰაერზე.

აქ კი მთავარი მნიშვნელობა ეძლევა ექსკურსიების მოწყობას.

ექსკურსიების ჩასატარებლად საჭიროა გავითვალისწინოთ გასული წლის გამოცდილება და თავიდან ავიცდინოთ დაშვებული შეცდომები. შარშანდელ ექსკურსიებს ჰქონდა ორი მთავარი ნაკლი, პირველი ნაკლი მდგომარეობდა იმაში, რომ ეს ექსკურსიები ყოველგვარ გეგმის გარეშე ხდებოდა. აქ ყველაფერი დამოკიდებული იყო ამ თუ იმ დაწესებულების ადგილკომის ან თანამშრომელთა თაოსნობაზე.

იყო აგრეთვე ისეთი წარმოება - დაწესებულება, რომელსაც არც ერთი ექსკურსია არ მოუწყვია მთელი წლის განმავლობაში, რაც უსათუოდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს იქ მომუშავე პროფესიონალურ ორგანიზაციისა.

მეორე ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ ექსკურსიები არ ეწყობოდა ცოდნის შეძენის, ან რომელიმე საინტერესო ადგილის დათვალიერების მიზნით. აქაც ყველაფერი შემთხვევაზე იყო დამოკიდებული.

ხშირი მოვლენა იყო, რომ ექსკურსიების ჩატარების დროს ადგილი ქონდა ლოთობას, რაც ყოვლად დაუშვებელია.

ექსკურსიებს ზოგჯერ არავითარი აღმზრდელობითი ხასიათი არ ქონდა, თანხა კი საგრძნობი იხარჯებოდა.

წელს ასეთ მოვლენებს არ უნდა ექნეს ადგილი. ექსკურსიების დროს ლოთობა, ფუქსავატური დროსტარებას, ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ.

ექსკურსიები უნდა მოეწყოს ისეთ ადგილებში, რომლებსაც არჩევს მუშა-მოსამსახურეთა უმეტესი ნაწილი. თუ ჩვენ გასული წლის შეცდომებს ავიცილებთ თავიდან და გეგმიან მუშაობას შეუდგებით, საზაფხულო კულტმუშაობასაც სათანადო სიმაღლეზე გავაყენებთ.

ის. გ—ძე.

საყურადღებო წვრილმანი

— **უსუფთაობის შედეგი.** ს. მ. უ. ს. ტყის მრეწველობის ტრესტის სვანეთის რაიონის ახალ ქარხანაში სოფ. ახალ აბასთუმანში არის ფერშალი, რომლის საცხოვრებელი ბინაში,—მისი ბინა იმავე დროს ქარხნის ამბულატორიაა) ანტისანიტარული მდგომარეობაა.

ოთახის, ე. ი. ამბულატორიის უსუფთაობას, არც საექიმო იარაღები ჩამორჩება. ქარხნის ერთ ერთ თანამშრომელს ფერშალმა გაუხსნა კანქვეშ შეხაპუნება. როგორც სჩანს ნემსი არ იყო სუფთა და ავადმყოფი ეხლა მკერდ შეხვეული ოპერაციას ელოდება.

ქარხნის ადმინისტრაციამ, დამზღვევ სალარომ, რომელმაც ის ფერშალი დანიშნა და ჯანინსპექციამ ხან და ხან მაინც უნდა შეიხედონ ფერშლის ბინაში მათ უნდა იცოდნენ ისიც, რომ ერთ ოთახში ფერშლის ბინის და ამბულატორიის მოთავსება დაუშვებელია. **2892.**

ვადა გაუგრძელეთ. ქალაქის აღმასკომმა მისცა ზოგიერთ მუშებს მიწის ნაკვეთი იმ პირობით, რომ ისინი ამ ნაკვეთებზე განსაზღვრულ დროის განმავლობაში ააგებენ ბინებს. დრო თითქმის გადის, მაგრამ ზოგიერთებმა ვერ შესძლეს პირობის შესრულება. ეს მუშები ითხოვენ ვადის გაგრძელებას და პირობას იძლევიან, რომ უსათუოდ ააგებენ ბინებს.

ქალაქის აღმასკომმა უნდა მიიღოს მხედველობაში მუშების თხოვნა და გააგრძელოს ვადა სამ წლამდის მაინც.

ამით ის მადლზე მარილს მოაყრის.

სიმართლის მაძიებელი.

— **აშენებენ.** რკ. გზ. მთავარ სახელოსნოს სამჭედლო სამქროს ბრიგადირმა ი. რუხაძემ და სკერნიკოვმა მიითვისა მუშების ნამუშევარი. თუ ხმა ამოიღო ვინმემ ისინი იმუქრებიან.

ფ. იქაური.

— **უნდა აეკრძალოთ.** შუა ბაზრის ქ. ტრამვაიზე აუარებელი ბავშვები ხტუნავენ. მოსალოდნელია მსხვერპლი.

მეცე.

— **გადაყარეთ ნაგავი.** კომუნარების (ყოფ. ალექსანდროვის) ბაღში პუშკინის სამკითხვ. გვერდით აუარებელი ნაგავი და სიბინძურეა, ვინ გადაყრის ამ ნაგავს, ბაღში ჰაერს რომ შხამავს?

ზალშ.

— **მოვაწყვეთ ექსკურსია 7 ივნისს.** რკ. გზ. მთავარი სახელოსნოებიდან მოეწყო ექსკურსია პაპიროსის ფაბრიკაში, სადაც 80 მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. მუშები კმაყოფილი დარჩენ მოწყობილ ექსკურსიით.

მუშკორი ზალშ.

ჩვენი მიწერ - მოწერა

— **მინარდო**"-ს თქვენი წერილი სახლი „ვერა" № 3 და 5 არ დაიბეჭდება. თუ რაიმე გაუგებრობაა ბინების განაწილების დარგში მიმართეთ სათანადო ორგანოს. მეორე წერილი „განა დასაშვებია" გადაეგზავნა მედსანშრომის კავშირის გამგეობას, — საქმის გამოსარკვევად და ზომების მისაღებად.

—**სოლომონ დოლიძეს.** შემოიარეთ რედაქციაში.

ბავშვთა კომუნისტურ ორგანიზაციის ტკივილები

ნორჩი პიონერები ჩვენი შემცვლელი მოზარდი თაობაა.

ამიტომ ჩვენი პარტია, და მასთან ერთად კომკავშირი თავის მუშაობის ერთ-ერთ ამოცანათ ისახავენ პიონერ ორგანიზაციაზე მზრუნველობას და სათანადო ხელმძღვანელობას.

ამ წერილში ჩვენ გვინდა შევეხოთ ქალ. თბილისის და თბილისის მაზრის პიონერ ორგანიზაციის მუშაობის ზოგიერთ მხარეებს.

ერთ უმთავრეს ნაკლად ნორჩ - პიონერთა თბილისის ბიუროსი უნდა ჩაითვალოს არა სწორი აღრიცხვა პიონერ ორგანიზაციის როგორც ქალაქში, ისე მაზრაში. დღემდე ჩვენ არ გვაქვს ზუსტი ციფრი, რომელიც ახასიათებს ორგანიზაციის ნამდვილ რაოდენობას და მის შემადგენლობას ეროვნების, სქესის და სოციალური მდგომარეობის მიხედვით.

სულ თბილისის ორგანიზაციაში დაახლოვებითი გამოანგარიშებით 12 ათასზე მეტი ნორჩი პიონერია. იმ ციფრებიდან, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება პიონერორგანიზაციის შემადგენლობის შესახებ, სჩანს, რომ პიონერთა ორგანიზაცია იზრდება უმთავრესად ოქტომბრელების ხარჯზე (9 პროც.), საერთო ზრდა კი შეადგენს მხოლოდ 4 პროც.

სქესის მიხედვით ემჩნევა ვაჟების მომატება (6,8 პროც).

სოციალური შემადგენლობაში 1926 და 27 წლის განმავლობაში მოხდა მომატება: მუშების ბავშვების 8,1 პროცენტით, მოსამსახურეების 3,6 პროც. და დანარჩენი ჯგუფების 5 პროც. სამაგიეროდ დაიწია გლეხთა ბავშვების პროცენტი—16,6. ცხადია, რომ ეს მოწმობს პიონერ მუშაობის შესუსტებას მაზრაში. ეროვნულ შემადგენლობაში ჩვენ გვაქვს მომატება ქართველი ბავშვების 8,1 პროც., რუსების (სულ 0,7 პროც.) და დანარჩენი ეროვნების 1,4 პროც.

საერთოდ უნდა ვაღიაროთ პიონერ - ორგანიზაციის სუსტი ზრდა — თითქმის მისი შეჩერება. აქვე საჭიროა მოვიყვანოთ ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ იზრდება ორგანიზაცია მოსწავლეთა შორის სულ ქალ. თბილისში და მაზრაში ირიცხება 39.959 მოწაფე. მათ შორის პიონერი ითვლება 7.700, რაც შეადგენს მხოლოდ 19.13 პროც. რა თქმა უნდა, ამ ადგილას პიონერ ორგანიზაცია მოისუსტებს. ეს პროცენტი უფრო დაიწევს, როდესაც ჩვენ შევადარებთ პიონერორგანიზაციის რაოდენობას ბავშვების საერთო რაოდენობას ქ. თბილისში და მის მაზრაში. ბავშვების საერთო რიცხვში პიონერები შეადგენენ მხოლოდ 16,5 პროც., იმ დროს, როდესაც კომკავშირის ორგანიზაციამ შესძლო თავის რიგებში მუშა და გლეხ ახალგაზრდობის თითქმის 78 პროცენტის ჩაბმა. ამრიგათ პიონერთა ორგანიზაცია იზრდება ძლიერ სუსტად. ჩვენს წინაშე ხდება პიონერ ორგანიზაციის ზრდის გაძლიერების ამოცანა. ეს საჭიროა განსაკუთრებით საქართველოს პირობებში, სადაც ჩვენი მოწინააღმდეგე იდეოლოგია საკმაოდ ძლიერია და სადაც მისი გავლენა ბავშვებზე ყოველ შემთხვევაში მოწაფეთა ნაწილზე, ჯერ - ჯერობით შესამჩნევია. ჩვენ უნდა დავრაზმოთ ჩვენი მომავალი თაობა კომუნისტური დროშის ქვეშ, ჩამოვაშოროთ ისინი ანტისაბჭოთა ელემენტებს, რომლებიც ცდილობენ ჩაუნერგონ ჩვენ ბავშვებს შოვინისტური გრძნობები და სხვა წვრილ ბურჟუაზიული - მეშჩანური თვისებები.

საჭიროა მიექცეს დიდი ყურადღება ჩვენ ქართულ სკოლებს, სადაც პიონერ ორგანიზაცია მცირე რიცხოვანია.

რა თქმა უნდა მარტო ჩაწერა პიონერ ორგანიზაციაში არაფერს მოგვცემს. გარდა ორგანიზაციული მუშაობისა, საჭიროა პიონერ მუშაობის შინაარსის გაცხოველება და ისეთი ფორმების გამონახვა, რომლებიც დააკმაყოფილებენ ბავშვთა გაზრდილ აქტივობას და მათი ცნობის მოყვარეობას.

არის შემთხვევები, როდესაც ბავში გამოდის პიონერ ორგანიზაციიდან. რატომ ხდება ეს? იმიტომ, რომ ბავშვებს უკვე აღარ აკმაყოფილებს ძველი მეთოდები. ისინი მიისწრაფვიან ცოდნისაკენ, მათ აინტერესებთ მეცნიერება, ტეხნიკა, მანქანები, ელექტრონი, რადიო, ავიაცია. ჩვენი მუშაობა კი ვერ აკმაყოფილებს ასეთ მოთხოვნილებას.

არის შემთხვევები, როდესაც ბავშვები წინ უსწრებენ თავის განვითარებაში წინამძღოლებს. მხედველობაში რომ მივიღოთ წინამძღოლთა საერთო ჩამორჩენილობა, მათი სუსტი მომზადება, დატვირთვა სხვადასხვა საზოგადოებრივი სამუშაოთი როგორც კომკავშირის, ისე პარტიის უჯრედში, სრულიად გასაგები იქნება პიონერ ორგანიზაციის არამც თუ სუსტი ზრდა, არამედ მისი საერთო შემცირება.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს სუსტი ხელმძღვანელობა და ყურადღება საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრივაც, როგორც მაგალითად არის პროფკავშირები, თბილისის აღმასკომის განათლების განყოფილება და სხვა სამეურნეო ორგანოები. ეს ორგანიზაციები კმაყოფილდებიან მხოლოდ თანხების გაცემით, ისიც უნდა ითქვას არა რეგულიარულად, უსისტემოდ. ზოგიერთ პროფკავშირებს კი არავითარი დახმარება არ გაუწევიათ. სხვადასხვა ორგანიზაციებიდან თბილისის სამოქალაქო სამაზრო პიონერ ორგანიზაციამ მიიღო 1926 წლის ნოემბრიდან 1927 წლის მარტამდე 16.485 მან. 86 კაპ.

ზოგი ბავში გადის კოლექტივიდან მშობლების გავლენით. არის შემთხვევები, რომ პიონერ ორგანიზაციიდან გაჰყავთ ბავშვები მუშებს და პარტიის წევრებსაც. არ შეიძლება, რომ ამ გარემოებამ არ დააფიქროს ჩვენი პარტია და კომკავშირი.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოთ, რომ მოსახლეობას შორის არ წარმოებულა სათანადო ახსნა - განმარტება პიონერ მოძრაობის ამოცანების და მისი მუშაობის შესახებ. პიონერ მომუშავეებს დაწყებული თბილისის ბიუროდან და გათავებული ჩვეულებრივ წინამძღოლით, გამონაკლის შემთხვევების გარდა არ მოუწყვიათ პიონერების მშობლები და არ განუმარტავთ მათთვის პიონერ მუშაობის მორიგი ამოცანები, არ გაუკეთებიათ მოხსენება მუშების ან გლეხების საერთო კრებებზე. შეიძლება ითქვას, რომ ფართო მოსახლეობას არა აქვს სათანადო წარმოდგენა პიონერ მოძრაობაზე. ის არ იცნობს იმ აღმზრდელობითი მუშაობას, რომელსაც აწარმოებს ჩვენი პარტია.

ძალიან სუსტია პიონერ მუშაობა სოფლად. თუ ქალაქში აქა-იქ პიონერები ისმენენ ექიმების მოხსენებებს, ეცნობიან ამა თუ იმ საკითხებს, სოფლად ისინი მოკლებულნი არიან რაიმე კულტურულ - განმანათლებელ საშუალებებს.

აიხსნება ეს უმთავრესად იმით, რომ კავშირი თბილისის ბიუროსა და მაზრებს შორის სუსტია, ამის გარდა კომკავშირის თემკომებში არ არის ფასიანი მომუშავეები და აგრეთვე სუსტია ყურადღება პარტიის თემკომის მხრივ. რაც შეეხება მატერიალურ საშუალებებს, მაზრის პიონერ ორგანიზაციები განიცდიან დიდ სივიწროვეს, თუმცა მათ ნაწილობრივ ეხმარებიან სოფლისა და ქალაქის კავშირის საზოგადოებრივ მომაგრებული კომისიები. იშვიათად ისმება პიონერ მუშაობის საკითხები პარტიის და აგრეთვე კომკავშირის უჯრედების სხდომებზე.

პარტუჯრედების წარმომადგენლები პიონერ კოლექტივებში ყველგან არ იმყოფებიან და თუ ასეთები არიან, მათ მოსვლას კოლექტივში აქვს შემთხვევითი ხასიათი.

მართალია, ზოგ პარტუჯრედებში მოუსმენიათ პიონერ კოლექტივის საანგარიშო მოხსენება, მაგრამ პრაქტიკული ღონისძიებანი არ გამოუმუშავებიათ, ან და თუ ასეთს ალაგი ქონია, უჯრედი არ დაინტერესებულა გატარდენ ისინი ცხოვრებაში თუ არა. საერთოთ, პარტიის უჯრედი და კომპარტიის უჯრედებიც არ იჩენენ სათანადო ინტერესს და არ აქცევენ იმ ყურადღებას პიონერორგანიზაციას, რომლის ღირსიც ის არის.

თბილისის ორგანიზაციაში არის სულ 200 წინამძღოლი. მათ შორის ჯამაგირიანი მხოლოდ 21. პარტიის წევრები და კანდიდატები არის 9, კომკავშირლები 175, უპარტიო 16.

როგორც სჩანს ციფრებიდან, პარტიის წევრებისა და კანდიდატთა პროცენტი მცირეა (4,5 პროც.), წინამძღოლები დატვირთული არიან უჯრედული და წარმოების ხასიათის მოვალეობით, რის გამო ისინი ვერ ახერხებენ პიონერ კოლექტივის მუშაობისადმი ყურადღების მიქცევას. ხშირათ მათ ხსნიან და გადაჰყავთ სხვა სამუშაოზე. ახალი წინამძღოლები კი ზოგჯერ სრულებით არ იცნობენ პიონერ მუშაობას, რის გამოც მუშაობა ფერხდება.

კოლექტივის მუშაობის პირობები არაა დამაკმაყოფილებელი: მათ ხშირად არა აქვთ თავისი ბინები და იძულებულნი არიან ერთ და იმავე ოთახში იმეცადინონ რამდენიმე კოლექტივებმა. გეგმიან მუშაობაზე კოლექტივები უკვე გადავიდენ. გეგმას ამუშავებს კოლექტივის საბჭო და შემდეგ ათანხმებს კომკავშირის უჯრედს.

ინტერნაციონალური აღზრდა სწარმოებს საზღვარგარეთელ კოლექტივებთან მიწერ-მოწერის საშუალებით.

რაც შეეხება ფიზიკურ ვარჯიშობას, უნდა აღინიშნოს, რომ პიონერები გატაცებულნი არიან ისეთი ვარჯიშობით (მაგ. ფეხბურთი ან მძიმე ატლეტიკა), რომელიც მათი ჰასაკისათვის მავნებელია.

საზაფხულო პერიოდში საუკეთესო ფორმად ცნობილია ეგრედ წოდებული საბანაკო გასვლა, მაგრამ სხვადასხვა ორგანიზაციები ამას არ აქცევენ სათანადო ყურადღებას. ფულის დახმარებაზე აღარ ვლაპარაკობთ, რადგან ამ მხრივ საერთოთ, ცოტა რამ კეთდება. მთელს თბილისში არის 86 სასკოლო კოლექტივი და ფორპოსტი. (სულ 96 სკოლიდან). სკოლებში კოლექტივებს არა აქვთ სათანადო ბინები. აგრეთვე დაბრკოლებას ქმნის ის გარემოება, რომ მეცადინეობა სწარმოებს რიგ-რიგობით (დილას, შუადღეზე და საღამოს).

რაც შეეხება მასწავლებლობის დამოკიდებულებას პიონერ ორგანიზაციისადმი, უნდა ვაღიაროთ, რომ საერთოთ, ეს დამოკიდებულება უმჯობესდება, მაგრამ თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ მთელ მასწავლებლობას, შევამჩნევთ, რომ ეს დამოკიდებულება მასწავლებლობის სხვადასხვა ნაწილის სხვა და სხვანაირია. ჩვენ შეგვიძლია მასწავლებლობა დავყოთ სამ ნაწილად: პირველი ნაწილი — ეს ის მასწავლებლობაა, რომელიც პიონერ ორგანიზაციას უდგება ლოიალურად და აქტიურადაც უწყობს ხელს, მეორე ნაწილი ისეთია, რომელიც ლოიალურია, მაგრამ პიონერ მუშაობისადმი იჩენს პასივობას და მესამე ჯგუფი ეს შედარებით დიდი ნაწილია, რომელიც პიონერ მუშაობას არავითარ ყურადღებას არ აქცევს, პირიქით ხელს უშლის მას.

ზოგიერთ სკოლებში (მაგ. მე-88 შრომის სკოლაში) ადგილი ქონდა ისეთ ტენდენციას, როდესაც არ სვამდენ არავითარ საზღვარს პიონერ და სასკოლო მუშაობის შორის, ასე ვსთქვათ, იყო ზედმეტი გატაცება პიონერ მუშაობით და მისი გაერთიანება მთელი სასკოლო მუშაობასთან. ასეთი „გატაცება" რა თქმა უნდა, მიგვიყვანს იქამდე, რომ მოხდება პიონერ ორგანიზაციის ლიკვიდაცია.

ამიტომ ასეთი უკიდურესობაც დაუშვებელია.

ეს არის უმთავრესი შენიშვნები, რომელიც ჩვენ გვინდოდა აღგვენიშნა. არსებული ნაკლულევანებათა გამოსწორება შესაძლებელია ყველა ორგანიზაციების, განსაკუთრებით კი პარტიის და კომკავშირის ყურადღების გაძლიერების გზით.

იოსებ რუხაძე.

პატარა ფელეტონი

„ნარი გლიჯონ სხვისი ხელით"

ჩემბერლენმა განთქმულმა,
ხიკსმა-მიკსმა, ერიომ
იფოქსტროტეს ლიგაში,
სთქვეს: ერთი გვყავს მტერიო!
გადაჰკრეს ხელი-ხელს,
სცეს ერთმანეთს ნუგეში
ერთმანეთსაც შეჰფიცეს:
შემოვკრიბოთ უხეში
ძალა: ერი-ბერიო,
ერთარსებით, სამებით
მოვსპოთ ესესერიო!

* * *

ემიგრანტებს მოუხმეს
ჭამეს ვახშამ-სერიო.
შამპანიურს ხუხავდნენ,
თამადაა ბლერიო.
(შუბლმაგარი ვინც არის,
ნახე ანამლერიო!)
იქვე იყო ქალარა,
ნოეს თეთრი წვერიო:
— პოლიტიკა შევცვალოთ
დღემდე ალმაცერიო.
იერიშზე გადვიდეთ,
ძალა ნახონ ჩვენიო.
ჩანკაიშიმ, პილსუდსკიმ
წერონ განაჩენიო!
ნარი ვგლიჯოთ სხვის ხელით,
ჩვენ პორთფელი ძველიო.
„თუ კურდღელი დაიჭირეს,
ხორცი ჩვენ და ტყავი მათ:
და თუ მელა დაიჭირეს,
ტყავი ჩვენ და ხორცი მათ!"

* * *

ნაბახუსევ შუბლებით
წერეს ულტიმატუმი;
„ჩვენი არის მოსკოვი,
თბილის-ბაქო-ბათომი!"
შიკრიკებიც დაგზავნეს
ვრცელი ინსტრუქციებით,
გადმოლახეს საზღვარი
ცხელებით და ციებით,
მათ ეგონათ მოვიდნენ
ღვთიდან აღთქმულ მეკაში,
პირდაპირ კი ჩაბრძანდნენ
გამზადებულს ჩეკაში.

* * *

ჩემბერლენი განთქმული
ხიკსი-მიკსი, ერიო;
ნოტებს სწერენ ნოტებზე,
დააყენეს მტვერიო,
ცილინდრები დაფხრიწეს,
მტერი დარჩა მტერიო.
ყურს უგდებს და იცინის
შრომის ესესერიო!

ბენო გეშტია.

ინგლისის პროვოკაციის წინააღმდეგ

ოზურგეთის მასწავლებლების პროტესტი

16 ივნისს, ქალაქ ოზურგეთში შესდგა მასწავლებელთა მრავალრიცხოვანი კრება, რომელზედაც ამხ. რაფიელ რამიშვილმა გააკეთა მოხსენება ამხ. ვოიკოვის მოკვლის შესახებ. კრებაზე სიტყვებით გამოვიდენ სხვა ამხანაგებიც, რის შემდეგ მიღებული იქნა საპროტესტო რეზოლიუცია:

ქალაქ ოზურგეთის მასწავლებელთა კრება მოისმინა რა მან ამხანაგ რამიშვილის მოხსენება ვოიკოვის მოკვლის შესახებ, გამოსთქვამს თავის უაღრეს აღშფოთებას და გულისწყრომას ამ საზიზღარ ვერაგულ მოქმედების წინააღმდეგ, კრება გამოსთქვამს სასტიკ პროტესტს ყველა იმ ინტრიგების გამო, რომელსაც მიმართავს ინგლისის კონსერვატიული მთავრობა საბჭ. კავშირის წინააღმდეგ. ჩვენ, მასწავლებლობა, რომლებიც დიდი ხანია დაუკავშირეთ ჩვენი ბედი მშრომელი ხალხის ბედს და ენერგიულად ჩავებით სოციალისტური აღმშენებლობის საქმეში, ამ ინტრიგების საპასუხოთ განვაგრძობთ თავდადებულ მუშაობას, რომ აღვზარდოთ კომუნისტური ახალგაზრდობა, რომელიც ღირსეული მემკვიდრე და მესაჭე გახდება მსოფლიო რევოლიუციის. უკანასკნელი წლის განმავლობაში საერთაშორისო ასპარეზზე ადგილი აქვს მთელ რიგ ინტრიგებს, რომელიც გამოწვეულია ინგლისის კონსერვატიული მთავრობის მოქმედებით, ინტრიგებს, რომელნიც მიზნათ ისახავენ საბჭ. კავშირის ჩათრევას მსოფლიო ომში.

ჩვენ, მასწავლებლობა, მოვითხოვთ საბჭოთა ხელისუფლებისაგან მიიღოს ყოველგვარი ზომები შინაურ კონტრ-რევოლიუციონური ძალების გასანადგურებლად და მათი ძირბუდიანათ აღმოსაფხვრელად. ჩვენ მოუწოდებთ მასწავლებლობას აიმაღლოს ხმა, როგორც მსოფლიო მკვლელებთა და ჯალათების, აგრეთვე შინაური კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტების წინააღმდეგ, ჩვენ მშრომელ ინტელიგენციას, არ გვსურს ომი. ჩვენ გვინდა მშვიდობიანი ცხოვრება, ჩვენ ვზრდით მომავალ სოციალისტურ საზოგადოების წევრებს, მაგრამ თუ ამ მუშაობაში ვინმე ხელს შეგვიშლის თუ ვინმე მოინდომებს საბჭოთა პროლეტარულ სახელმწიფოზე თავდასხმას, მაშინ მზადა ვართ იარაღით ხელში სათანადო პასუხი გავსცეთ მტრებს. ძირს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მტერი — მსოფლიო კაპიტალიზმი. გაუმარჯოს პირველ პროლეტარულ სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირს! გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას.

ჯ—ძე.

საგზაო კომიტეტის პლენუმი

მესამე სხდომა

მესამე სხდომაზე პლენუმმა, მოისმინა ა.-კ. რკინის-გზის ჯანმრთელობის სამმართველოს უფროსის მოადგილის ექ. ღამბარაშვილის მოხსენება საექიმო მდგომარეობის შესახებ ა.-კ. რკინის გზებზე. მომხსენებელი შეეხო ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობას რკინის გზებზე და აღნიშნა სამმართველოს მიერ ჩატარებული ღონისძიებები ამ საქმის წესიერათ დაყენების საქმეში.

მისი თქმით, მომავალში ჯანმრთელობის სამმართველოს განზრახვა აქვს მოაწყოს საავადმყოფოები 400 ლოგინით. პირველი საავადმყოფო აიგება განჯაში 100 კაცისათვის. საექიმო და სამკურნალო დახმარება კარგად არის დაყენებული რკ. გზაზე. საუბნო აფთიაქებში ექიმის თანაშემწეთა ფარმაცევტებით შეცვლამ სასურველი ნაყოფი გამოიღო.

ამას გარდა გაიზარდა ქრონიკულ ავადმყოფთა მოვლის საქმე. კბილის საექიმო საქმე სასურველად სწარმოებს. ამ ჟამად განზრახულია მოეწყოს კბილის საექიმო კაბინეტები ზესტაფონში, ფოთში, ხაჩმასში, ქიურდამირსა და სანაინში. მიღებულია ზომები კბილის მკურნალობის საავადმყოფოს შენობის ასაგებათ თბილისში. ამ ჟამად სწარმოებს აგრეთვე საშუალებათა გამონახვა რკ. გზის საექიმო პუნქტების შენობათა შესაკეთებლად საქართველოს ხაზზე.

ექ. ღამბარაშვილის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში ამხანაგები აღნიშნავდენ ავადმყოფთა საშინაო საექიმო დახმარების სისუსტეს. კამათში მონაწილეობა მიიღო ამხ. გრ. კუჭაიძემ, რომელმაც აღნიშნა ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობა მთელს საბჭოთა კავშირში და კერძოთ ა-კავკასიის რკ. გზებზე.

პლენუმმა ერთხმად მოიწონა ჯანმრთელობის სამმართველოს მუშაობა.

იმავე სხდომაზე პლენუმმა მოისმინა ამხ. დიკის მოხსენება სოცდაზღვევის მდგომარეობის შესახებ ა.-კ. რკინის გზებზე. მომხსენებელმა ვრცელი მიმოხილვა გაუკეთა სოციალურ დაზღვევის საერთო მდგომარეობას ა-კავკასიაში. უმთავრესი ყურადღება მომხსენებლის აზრით მიქცეულია საექიმო დახმარების და სანატორიუმ-საკურორტო მკურნალობის საქმეზე.

სად გაქრა 340.000 ნახევარ კაპეიკიანი

სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორამ ა.-წ. 14 აპრილიდან დაიწყო ნახევარ კაპეიკიანების გამოშვება ბაზარზე. სულ დღემდე თბილისში სავაჭრო ორგანიზაციებს შორის განაწილებული იყო 340.000 ცალი ნახევარ კაპეიკიანები.

რომ ნახევარ კაპეიკიანებს გასავალი მოეპოვებია ბაზარზე, ეს მოსახლეობას მისცემდა საგრძნობ ეკონომიას. ეს ეკონომია, დაახლოებით, შეიძლება განისაზღვროს 50.000 მან.

მაგრამ ნახევარ კაპეიკიანები გაქრენ, მიუხედავად ყოველგვარი ცდისა.

ნახევარ კაპეიკიანების ბედის შესახებ ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა მუშკოოპის პასუხისმგებელ თანამშრომლებს. პირველ ყოვლისა მათ აღნიშნეს, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში მუშკოოპი სისტემატიურად უგზავნიდა ნახევარ კაპეიკიანებს თავის პურის გამყიდველ პუნქტებს. პურის საცხობები და დუქნები, რომლებიც ანაწილებენ პურს, მუშკოოპს აქვს 150-ზე მეტი. ამათ ნახევარკაპეიკიანები მიიღეს საკმაოდ დიდი რაოდენობით.

— მაგრამ,—როგორც ამბობს მუშკოოპის გამგეობის წევრი, ამხ. მელჩარსკი, საეჭვოა, რომ ნახევარ კაპეიკიანების მთელი თანხა, როგორც ხურდა, გადასულიყო მომხმარებლის ხელში.

ჩვენში ჯერ კიდევ არ სცნობენ ნახევარ კაპეიკიანებს, ისინი ჩვენთვის, თითქოს, „ერთობ პატარაა".

მეპურეებს არც უფიქრიათ გაეცათ ხურდა ნახევარ კაპეიკიანებით და პურის ფასს ღებულობდენ ძველებურად, სრული კაპეიკებით. იმ შემთხვევაში, როცა დუქნებში მუშკოოპის კონტროლიორი ეწვევოდა, ნახევარ კაპეიკიანებიც გაჩნდებოდა საიდგანღაც. მაგრამ ჩვეულებრივ დროს კი მყიდველთ ნახევარ კაპეიკიან ხურდას არ აძლევდენ. ეხლა კი, თურმე, ნახევარკაპეიკიანები სადღაც გაქრენ.

ამავე დროს კი ნახევარი კაპეიკის ხურდა ნახევარი გირვანქა პურის ყიდვის დროს შეადგენს პურის ღირებულების 10 პროცენტს (შაურიდან, ვინაიდან ნახევარი გირვანქა ღირს 4 ნახ. კაპ.) ეს არც თუ იმდენათ უმნიშვნელოა.

იმ მიზნით, რომ ბაზარზე ნახევარკაპეიკიანებით სარგებლობის საკითხი მოწესრიგებულიყო, ვაჭრობის კომისარიატმა მიიღო ზოგიერთი ზომები, მაგრამ ყველა ეს ღონისძიებანი უშედეგო აღმოჩნდა. მოსახლეობა ყოველდღიურად და სისტემატიურად ჰკარგავს საგრძნობ თანხას. ნახევარ კაპეიკიანების გაქრობა გავლენას ახდენს ფასების დაკლების კამპანიაზეც.

გულგრილი დამოკიდებულება ნახევარკაპეიკიანებისადმი უნდა შეიცვალოს. ასეთი დამოკიდებულება დამამტკიცებელია ჩვენი თანდაყოლილი დაუდევრობის, ნახევარკაპეიკიანი უნდა მოვითხოვოთ ყოველთვის, როცა ის გვერგება ყიდვის დროს.

ნახევარკაპეიკიანი უნდა შევიდეს ხმარებაში.

ლ. რ—ძე.

სატყეო ტრესტების წარმომადგენელთა თათბირი

უკანასკნელი სხდომა

თათბირის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის, აჭარისტანის სატყეო მრეწველობის ტრესტის, საქართველოს სატყეო ტრესტის, რაჭის აღმასკომის, აზერბეიჯანის სატყეო ტრესტის, მთიან ყარაბახის და ოზურგეთის აღმასკომის წარმომადგენელთა მომხსენებლები.

მომხსენებლებმა აღნიშნეს, რომ სატყეო მასალის საექსპორტო გეგმის შედგენის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ ამიერ-კავკასიის ტყეებს დაცვითი ხასიათი აქვთ. ამიტომ მათი გაჩეხვა დიდი სიფრთხილით უნდა ხდებოდეს.

ტრესტების წარმომადგენლებმა მიუთითეს თათბირს სატყეო მასალის იმ რაოდენობაზე, რომელიც მათ შეუძლიათ მიაწოდონ საექსპორტოდ ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს.

გარდა ძვირფასი ჯიშებისა, მათ შეუძლიათ დაამზადონ დიდის რაოდენობით ყუთების მასალები, ფიცრები, ფანერა და სხვა.

მოხსენებების შემდეგ თათბირის თავმჯდომარემ—ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს წარმომადგენელმა ამხ. პანიევმა ჯამი გაუკეთა თათბირის მუშაობას და აღნიშნა, რომ ჩვენი ექსპორტი უნდა მიმდინარეობდეს ორი მიმართულებით. ჩვენ მომავალშიაც განვაგრძობთ ძვირფასი ჯიშების გატანას, რადგან მათზე დიდი მოთხოვნილებაა დასავლეთ ევროპის ბაზრებზე, მაგრამ ამავე დროს მივიღებთ ზომებს სხვა ჯიშების ექსპორტის მოსაგვარებლადაც.

ამხ. პანიევის სიტყვის შემდეგ თათბირმა მიიღო რეზოლიუცია რომელშიაც აღნიშნულია, რომ სატყეო ტრესტებმა თავის ყოველწლიურ საწარმოო გეგმაში უნდა შეიტანონ საექსპორტო სატყეო მასალების დამზადებაც; მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა თავის დროზე უნდა გამოჰყონ ტყის ნაკვეთები საექსპორტო ხე-ტყის დასამზადებლად.

რეზოლიუცია წინადადებას აძლევს ხე-ტყის დამამზადებელ ორგანიზაციებს ორი კვირის განმავლობაში წარადგინონ ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატში 1927-28 წლის განმავლობაში საექსპორტო ჯიშების დამზადების საწარმოო გეგმა, რომელშიაც აღნიშნული უნდა იქნეს საწარმოო კალკულიაცია.

კონფერენცია სკოლის ჰასაკამდე აღზრდის შესახებ

მეოთხე დღე

მეოთხე დღის დილის სხდომაზე მოხსენება გააკეთა ამხ. გოლოვკოვამ ბავშვის სულიერი აღზრდის შესახებ თანამედროვეობასთან შეფარდებით. მომხსენებლის აზრით, ბავშვი სკოლის ასაკამდე, წარმოადგენს არა მარტო ბიოლოგიურს, არამედ სოციალურ არსებასაც. იგი არის სოციალური გარესკნელის ნაყოფი, რომელზედაც გავლენას ახდენს ცხოვრების მრავალფეროვნება. ბავშვი იმსჭვალება მის გარშემო მყოფ საზოგადოების ინტერესებით და აღმზრდელის ვალია დაეხმაროს ბავშვს ამ მოვლენების გარკვევაში, მოამზადოს იგი აუცილებელ წარმოდგენათა ასათვისებლათ, განამტკიცოს მასში სასარგებლო შეხედულებები და უკუაგდებინოს უსარგებლო და მავნე.

ბავშვების დაკავშირება თანამედროვე ცხოვრებასთან უნდა ტარდებოდეს შემდეგი საშუალებებით: ინდივიდუალურ - კოლექტიური საუბრების მოწყობით, საბავშვო დაწესებულებებსა და პიონერებთან ურთიერთობით საბავშვო დაწესებულების ცხოვრებასთან დაკავშირებულ რევოლიუციონურ დღესასწაულების მოწყობით.

საბავშვო დაწესებულებთან კავშირი ხელს უწყობს ბავშვში კოლექტივისტურ ჩვევების, კრიტიკულ ალღოს განვითარებას და აძლევს მას კოლექტივის შეფასების უნარს. პიონერებთან ურთიერთობას ბავშვისათვის აქვს აღმზრდელობითი მნიშვნელობა. მათი ყოფაქცევა მისთვის მაგალითს წარმოადგენს.

რევოლიუციონურ დღესასწაულების მოწყობა ააშკარავებს ბავშვის აქტივობას, ორგანიზატორობას და აძლევს ბავშვებს ბევრს სამხიარულო და ჯანსაღ განცდებს.

ამავე დღის საღამოს სხდომაზე **ბავშვების ფიზიკური მდგომარეობის შესახებ** მოხსენება გააკეთა ექ. ფხალაძემ, რომელმაც კონფერენციას გააცნო საბავშვო სახლებსა და ბაღებში ჩატარებულ საანკეტო აღწერის შედეგები. მომხსენებლის აზრით, ანკეტები არ იძლევიან სწორ ამომწურავ ცნობებს, რადგან ბევრი გრაფები შეუვსებელი დარჩენილა. საერთოთ კი ბავშვების დაავადმყოფიანობა ყველგან საგრძნობია. აღსანიშნავია ამიერ - კავკასიელი ბავშვის ფიზიკური განვითარების ნორმების განშორება იმ ნორმებისგან, რომელიც შენიშნულია დასავლეთ ევროპასა და რუსეთში. საინტერესოა აგრეთვე ისიც, რომ რუსი მოსახლეობის ფიზიკური განვითარება, რომელიც ჩამოურჩება მისთვის დაწესებულ ნორმებს, პარალელურად მისდევს ადგილობრივი მოსახლეობის განვითარებას.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ის გარემოება, რომ ამიერ - კავკასიის ყველა ეროვნების მუშათა ბავშვების ფიზიკური განვითარება ჩამორჩება იმავე ჰასაკის მუშა - მოსამსახურეთა ბავშვების განვითარებას. მომხსენებლის აზრით, ამ გარემოების მიზეზი არის ჩვენი მუშების მიერ გიგიენის და სანიტარიის დაუცველობა და უცოდინარობა.

ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. რ. ნიკოლაძის მოხსენება ბავშვების ფიზიკური გაჯანსაღების შესახებ.

ავაშენოთ თვითმფრინავი

თბილისის პროლეტარიატი

თანახმად ამხ. გ. ყურულაშვილის გამოძახებისა შემოგვაქვს ათ-ათი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევთ ამავე თანხაზე შემდეგ ამხანაგებს:

ივანე ბეჟანოვს, ბესარიონ რაზმაძეს, ვას. ლაშქარაშვილს, ივანე ზაზროევს (მთ. სახელ.), ივანე ვოლსკის, მაჭარაძეს, ვასო ვაშაკიძეს, გიორგი ჯიოევს.

1-ლ რაიონიდან კეკელიას, ჟორჟოლაძეს, საყუდის ადგილ. დემეტრაშვილს, ზაკომოლდინს და ლელაშვილს.

კირილე სულავა და გვარამაძე.

—:—

ქ. თბილისში თვით-მფრინავის ასაშენებელ ფონდში შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ თბილისის მაზრის ყველა თემ ღმასკომის თავმჯდომარეებს, დილომის თემაღმასკომის მდივანს **უანჩელს**, მოანგარიშე **ნაკაშიძეს**, მიწა-ტყის კავშირის დილომის რაიკომის მდივან **კოკაიას**, დილომის კოოპერატივის გამგე **კალანდაძეს**, ექიმ **მარინაშვილს**, სკოლების გამგე **მახარაძეს** და გლეხკომის თავმჯდომარე **გენებაშვილს**.

დილომის თემაღმასკომის თავმჯდომარე **ხუჭუა**.

—:—

შემაქვს თვითმფრინავის „თბილისის პროლეტარიატი"-ს ასაშენებელ ფონდში 5 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

არჩვაძე ევგენი, ენუქიძე ლევან, მორჩილაძე ლავრენტი, გოგინაშვილი მიხეილი, სატნიკოვ კონსტანტინე, უანჩელი საშა, მახარაშვილი, მელაშვილი დავით ელენტი მელენტი, მიროტაძე გრიშა, დუმბაძე ამბერკი, კახიანი ასატურ.

1-ლი უბნის შრომის ინსპექტორი **მაქსიმე ფილიპეს-ძე თოდრია.**

—:—

ამხ. ლადო სუხიშვილის მოწოდების თანახმად შემოგვაქვს 94 მანეთი თვითმფრინავი „თბილისის პროლეტარიატი"-ს ასაშენებელ ფონდში და ვიწვევთ საქართველოს ფინსახკომის გადასახადთა ქვეგანყოფილების თანამშრომლებს.

თბილისის საფინგანის გადასახადთა ქვე-განყოფილების თანამშრომლები:

თალაკვაძე დომ. 10 მან., ლომაძე ალ. 5 მ., ყაველაშვილი იოს. 10 მ., თევზაძე ნიკო 5 მ., ლოლუა ივ. 5., ქორქია როდიონ 5 მ., ბაქრაძე ვალ. 3 მ., თუმანიანცი არმ. 3 მ., მინდორაშვილი ზ. 3 მ., ხუბუა ალექ. 3 მ., სულაქველიძე ი. 1 მ., ცინცაბაძე ირ. 5 მ., კახეთელიძე ვ. 2 მ., ოგანეზოვი გ. 2მ., მიმინოშვილი ვ. 1 მ., ისკანდარაშვილი მ. 1 მ., იაკოვლევი ვალ. 2 მ., გედევანიშვილი მ. 3 მ., ოთარიშვილი ილია 3 მ., უკლება პავლე 2 მ., საყვარელიძე ბაბო 1 მ., ჩიქვაიძე მარგ. 1 მ., ტაბლიაშვილი ა. 1 მ., ანანიაშვილი ეთერი 1 მ., ახობაძე მარო 50 კაპ., აბაშიძე-მღებრიშვილი 50 კაპ., კანდელაკი ს. 50 კ., დალაქიშვილი კ. 50 კ., ახალკაცი მარიამ 1 მ., ბერეკაშვილი თ. 50 კ., შენგელია თამარი 1 მ., გამზარდია ბადუ 2 მ., ბილანიშვილი კ. 1 მ. 50 კ., დემუროვი იაკობ 2 მ., ტოჩია გრიგოლ 2 მ., მესხიძე 3 მ., პეტრიაშვილი მარო 1 მ.

—:—

თვითმფრინავის „თბილისის პროლეტარიატი"-ს აგების სასარგებლოთ ვწირავ 1 მანეთს და ვიწვევ 1 ქართულ მსროლელ ლეგიონიდან **დ. გაბუნიას** და **ჟორჟოლიანს**, მე-6 ტერლეგიონიდან **ჭანტურიშვილს** და დივიზიის პოლიტგანყოფილებიდან **დ. მოველაძეს**.

ქართ. ცხენოსან ლეგიონის წ. არმიელი **ლ. ჯავახაძე**.

—:—

შემომაქვს საბჭოთა ესკადრილიის ფონდში 10 მან. და ასეთივე თანხის შემოტანის მიზნით ვიწვევ ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს: **ეპ. კვანტალიანს, ალ. ყამარაულს, ვ. ოსიპჩუკს, ი. შავგულიძეს** (ა.-კ. ფოსტელ ოლქის სამმართველო) **რ. კუპრავას, დ. ჭაბუკიანს, აკ. ლომაიას, ალ. დიდიმამიშვილს** (ბათომი) **მურადოვს** (სოხუმი) **ტაბიძეს**, (ქუთაისი) (ფოსტა, ტელეგრაფის, ტელეფონის და საოლქო კანტორის გამგეების) **შ. ჩიხლაძეს, დ. ჭყონიას, ვ. კომახიძეს, მაკარუკს, ა. ბარძიმაშვილს, კ. ნაცვლი-შვილს**, (ბათომი) **კოსტენკოს** (სოხუმი), სხვა ფ. ტელ. სამეურნეო-პროფ. მუშაკებს და წითელ მეზღვაურების ხელმძღვანელთ: **ტარ. სპრინკველს, ფილ. სპრინკველს, ბორის თუნთიას, ივ. ბერიძეს და აკ. გოგენიას.**

ფოსტის მუშაკთა პროფკავშირის ქუთ. საოლქო გამგეობის თავმჯდომარე

ი. მარგველაშვილი.

თავდაცვის კვირეული

თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობმა საზოგადოებამ დაადგინა ჩაატაროს მთელ რესპუბლიკაში თავდაცვის კვირეული. კვირეულის ჩასატარებლად დამტკიცებული ზოგადი გეგმა და პროგრამა. ტეხნიკურათ კვირეულის ჩატარებას უხელმძღვანელებს ცალკე კომისია, რომელშიაც შედიან: ამხ. **ს. ჯულელი, ჩ. იმედაძე, ფირალოვი, ჯაფარიძე, არუტინოვი, ასრიბეკოვი, აბაშიძე, კიკნაძე.** (ფ. კ. უ. ს.), [illegible], **ეზიკოვი** და **ა. სიხარულიძე.**

კომისიას მინდობილი აქვს გამოიმუშაოს კვირეულის ჩატარების დაწვრილებითი გეგმა და შეადგინოს ადგილებისათვის სახელმძღვანელო პროგრამები. კომისია მიაწოდებს ადგილებს სათანადო დირექტივებს.

თავდაცვის კვირეულის შესაფერათ ჩასატარებლათ. კვირეულის განმავლობაში განზრახულია მოხდეს ყულაბებით ფულის შეგროვება, კინო-თეატრებისა და სხვა გასართობებში ბილეთებზე 10 პროცენტის დანარიცხების შეკრება და სხ. ამის შესახებ თავდაცვა ავიაქიმის საზოგადოებამ გადასწყვიტა შუამდგომლობა აღძრას ცაკისა და სახკომსაბჭოს წინაშე.

კვირეულის განმავლობაში გადაწყვეტილია დაწყებული იქნეს კამპანია ნებაყოფლობითი შემოწირულებების შესავსებათ საჰაერო ესკადრილიის ფონდის სასარგებლოთ. თავდაცვის კვირეულის დაწყებისას გამოშვებული იქნება მოწოდება რესპუბლიკის მოსახლეობისადმი ჩაეწერონ საზოგადოების წევრებათ.

პროვინციებში გამოყოფილი იქნება თავდაცვის კვირეულის საოლქო სამაზრო და სარაიონო კომისიები.

კვირეულის ჩატარების ვადა ჯერ-ჯერობით არაა საბოლოოთ გამორკვეული.

წარმოკავშირის ყრილობა ბათომში

ბათომში გაიხსნა წარმოკავშირის მუშაკთა ყრილობა. გამგეობის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. მუსტაფა ჩხვაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ წარმოკავშირმა მიუხედავად ხანმოკლე არსებობისა, სასოფლო სამეურნეო ბანკის დახმარებით შესძლო სასოფლო - სამეურნეო ამხანაგობათა მოწყობა ქედაში, ქობულეთში, კინტრიშში, აჭარის-წყალზე, ბათომში და სხვაგან. მოწყობილია აგრეთვე სარძეე ფერმები [illegible] და ბათომში და მრ. კოლექტივები ჩაქვში და მახინჯაურში. კოლექტივები აერთიანებენ 1.500 მეტ გლეხს. მათთვის შეძენილია ტრაქტორი.

მოხსენების მიხედვით მიღებული იქნა მთელი რიგი წინადადებები მაზრებში მუშაობის გაფართოებისა და გაღრმავების შესახებ.

მუშაობის გეგმის გამომუშავება მინდობილი აქვს ახალ გამგეობას. ახალ გამგეობაში არჩეული არიან: თავმჯდომარეთ ამხ. ჯანაშია, გამგეობის წევრებად ამხ. მხეიძე (აჭარისტანის სასოფლო - სამეურნეო ბანკის გამგე) და ზაქარიაძე (ფინსახკომის რწმუნებული აჭარისტანში). საბჭოში არჩეულია 17 კაცი.

არჩევნების შემდეგ ყრილობა დაიხურა.

ქრონიკა

ამხ. კაგანოვიჩის ჩამოსვლა

17 ივლისს თბილისში ჩამოვიდა უკრაინის კომპარტიის (ბ) ცეკას გენერალური მდივანი ამხ. ლ. კაგანოვიჩი.

თბილისში ამხ. კაგანოვიჩი დაჰყოფს 1—2 დღეს და გაემგზავრება აგარაკზე დასასვენებლად.

ა.-კ. შემფასებელ კომისიის თავმჯდომარის დანიშვნა

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ ა.-კ. შემფასებელ კომისიის თავმჯდომარეთ დანიშნა ამხ. **გ. მ. გრიგორიანი.**

წინადადება მიეცა ამიერ-კავკასიაში შემავალ რესპუბლიკებს და აგრეთვე ა.-კ. ფინსახკომს და ა.-კ. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს დაიჩქარონ თავიანთი წარმომადგენლების დანიშვნა ა.-კ. შემფასებელ კომისიაში.

კრედიტები სატყეო მრეწველობისათვის

საქართველოს ხე-ტყის მრეწველობის ტრესტის უფროსმა ამხ. **ნ. ბრეგვაძემ** გუშინ მოსკოვიდან მიიღო შემდეგი დეპეშა:

„საბჭოთა კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით, ამიერ-კავკასიის ხე-ტყის მრეწველობის საბრუნავი თანხების გასაძლიერებლად გადადებულ იქნა 300 ათასი მანეთი. აქედან საქართველოს ხე-ტყის მრეწველობისათვის გადადებულია 150 ათასი მან. კრედიტს ამ დღეებში გახსნის ფინანსთა სახალხო კომისარიატი".

სტუდენტთა ორგანიზაციების გადახალისება

მოსკოვიდან დაბრუნდენ თბ. პროლეტარულ სტუდენტობის აღმასრულებელ ბიუროების წარმომადგენლები, რომლებიც მივლინებული იყვენ მოსკოვში იქაურ პროლეტარულ სტუდენტთა ორგანიზაციების გასაცნობათ.

აღმასბიუროების წარმომადგენლებმა მოსკოვიდან ჩამოიტანეს მდიდარი მასალა, რომლის მიხედვით თბილისში ჩატარდება სტუდენტთა ორგანიზაციების გადახალისება.

ჩაის მეურნეთა ყრილობა

ჩაის მეურნეთა ყრილობა, რომლის მოწვევა დანიშნული იყო მიმდინარე თვის შუა რიცხვებში, გადაიდო ივლისისათვის. ყრილობა მოწვეული იქნება ქ. ოზურგეთში 10 ივლისს. ყრილობაზე მოწვეულნი არიან საქართველოს ჩაის ყველა რაიონების წარმომადგენლები და აგრეთვე სპეციალისტი აგრონომები. ყრილობის დღის წესრიგში სდგას საკითხები, რომელიც ეხებიან ჩაის მეურნეობის განვითარებას საქართველოში და კერძოდ გურიაში, რომელიც წარმოადგენს სუბტროპიკული კულტურის ცენტრს მთელს ამიერ-კავკასიაში.

ჩაის მეურნეთა ყრილობა გაგრძელდება ერთ კვირას.

ექსკურსიები

დღეს, შაბათს საღამოს ბათომში მიემგზავრება მედსანშრომის კავშირის ექსკურსია. ექსკურსანტები თბილისში დაბრუნდებიან ორშაბათ დილით.

კვირას 19 ივნისს ფეიქართა კავშირი აწყობს თავის წევრების ექსკურსიას ზაჰესში.

ჩაის ფალსიფიკაცია

უკანასკნელ ხანებში გახშირდა ადგილობრივი ჩაის ფალსიფიკაცია და ამიერ-კავკასიის საპაიო ვაჭრობის ამხანაგობასთან არსებულ ჩაის სამმართველოს ყალბი ეტიკეტების გამოშვება. ამ მოვლენის აღსაკვეთად ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახ. კომისარიატმა დაადგინა ადგილობრივი ჩაის დამუშავების და ბაზარზე გასაყიდად გამოშვების უფლება მისცეს მხოლოდ სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი"-ს, ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირს და ა.-კ. ვაჭრობის საპაიო ამხანაგობას.

დახმარება

ამიერ-კავკასიის სასოფლო - სამეურნეო ბანკმა გადასწყვიტა მისცეს სესხი საქართველოს თამბაქოს მეურნეებს; მიმდინარე წელში საქართველოში ამ მიზნით სულ გაცემული იქნება 140.000 მან. მოკლევადიანი სესხის სახით და 46.000 გრძელვადიანი სესხის სახით. ამას გარდა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკისათვის ამავე მიზნით გადადებულია ნახევარი მილიონი მან.

თბილისის აღმასკომში

◆ **უძრავ ქონებათა სამმართველოს** შენობებისა და სახლების შესაკეთებლად გადაეცა 33.456 მან.

◆ **გასავლის შემცირება.** აღმასკომმა გამოჰყო ცალკე კომისია ყველა განყოფილებებში გასავლის 10 პროცენტის შემცირების ჩასატარებლად.

◆ **შინამრეწველობა.** ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებამ გადასწყვიტა მჭიდრო კავშირი დაიჭიროს და უხელმძღვანელოს შინამრეწველობას თბილისსა და მის მაზრაში.

სხვადასხვა

— **„ბავშთა მეგობრების"** საზოგადოების მესამე საქალაქო ყრილობა, რომელიც იყო დანიშნული დღეისათვის, გადადებულია 28 ივნისისათვის ა. წ.

— **შაბათს, 18 ივნისს** საღამოს 7 საათზე მოხდება თბილისის ავტო-კლუბის საზეიმო გახსნა.

◆ **საბავშო სეირნობა.** კვირას ახალ კლუბის ბაღში გაიმართება დიდი საბავშო სეირნობა.

შემთხვევები

◆ **მორგებული გასაღების საშუალებით** 16 ივნისს ვარდისუბნის ქ. № 4 გაქურდეს გრიგოლ სამსონიას ბინა. წაიღეს 110 მანეთის ნივთები.

◆ **შეპყრობა.** 1 ივნისს ნაქურდალი ნივთებით შეიპყრეს მაქსიმე რუბენი (უბინაო).

◆ **7.400 მანეთის მოპარვა.** 16 ივნისს მუხრანის ბაზარში მოქ. ტონაკნოვის სავაჭროდან მოიპარეს 7.400 მანეთი ფულად.

◆ **დაჭრა.** 16 ივნისს თავისუფლების მოედანზე ვინმე ოგანეზოვმა დანით მძიმეთ დასჭრა გეურქა ქარიმიანი. ოგანეზოვი შეიპყრეს.

◆ **სიმულიაცია.** 16 ივნისს შეიპყრეს ალექსანდრე სამადაშვილი, რომელმაც მიითვისა მოქ. ავეტიკოვის 264 მანეთი

◆ **ახალ ბაზარში.** 16 ივნისს ზოია ბუჩაიძეს მოპარეს ერთი კალათი, სავსე ნივთებით.

◆ **შეპყრობა.** 16 ივნისს [illegible] შეიპყრეს ილიკო ესტატეს ძე ხუბულური.

სურებ-ჩოხატაურის გზა

სურები ერთ ერთი მნიშვნელოვანი კუთხეა გურიის, რომელიც ჩოხატაურის აღმოსავლეთით მდებარეობს მდინარე სუფსის ხეობაში.

არ იქნა და ვერ ეღირსა სურების მშრომელი გლეხკაცობა ხეირიანად სავალ გზას, რათა ამით დაკავშირებოდა როგორც კულტურულ ისე ეკონომიურ ცენტრებს. აღნიშნული კუთხისათვის გზის გაყვანის საქმე ოცნებათ გადაიქცა. მეფის დროიდან დაწყებული დღემდე ყოველ წლობით არ იშურებდნენ იქაური მცხოვრებლები სათანადო ღონისძიებების მიღებას, თხოვნებს გზავნას, არჩეულ კაცების წარგზავნას მთავრობაში.

დღესაც ეს საკითხი თვით ხალხმა ოზურგეთის სამაზრო აღმასკომის ინიციატივით წამოაყენა. საბჭოთა მშენებლობის ამ დიდ პროცესში უკან არ ჩამოურჩებით სხვა კუთხეებსო და დაინტერესებულ თემების მშრომელნი ერთსულოვნათ შეუდგენ მამა პაპათვის საოცნებოდ გადაქცეულ საქმეს.

როგორც ყველგან და ყოველთვის საბჭოთა ხელისუფლებამ მშრომელთა სამართლიან ხმას ყურადღება მიაქცია.

აღნიშნული გზის ეკონომიურ და კულტურულ მნიშვნელობაზე ლაპარაკი ზედმეტია. 30 ვერსის სიგრძე გზა მთაგორიან მოწყვეტილ კუთხეს დაუკავშირებს ადმინისტრატიულ, ეკონომიურ და კულტურულ ცენტრებს. იმ გზის გაყვანა, რომლითაც საჭირო ხე-ტყეს, სასოფლო-მეურნეობის ნაწარმოებს და სხ. მოეზიდება მთელი გურია და ნაწილობრივ სამტრედიის რაიონი და რომლითაც გურიისა და სამტრედიის მესაქონლეობის მიდევარი მოსახლეობა. უკავშირდება სურების მთებს საბალახოებს, ცხადია საერთო ინტერესს გამოიწვევს ყველა საზოგადოებრივი საქმით დაინტერესებულ მოქალაქეში.

აღნიშნული გზის გაყვანას (რომელზედაც პრაქტიკულად, გეგმაშეწონილად მუშაობა წელს დაიწყო) ხელმძღვანელობს საამშენებლო კომიტეტი. კომიტეტის საპატიო თავმჯდომარეა ამხ. ფ. მახარაძე.

გზის გეგმა შემდეგია: შარა გზა ჩოხატაურიდან ზემო სურებამდე სიგრძით დაახლოებით 25-30 კილომეტრი, 6-8 მეტრი სიგანით. მთელ შავს სამუშაოს ასრულებს თვით მშრომელი მოსახლეობა, მთავრობა დახმარებას უწევს სამუშაო იარაღებით, ასაფეთქებელი მასალებით, ნაწილობრივ ფულით და ტეხნიკური ძალებით. შავი მუშაობა უკვე დაიწყო, აგებულია ხუთი დიდი ხიდი. სულ უნდა აიგოს 80-მდე პატარა ხიდი. ხალხის შავ სამუშაოებს გარდა (ხიდების აგება, საამისო მასალა და სხვ) ფულად საჭიროა 35-40 ათასი მანეთი, რომ მთელი მუშაობა დასრულებულ იქნეს. მთავრობამ სამუშაოთა საწარმოებლათ უკვე გაიღო ხუთი ათასი მანეთი. უკანასკნელად საქ. ცაკის მცირე პრეზიდიუმმა დამატებით გაუგზავნა საამშენებლო კომიტეტს ათას ხუთასი მანეთი და ამ დღეებში კი ამხ. მ. კახიანმა ს. კ. პ. (ბ) ცეკასაგან გადმოგვცა ათასი მანეთი საამშენებლო კომიტეტისათვის.

რათა საამშენებლო კომიტეტისათვის გაგვეწია მატერიალური და მორალური დახმარება ქ. თბილისში მცხოვრებმა ამ გზით დაინტერესებულ თემებიდან შევადგინეთ დამხმარე კომიტეტი, რომელიც აწყობს გამოწვევებს, შემოწირულებების მოგროვებას დაინტერესებულ პირთა შორის, წარმოდგენა-საღამოების გამართვას და სხვა.

კომიტეტმა შეადგინა უკვე თავისი სამოქმედო გეგმა და შეუდგა მუშაობას. პირველ ნაყოფს კომიტეტის მუშაობისას წარმოადგენს დაინტერესებულ პირთა გამოწვევა, რომელიც დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ბ. ბიბინეიშვილმა დაიწყო „კომუნისტში“.

ჩვენ გვწამს რომ ამ გზის გაყვანით დაინტერესებული პირები, რომელნიც ქ. თბილისში სცხოვრობენ, მხურვალე მონაწილეობას მიიღებენ ამ საქმეში მატერიალური და მორალური დახმარებით.

საქართველოს სხვა ქალაქებში მცხოვრები დაინტერესებულ თემების მკვიდრნიც შეადგენენ ანალოგიურ კომიტეტებს და თავიანთ წვლილს შეიტანენ იმ საშვილიშვილო საქმეში, რომელსაც სურებ-ჩოხატაურის შარა გზა ეწოდება.

ამით ჩვენ ქალაქად მცხოვრებნი, სოფელს დროებით მოშორებულნი ძმურ ხელს გაუწვდით იმ ამხანაგებს, რომლებიც სოფლად არიან და მუშაობას ეწევიან. სალამი მათ ჩვენგან. ამ ხაერთო მუშაობაში ჩვენც მათთან ვართ.

სურებ-ჩოხატაურის შარა გზის თბილისის დამხმარე კომიტეტის წევრი **გრ. ულენტი.**

ამხ. ბარონ ბიბინეიშვილის გამოწვევის თანახმად შემომაქვს სურებ-ჩოხატაურის შარა გზის სასარგებლოდ 8 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ამხ. ხერ. მეგრელიშვილს, თედ. დოლიძეს, გრ. მგალობლიშვილს (იუსტ. სახ. კომისარიატი), სილიბისტრო თავართქილაძეს, ვანო გაბრიელის ძე რამიშვილს, ილია ესიფის ძე რამიშვილს.

ოზურგეთიდან: დ. კომახიძეს, ხარ. ჭინჭარაძეს, რაფიელ რამიშვილს, მილოსი დოლიძეს, ქუთაისიდან: სევ. მინდაძეს.

ვთხოვ მათ თავის მხრიდანაც გამოიწვიონ ამხანაგები, რომლებიც დაინტერესებული არიან ზემო აღნიშნულ გზის გაყვანაში.

ალიოშა ან—სძე **რამიშვილი.**

მოქ. ეზიეშვილის გამოწვევის თანახმად სურებ-ჩოხატაურის შარა გზის ფონდში შემომაქვს ათი (10) მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს გაიღონ თავისი წვლილი: სიმონ შონიას, მოსე გოგიბერიძეს, სევასტი დოლიძეს, ალფესი რამიშვილს (რკ. გზის სამართველო), თედორე მიგაჯანაშვილს, კბ. ექ. ნესტორ ბერძენიშვილს, ლექტარიონ ჭაველიძეს, პავლე ცინცაძეს, ექ. სანდრო ცინცაძეს, ექ. ლადო ანთაძეს, ტატიანა სანიკიძეს და ექ. შურა გურგენიძისას სურვილისამებრ.

ქსენია ექვთიმეს ას. **ბიბინეიშვილი.**

სასამართლო

ბულიბანი

13 ივნისს იოსებ ოსიყაშვილმა თავისი „ძალაუფლება“ გამოაცხადა თბილისის ერთ-ერთ ქუჩაზე. ბახუსი იყო მისი მებაირახტრე. მიდიოდა და მიარღვევდა ხალხს. ზოგს მარჯვენით გაჰკრავდა მუჯლუგუნს, ზოგს მარცხნივ. ტროტუარის ტერიტორიაზე ვინც ფეხს შემოდგამდა, ვერ ასცდებოდა მის რისხვას და ლანძღვა-გინებას. შეშინებული ქალები გარბოდენ, მამაკაცები ცდილობდენ ქუჩის „გმირის“ დამშვიდებას, მაგრამ ამაოდ. საჭირო დარჩა მილიციელის კვერთხი, მაგრამ ოსიყაშვილმა უბრძოლველად როდი დასთმო თავისი საბრძანებელი. გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა. ოსიყაშვილი მედგრად იცავდა თავის პოზიციებს, მაგრამ მისი უშმაწური სიტყვებით აღშფოთებულ მოქალაქეების „აჯანყებამ“ დაამხო ოსიყაშვილის ძლიერება. ის შეკრეს, ჩადეს ეტლში და ღრიანცელი ცერემონიით მიაცილეს კომისარიატამდე.

სახალხო სასამართლოს მორიგმა კამერამ ამხ. ი. გაბუნიას თავმჯდომარეობით 6 თვით დაპატიმრება მიუსაჯა იოსებ ოსიყაშვილს ხულიგნობისათვის.

უდღეური კვაჭი

მოგეხსენებათ, ჩვენში კვაჭი თუ არა, ყოველ შემთხვევაში მისი მიმდევარი და თანაგრძნობი ბევრია. ზოგი მათგანი პატარაობიდანვე იჩენს თავის ნიჭს. იწყებს პატარა საქმეებით, გადადის დიდზე, იძენს „გამოცდილებას“, მიდის წინ და გვევლინება თითქმის დასრულებული კვაჭის სახით.

მაგრამ ბევრია ისეთებიც, რომელთაც ბედი არ ულიმის, ცხოვრების „უკუღმართი“ კანონები ასეთი ნიჭის „გაშლა - გაფურჩქვნას“ არ დააცლის და ასე იკარგებიან დიდი მომავლის მქონე „გოგრები“, უსახელოდ და უფერულად ათავებენ ცხოვრებას.

ვინ იცის, რა ნიჭი დაიკარგა **გიორგი ვლადიმერის ძე ჭყონიას** სახით. მერე როგორ ახლოს იყო ჩვენთან!.. თბილისის აღმასკომში, „უქს“-ის სამმართველოს მოანგარიშეთ. სათუთად საწყენია, რომ ასეთ ასპარეზზე, სადაც იხარებდა და გაიფურჩქნებოდა მისი ნიჭი, მას არ დასცალდა, უდროვოდ ჩაესვენა მისი ბედის ვარსკვლავი.

ჩვენ ამაოდ როდი დავსტირით მის ნიჭს. თქვენ თვითონ სთქვით; 18 წლის ახალგაზრდა რომ ასეთ უნარს გამოიჩენს, რა იქნება ის დავაჟკაცების შემდეგ.

„უქს“-ის მოანგარიშეობას „ადვილად იტყვის ენაო“, ძნელია უსათუოდ. კაცი ადვილათ შეიძლება დასნეულდეს. დიახ! ჩვენი „გმირიც“ ფაბავუნდა და დამზღვევ სალაროს საშუალებით მიევლინა დასასვენებლად. დასვენება რომ ეჭირებოდა. ეს ექიმებმაც დაადასტურის სათანადო დიაგნოზის დასმით.

გავიდა დასვენების ვადა. გიორგის ისე არ უნდოდა სამსახურში დაბრუნება და მუშაობა, როგორც ამ ზაფხულში არავის უნდა გახურებულ ბუხართან ჯდომა. გიორგიმ ეხლა თვითონვე დაუსვა თავის თავს დიაგნოზი. აღმოაჩინა ბევრი სხვადასხვა ავადმყოფობა, აღარ შეაწუხა დამზღვევ სალაროს ექიმები: დერსამია და დემურია. თვითონვე გაისარჯა და ორივეს მაგიერ მან მოაწერა ხელი წინასწარ შეძენილ ბიულეტენს. რატომღაც თავისი მშვენიერი სახელი და გვარი გასცვალა ვიღაც ვასილ მახარაძეზე.

გამზადებული ბიულეტენი, როგორც მიღებულია, წარუდგინა ადმინისტრაციას. აქაც დააკვირდით მის ნიჭს. იმ თავითვე იცოდა, რომ ბიულეტენს არავინ გასინჯავდა. ვის რაში ეჭირებოდა ჭყონიას სახელზე იყო ბიულეტენი, მახარაძის თუ გარდაცვალებისა. ერთი სიტყვით, დაწერებულებამ „საქმის გაჭიანურების“ შიშით არ დაარღვია დაავადმყოფებული მუშაკი.

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად გიორგიმ დასწერა მინდობილობა თავის თავის სახელზე. უკვე დაუბრუნდა თავის გვარს და დაავალა თავის თავს ვითომ მახარაძის ფულის მიღება. კომისარიატმაც დაამოწმა მინდობილობა და დაუყოვნებლივ დაურთა ბეჭედი.

ყველაფერი მზად იყო. საჭირო იყო მხოლოდ „მცირე შესწორება“, მაგრამ ეს უკვე სატაოიფო განაკვეთის დარგში. მისი ჯამაგირი უდრიდა 42 მანეთს. მან აიღო და ერთი ერთეული მიუწერა წინ. გამოვიდა 142 მანეთი, თითქმის მიუახლოვდა სპეცგანაკვეთს.

ახალგაზრდა კვაჭიმ პირველი გამოცდა ჩინებულად ჩააბარა. დაბრუნდა სახლში ჯიბე დამშვენებული. წახალისებული პირველი გამარჯვებით, ის განაგრძობდა ამ ასპარეზზე „დაწინაურებას“. შვებულებას ბოლო არ უჩანდა. გიორგი თავის თავს დიაგნოზსაც მშვენიერად უსვამდა. შვებულებასაც უგრძელებდა, აძლევდა მინდობილობას, უმატებდა ჯამაგირს და ის იყო სპეცობამდე უნდა ასულიყო, რომ ბედმა უმუხთლა.

აფსუს! ასეთი ნიჭის პატრონი კაცი ეხლა სადღაც ციხის კედლებში იყოს გამომწყვდეული! და ვინ იცის რას უქადის მას ულმობელი სასამართლო.

გ.

ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

კომპოზიტორ ლეო ფალიაშვილის „ვეფხის ტყაოსანი“

ამ რამოდენიმე დღის წინად გამართა ახალგაზრდა კომპოზიტორ ლეო ფალიაშვილის კონცერტი. შესრულებული იქნა მისი ახალი ოპერა „ვეფხის ტყაოსანი“, რომელიც რამოდენიმე ხნის წინად განიხილა სამხატვრო კომისიამ და მისაღებად სცნო სცენაზე დასადგმელად.

ძნელია ოპერის ღირსების შეფასება საკონცერტო შესრულების მიხედვით, რადგან შეუძლებელია კაცმა თვალყური ადევნოს მოქმედ პირთა ურთიერთ დამოკიდებულებას და მოქმედების განვითარებას. როგორც სჩანს, ამ ოპერის შესაქმნელად ავტორს დაუხარჯავს დიდი შრომა და ერუდიცია. ლამაზია ჰარმონიზაცია, რომელიც მოწმობს ინსტრუმენტოვკის დადებით მხარეებს. ამავე დროს ოპერას აქვს ნაკლულოვანებანი,—უმთავრესად ცალკე მელოდიებს, რომელთაც აკლიათ მრავალმხრივობა და სხვადასხვაობა. მელოდიებში საკმარისად განვითარებული არ არის ფრაზა; მათში უფრო მეტია ერუდიცია, ვიდრე ემოციონალობა. გამონაკლისს შეადგენენ ავთანდილის არია (ლირიული ბანი) ტარიელის მეორე არია (ტენორი), ნესტან დარეჯანის მეორე არია (სოპრანო) და ფარსადანის არია (ბანი). ლამაზია საბალეტო ნომრებიც (ქაჯების ცეკვა) მთავარი პარტიების შემსრულებლნი: მაჰავარიანი (ნესტან დარეჯანი), ქუმსიაშვილი (ტარიელი), აღლაძე (ავთანდილი), მესხიევი (ფარსადანი).— ამ საღამოსაც იდგენ თავის მოწოდების სიმაღლეზე. ძალიან მუსიკალურია მომღერალი ქალი მაჰავარიანი, რომელსაც აქვს მშვენიერი ხმა. მუსიკალურად და ცოდნით მიჰყავდა ორკესტრი ნიჭიერ მელიქ ფაშაევს.

მუსიკოსი.

ხელოვნების ქრონიკა

მუშათა კინო.

ამ.-კ. საგზაო კომიტეტმა თავის კულტფონდიდან თბილისის საუბნო კომიტეტს ნაძალადევის პლეხანოვის სახელობის რკინის გზელთა კლუბში კინო თეატრის მოსაწყობად გადასცა 7,000 მანეთი.

— **ნაძალადევის მუსიკალურ მუშფაკში** გამოცდები ყველა ფაკულტეტებზე უკვე დასრულდა. მოწაფეთა მეორე მუსიკალური ღია დილა (აქტი) შესდგება კვირას, 19 ივნისს, დღის 1 საათზე მუშფაკის შენობაში.

— **კონცერტი.** 7 ივნისს ცაგერის (ლეჩხუმი) მუშა - მოსამსახურეთა კლუბში 9-წლედის მოწაფეთა მიერ დადგმულ იქნა კონცერტი. კონცერტმა კარგად ჩაიარა, მშობლები და სხვა მუშა-მოსამსახურენი კმაყოფილი დარჩენ.

სახელმწ. უნივერსიტეტში

— **მისაღებ სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრა.** განათლების სახ. კომისარიატის კოლეგიამ საბოლოოდ დაამტკიცა მომავალ სასწავლო წლიდან სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა. 1927-28 სასწავლო წლისათვის უნივერსიტეტში სულ მიღებული იქნება 500 ახალი სტუდენტი. აქედან ცალკე ფაკულტეტების მიხედვით: სოციალურ-ეკონომიურ ფაკულტეტზე — 125 სტუდენტი; აგრონომიულზე — 50, პოლიტეხნიკურზე—50, სამკურნალოზე — 75, პედაგოგიურზე — 200.

— **პროფ. გ. წერეთლის მივლინება.** სახ. უნივერსიტეტმა დამსახურებული პროფ. გრიგოლ წერეთელი სამეცნიერო მიზნით მიავლინა მოსკოვსა და ლენინგრადში.

— **უნივერსიტეტის არსებობის 10 წლის** თავისათვის სახ. უნივერსიტეტი სცემს საგანგებო კრებულს.

— **წიგნთსაცავი.** სახ. უნივერსიტეტმა ლენინგრადში შეიძინა პროფ. მ. პოლიევქტოვის წიგნთსაცავი.

რკინის გზებზე

ბაკის აფეთქება

გუშინ, სად. კასპში ორთქლმავალზე გასკდა მუხრუჭის საჰაერო ბაკი, რომელმაც იმსხვერპლა მემანქანე **ცქიფურიშვილი.** ბაკის აფეთქება მოხდა წმენდის დროს. აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ ცქიფურიშვილი მკვდარი დაეცა იქვე.

სპეციალისტების აზრით, აფეთქება გამოიწვია ატმოსფერის ზედმეტმა დაწოლამ, რასაც ბაკში ჰქონდა ადგილი. ძიება სწარმოებს.

ხანძარი

გუშინ ერევანში ცეცხლი გაჩნდა მთელ ვაგონს. მიღებული სასწრაფო ზომებით ხანძარი ჩაქრობილ იქნა ერთი საათის განმავლობაში. რონოდა საგრძნობლად დაზიანდა.

მატარებლების დაჯახება

გუშინ ღამით, სად. ქსანში ადგილი ჰქონდა მატარებლების დაჯახებას, რასაც შედეგათ მოჰყვა ოთხი ქვაბის, ერთი საბარგო ვაგონის და ორთქლმავლის აცდენა ლიანდაგიდან. მარცხის მიზეზია საბარგო მატარებლის მიღება დაკავებულ ლიანდაგზე.

დამატებითი მატარებლები

19 ივნისიდან თბილისიდან ბორჯომამდე ყოველდღიურათ ივლის დამატებითი სამგზავრო მატარებლები № 17—18. თბილისიდან მატარებელი გავა დილის 7 საათზე.

საყვედურის გამოცხადება

24 აპრილს სად. სუმგაიტში მოხდა მატარებლის მარცხი, რითაც რკინის-გზამ იზარალა 8.606 მანეთი. ამ დღეებში აღნიშნული საქმე განიხილა უბედურ შემთხვევებთან მებრძოლმა საგზაო კომისიამ, რომელმაც გამოარკვია, რომ კატასტროფის მიზეზი იყო ისრის ცუდათ გადაყვანა მეისრე **აზის-სეიდ-ოღლის** მიერ.

დამნაშავეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური გაფრთხილებით.

რადიო-გადაცემა

შაბათი, 18 ივნისი

დღეს საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ რადიო-სტუდიიდან გადაცემული იქნება.

ტეხნიკის მიღწევები საბჭოთა კავშირში — ლექცია რუსულ ენაზე (7—7—20).

ახალი მცენარეულობის მოშენება. სელექცია, გიბრიდიზაცია და აკლიმატიზაცია—ლექცია რუსულ ენაზე (7—20—7—40).

განმარტება დებულებისა სასოფლო - სამეურნეო გადასახადის შესახებ — ქართულ და სომხურ ენებზე (7—40—8).

ცოცხალ არსებათა ბრძოლა არსებობისათვის—ქართულ ენაზე (8—8—20).

ამიერკავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია რუსულ და ქართულ ენებზე (8—20—8—40).

კონცერტი ანდა ტრანსლიაცია (8—40—11).

ფეხბურთი

„დინამო“ — „სახელ. უნივერსიტეტი“

ხუთშაბათს „დინამო“-ს სტადიონზე გაიმართა დინამოს და სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდის კალენდარული შეჯიბრი.

დინამოსთვის სახ. უნივ. გუნდი მეტად სუსტი მოწინააღმდეგე გამოდგა. დინამომ ადვილად მოიგო შეჯიბრი ანგარიშით 8:1.

მორიგი კალენდარული შეჯიბრებები

დღეს, შაბათს, საღამოს 6 საათზე, დინამოს სტადიონზე თამაშობენ წ. ა. ფ. ს. (წითელი არმიის და ფლოტის სახლის გუნდი) და ავტოკლუბი. მსაჯი იქნება ამხ. **ბლანკმანი.**

კვირას გაიმართება პირველი კატეგორიის გუნდების ორი კალენდარული შეჯიბრი.

საღამოს 6 საათზე „დინამოს“ სტადიონზე თამაშობენ „დინამო“ და საგზაო - სატრანსპორტო სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს გუნდი. ეს მატჩი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, რადგან საგზაო - სატრანსპორტო სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს გუნდი ერთად ერთი გუნდია ამჟამად თბილისში, რომელსაც შეუძლია სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიოს „დინამოს“.

მსაჯი იქნება ამხ. **მდივანი.**

იმავე დროს (საღამოს 6 საათზე ლენინის სახელობის სტადიონზე თამაშობენ „არსრაიონი“ და საბჭოთა მუშაკები. მსაჯი ამხ. **კრავჩენკო.**

მონადირეთა კავშირში

ამიერ-კავკასიის მონადირეთა თათბირის შედეგები

ამ დღეებში დასრულდა ა-კ. რესპუბლიკის მონადირეთა კავშირის წარმომადგენელთა თათბირი.

თათბირის მთავარი ყურადღება მიქცეული იყო სასარგებლო ფრინველების და გარეული ცხოველების დაცვის საკითხზე. თათბირმა გამოიტანა მთელი რიგი დადგენილებები დღის წესრიგში დასმულ საკითხების გამო.

გარდა ამისა თათბირზე შემუშავებულ იქნა ნადირობის ერთიანი ვადები მთელი ამიერ-კავკასიისათვის. თათბირის დადგენილებით ამიერიდან ყველა რესპუბლიკებში შემოღებულია მოკლულ ფრინველთა და ნადირთა სავალდებულო აღრიცხვა.

დასასრულ თათბირმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა გზათა სახ. კომისარიატის წინაშე, რომ მონადირეთა კავშირის წევრებს სანადიროთ რკინის გზით მგზავრობის დროს მიეცეთ 50 პროცენტის შეღავათი.

აბრეშუმის პარკი

აბრეშუმის დამზადების სეზონი ახლოვდება. გურიაში ბევრგან აბრეშუმის ჭიებმა უკვე გაიარეს თავისი ვანვითარების მესამე საფეხური.—სამჯერ გამოიცვალეს კანი. კარგი ამინდი ხელს უწყობს აბრეშუმის ჭიის კვებას და ნორმალურ ზრდას.

გურიაში დამთავრდა აგრეთვე წინასწარი სამზადისი აბრეშუმის პარკის დასამზადებელ სეზონისათვის. ოზურგეთში უკვე დასრულებულია პარკის ორი სახმობი ფარდულის აგება და მოწყობა. მზად არის აგრეთვე პარკის გამსაღრობი. დამთავრებულია საგრენაჟო განყოფილების მოწყობაც. ყველა განყოფილებები მოწყობილია და აგებული იმ ანგარიშით, რომ შესძლონ გურიაში მოსული პარკის სრულად დამუშავება.

გორის საკონსერვო ქარხანა

საკავშ. ს.მ.უ.ს. სასოფლო-სამეურნეო მთავარ მრეწველობის კომიტეტისაგან მიღებულია ცნობა, რომ საკონსერვო მრეწველობის მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებულია 664.000 მანეთის დახარჯვა გორის საკონსერვო ქარხნის ასაგებათ.

ამასთანავე საკავშირო ს. მ. უ. ს. გადაწყვეტილებით სასწრაფოდ უნდა იქნეს დაწყებული ქარხნის ასაგებათ საჭირო წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები.

გორის მაზრაშივე წელს დაწყებული იქნება მუშაობა ხილის სახმობი ქარხნების ასაგებათ. საკავშირო ს.მ.უ.ს. საჭიროდ მიაჩნია რომ აგებულ იქნეს ორი ქარხანა.

ხილის სახმობი ქარხნებისათვის ადგილებას ასარჩევათ გორის მაზრაში გაემგზავრა საქ. ს.მ.უ.ს. სპეციალური კომისია, რომელიც აირჩევს ქარხნების ასაგებ ადგილების გეგმას სოფ. მინდიაში და სოფ. მეჯვრისხევში.

ოფიციალური განყოფილება

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

სოფლის სამკურნალო დახმარებით უზრუნველყოფისა და სასოფლო - სამედიცინო პერსონალის ნივთიერი მდგომარეობისა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. უზრუნველყოფილ იქნეს სასოფლო კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი უფასო ბინით, გათბობით და განათებით, სატრანსპორტო საშუალებით სოფლებში მიმოსვლისათვის. აგრეთვე სპეცტანისამოსით, შრომის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული ნორმის მიხედვით, ამის გამო წინადადება მიეცეს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს შეიტანონ თავიანთ საგასავლო ბიუჯეტში სათანადო თანხები.

2. აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა შეიტანონ ადგილობრივ ბიუჯეტში ხარჯი მუშაობისათვის სოფლად მიწვეული კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის დასაკმაყოფილებლად საწარმოებლო. საგზაო და დღიური ფულით, შრომის კანონთა კოდექსით გათვალისწინებული რაოდენობით, აგრეთვე სამკურნალო პუნქტების სამედიცინო ლიტერატურით უზრუნველყოფისათვის.

3. დაწესებულ იქნეს სოფლის ექიმებისათვის სამი პერიოდული მიმატება ჯამაგირისა (ძირითადი ჯამაგირის 20 პროც.-ს რაოდენობით) თვითეული სამის წლის საუბნო მუშაობისათვის; სოფლად მუშაობის ვადა დაიწყება ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან.

4. იმ ექიმს, რომელიც, ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან იმუშავებს სოფლად არა ნაკლებ 5 წლისა, მიეცემა სამეცნიერო წარგზავნა 3 თვეზე არა ნაკლები ვადით ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ხარჯით — საწარმოებლო განმაჯღენლის გარდა, ექიმს დაეტოვება სრულად მისი ხვედრი ჯამაგირი და ყველა კომუნალური მომსახურეობა.

6. მუშაობისათვის სოფლად წასულ კვალიფიციური სამედიცინო დარგში მომუშავის ოჯახს დაეტოვება მის მიერ დაჭერილი საცხოვრებელი ბინა, უკეთუ ოჯახი წინანდელ საცხოვრებელ ადგილზე დარჩება.

7. გადიდებულ იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტით სტიპენდიების რიცხვი და აგრეთვე სტიპენდიების რაოდენობა იმ ექიმთათვის, რომელნიც სტაჟს გადიან, და შემდეგ, სტაჟგავლილი სტიპენდიანტები გამოყენებულ იქნენ უმთავრესად სოფლად მუშაობისათვის.

8. უნდა შეიქნეს ადგილობრივი ბიუჯეტის სახსარით სტაჟს გამვლელი სტიპენდიანტების კადრი იმ პირობით, რომ სტაჟდამთავრებულები გამოყენებულ იქნენ სოფლად.

9. სამედიცინო დარგში მომუშავეთა შვილებს, რომელ მომუშავეთაც სოფლად საბჭოთა ხელისუფლების დროს უმუშავნიათ არა ნაკლებ სამის წლისა, მიენიჭოს შეღავათიანი პირობები უმაღლეს სასწავლებლებში, ტეხნიკუმებში და 1-ლი და მე-2 საფეხურის სკოლებში შესვლისათვის, თანაც მათი სწავლება უნდა სწარმოებდეს უსასყიდლოთ და, შეძლებისდაგვარად, ეს მოსწავლენი უზრუნველყოფილ უნდა იქნენ სტიპენდიით.

შენიშვნა: ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა, განათლების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, უნდა გამოსცეს ინსტრუქცია ამა მუხლის შეფარდებისათვის.

10. დაევალოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს, საქართველოს ს. ს. რ. იუსტიციისა და შრომის სახალხო კომისარიატებთან ერთად, გამოსცეს ინსტრუქცია სასოფლო - სამედიცინო პერსონალის უფლება - მოვალეობის შესახებ.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭ. თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს ს ს რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1927 წ. ივნისის „15“
თბილისი - სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

შაბათს, 18 ივნისს, დილის 9 საათზე ს. კ. პ. (ბ) ცეკას აგიტპროპში მოწვეულია თათბირი გასამხედროების შესახებ, რომელზედაც დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის: კ. მახარაძე, ბუდილიევი, (თბ. კომ.) არუთინოვი, გოგელაძე; კიკნაძე; ცქვიტინიძე, (ახ. ლ. კ. კ. (ა. კ.) ჯაფარიძე, ჩერქეზიშვილი, (ც. კ. ქ. განყ.) აბაშიძე, ბზეკალავა, ეგიკოვი (საქ. ავიოქიმი), ზუბჩენკო; სნეგირევი (ჯარიდან) შუშანია, (პ. განყ. მთ. მმართ.) მეძმარიაშვილი (გან. სახ. კომ.), სულაქველიძე (სახ. უნივერსიტეტი.)

დღეს, 18 ივნისს, საღამოს 6 საათზე შესდგება სახ. უნივ. პედაგოგიური ფაკ. კომუჯრედის წევრთა კრება (ქიმიურ აუდიტორიაში) პარტიის ყველა წევრებს და კანდიდატებს ევალებათ გამოცხადდენ კრებაზე დაუგვიანებლივ.

დღეს, 18 ივნისს, საღამოს სრულ 5 საათზე, მოწვეულია სახ. უნივ. პედ. ფაკ. ა. ლ. კ. კ უჯრედის წევრთა მორიგი კრება. დასწრება სავალდებულოა ყველა წევრ-კანდიდატთათვის.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი სთხოვს ამხ. საფაროვს გამოცხადდეს შაბათს 18 ივნისს თბილისის კომიტეტის საიდუმლო განყოფილებაში.

შაბათს, 18 ივნისს საღამოს 6 საათზე აგიტპროპმუშაკის კაბინეთში (რუსთაველის თეატრი მესამე სართული, შესავალი ეზოდან) მოწვეულია საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიონის პოლიტსკოლების მსმენელთა კონფერენცია.

სავალდებულოა ყველას დასწრება.

ქალაქის და სოფლის კავშირის საზოგადოების თბილისის საბჭოთს პლენუმი სარევიზიო კომისიასთან ერთად შესდგება შაბათს 18 ივნისს საღამოს 6 საათზე საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საიგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებაში.

სავალდებულოა თბილისის საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრთა და კანდიდატთა დასწრება.

საქართველოს ლენინურ კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომი კვირას, 19 ივნისს მართავს მუშა-ახალგაზრდობის მასიურ ექსკურსიას კოჯორში ღამის გათევით. ექსკურსიის მონაწილენი შაბათს 18 ივნისს საღამოს 7 საათზე უნდა შეიკრიბონ ყოფ. სარაიონო კლუბის შენობაში (ანდრეევის და მილიუტინის ქ. კუთხე). კოჯორში ექსკურსია დაათვალიერებს ქორ ოღლის ციხის ნანგრევებს და კობის მონასტერს სპეციალისტების ხელმძღ და სხვ.

თავზარდაცემულნი: მეუღლე ევგენია კონსტანტინეს ასული და შვილი რევაზი გრიგოლის ძე ბიბილეიშვილი, დედა მართა, ძმები: ილია, ტარასი, პავლე თედორეს ძე, და შუშანიკა, რძალი ოლღა ბესარიონის ასული, სიმამრი და სიდედრი კონსტანტინე და ეპრაქსი, ცოლის დები: თამარა და ნინა ავალიანები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ექიმი **გრიგოლ თედორეს ძე**
ბიბილეიშვილი

გამოსვენება მოხდება ხონიდან სოფელ ვანში. დაკრძალვა 19 ივნისს დღით (დეპ)

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ახიჩქა (ანა) ვლადიმერის ასული, მამინაცვალი მიხეილ გრიგოლის-ძე დუნდუა, დაი ანგელინა, ბიძა სამსონი, ბიცოლები: ეკა, ნატალია, ნინო და გაიანე დოლიძეები მაქიდა ესმა, ბიძია გიორგი ქლენტიბი, დეიდა ფატი, ქმარი გრიგოლ ბჟინავა შვილებით ზინა და ბუღდანით, ბიცოლა კატო შვილებით მიშა და ლიდა ნიკოილაშვილები, ბიძაშვილები: დათიკო, ანდრია, დარეჯანი დაჩილია მეუღლე კატოთი და შვილებით: ოთარი და ერმილე დოლიძეები, სიძე გიორგი ტოტაძე მეუღლით იულიათი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანგძლივი ავადმყოფობის შემდეგ (ქალაქის 1-ლ საავადმყოფოში) ა. წ. 15 ივნისს გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი

ვანო (ივანე) ასლანის-ძე დოლიძე

რომელიც დასვენებულია წმინდა ნინოს ეკლესიაში, დღეს, 18 ივნისს (შაბათს), ნაშუადღევის სამ საათზე, მოხდება პანაშვიდის გადახდა და დაკრძალვა იქვე. 3078

დამწუხრებულნი მშობლები, დები და ძმა აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ დაუვიწყარი

ქიქო თედორეს ასული
ძაგანიძისათვის

დაკრძალვა მოხდება სოფ. ბანძაში კვირას, 19 ივნისს, დღის 4 საათ.
ნ. 1—1

ღრმად დამწუხრებული მშობლები—დედა ეკატერინე, მამა მინა არტემის-ძე, ძმა გოგია, დაი ნადია, დიდედა მარიამი, ბიძა ევსევი, მეუღლე საშიკო შვილებით—ქართლოსი, წუწა და ბიძა იოლა არტემის-ძე მაისურაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათი დაუვიწყარი, უდროოთ დაკარგული

ვერა (ცაცა) მაისურაძის

ორმოცი დღის სამოქალაქო პანაშვიდი შესდგება დღეს, 18 ივნისს, სოფ. ბაჯში (რაჭის მაზრა). (ე)

განუზომელ მწუხარებაში მყოფნი იოსებ იმედაშვილი და მისი შვილები: შალვა, გაიოზ, თამარ. ქეთევან, ნინო და ფარნაოზი პატივისცემით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ, ნაცნობთ და საზოგადოებას, რომ პირველის დაუვიწყარ მეუღლის, ხოლო დანარჩენთა უსაყვარლეს დედის, სახალხო თეატრის ერთი პირველ მუშაკთაგანის

ანნა ნიკოლოზ ქურულის ასულ
იმედაშვილის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების გამო პანაშვიდი გადახდილი იქნება კვირას, ივნისის 19-ს, წმ. ნინოს სასაფლაოზე, შუადღის თორმეტ (12) საათზე. 2—1 ნ. 1343

გულმოკლული დედა ელენე ნიკოლოზის ასული, ძმა ალექსანდრე იაგორის-ძე თაყაიშვილი თავის შვილით ჟორათი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ კვირას 19 ივნისს, 1 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი მათი დაუვიწყარ

ნადეჟდა იაგორის ასული
თაყაიშვილის

1—1 3067

თავზარდაცემული და სამუდამოთ გულმოკლული მეუღლე ტერეზი—შვილებით. ლიოვა, ბაჭულა, ძმა ვიქტორი, რძალი მარუსია, ძმისშვილი მიტუშა, დედ-მამა სტეფანე და მართა, ამხანაგი ნესტორ რუხაძე, ცოლის ძმა გაიოზ ლოსაბერიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ 16 ივნისს ტრაღიკულად დაგვეკარგა

მელიტონ სტეფანეს-ძე
ცქიფურიშვილი

გამოსვენება იქნება კვირას 19 ივნისს, ნაშუადღევის 3 საათზე თავის ბინიდან (გორის ქუჩა № 14). დაკრძალვა დიდუბის ეკლესიის ეზოში. 1—1 3072

თავზარდაცემულნი და დამწუხრებულნი მშობლები—დედა ეკატერინე, მარად გულმოკლულნი დები, ელენე, ნინა და ანა, ძმა ვასილი ოჯახობით—მარიამი, დის შვილები ბორია და ვალია ხოზბერიძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, მათთვის მარად დაუვიწყარი

ლადო გაბრიელის-ძე
ხოზბერიძეს

უდროოთ გარდაცვალებას ქ. ხაშურში 16 ივნისს. დაკრძალვა მოხდება კვირას, 19 ივნისს, ნაშუადღევის 2 საათზე. 1—1 3068

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე სამსონ, შვილები—მარიამ და გრიგოლ ჭეიშვილები, მშობლები კრისტინე და ლევანი, ძმა მ. მაღლაკელიძე და მეუღლე მისი ოლღა ხეჩიხოვის ასული, სიძეები: კ. დარასელია, ს. ბერეჟეცი, ნ. ეზერსკი, ტ. დოლიძე, დები—საშა, აგრაფენა, ნინა მაღლაკელიძეს ასულნი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

ეკატერინე (კატო) ლევანის ასული
ჭეიშვილისა

გარდაცვალებიდან მეორმოცე დღის აღსანიშნავად 19 ივნისს, ქუთაისში ძელქვას სასაფლაოზე, დღის თორმეტ საათზე გადახდილი იქნება პანაშვიდი. 3071

ТРИ ЦЕННЫХ ПРИЛОЖЕНИЯ
своим подписчикам ВО ВТОРОМ ПОЛУГОДИИ 1927 г.
дает самый распространенный ОГОНЕК еженедельный иллюстрирован. журнал

I. „ОГОНЕК“ с 1 июля до конца года с одним приложением: „АЛЬБОМ СОВЕТСКОГО ЮМОРА и САТИРЫ“ (лучшие художники и карикатуристы) — издание большого формата, на отличной бумаге, в художественной папке . . . . 3 руб.

II. „ОГОНЕК“ с 1 июля до конца года с двумя приложениями: 1) Богато иллюстрированный том, посвященный 10-тилетию Октябрьской Революции „ДЕСЯТЬ ЛЕТ СОВЕТСКОГО СТРОИТЕЛЬСТВА“ (промышленность, сельское хозяйство, наука, литература, искусство) в прочн. перепл. и 2) „АЛЬБОМ СОВЕТСКОГО ЮМОРА и САТИРЫ“ . . 4 р. 50 к.

III. „ОГОНЕК“ с 1 июля до конца года с тремя приложениями: 1) 52 книжки БИБЛИОТЕКИ „ОГОНЕК“ (произведения лучших русских и иностранных писателей), 2) „ДЕСЯТЬ ЛЕТ СОВЕТСКОГО СТРОИТЕЛЬСТВА“ и 3) „АЛЬБОМ СОВЕТСКОГО ЮМОРА и САТИРЫ“ . . . . 9 р. 50 к.

Переводы адресовать: МОСКВА 9, Тверской бульвар 26. Акц. Издат. О-ву „ОГОНЕК“
Подписка принимается также во всех почтовых учреждениях СССР.

б. 20 314—1

ЖЕНЩИНЫ, ХОЗЯЙКИ!
МАТЕРИ, КУСТАРКИ!
СПЕШИТЕ ПОДПИСАТЬСЯ
на ВТОРОЕ ПОЛУГОДИЕ 1927 года
на ежемесячный домашне - хозяйственный богато-иллюстрированный и модный
„ЖЕНСКИЙ ЖУРНАЛ“
К каждому номеру прилагаются выкройки и контурные листы.
УСЛОВИЯ ПОДПИСКИ:
„ЖЕНСКИЙ ЖУРНАЛ“ на 6 мес.—5 р. 50 к., на 3 мес.—3 руб.
„ЖЕНСКИЙ ЖУРНАЛ“ с приложением „КУЛИНАРНОЙ КНИГИ“ на 6 мес.—6 р. 30 к., на 3 мес.—3 р. 80 к.
Полугодовые подписчики получат, кроме того, БЕСПЛАТНУЮ ПРЕМИЮ: 10 книжек „БИБЛИОТЕКИ ОГОНЕК“.
Переводы адресовать: МОСКВА 9, Тверской бульвар 26.
АКЦ. ИЗДАТ. О-ВУ „ОГОНЕК“.
Подписка принимается также во всех почтовых учреждениях СССР.

13206. 4—1

მედსანშრომის საზაფხულო კლუბი
(ყოფ. ბაღი „სტელა“, სოლოლაკის 13)
3077 1—1

შაბათს, 18 ივნისს და კვირას, 19 ივნისს
შესდგება საქ. ს.ს.რ. პირველ შრომის კოლექტივის
ორი მორიგი სიმფონიური კონცერტი
კოლექტივში შედის ოპერის ორკესტრის 50 მსახიობი მოსკოვის თეატრების დირიჟორის ანატოლ კარდაშევის ხელმძღვანელობით.
დაწვრილებითი პროგრამა აფიშებში. ცუდი ამინდის შემთხვევაში კონცერტი არ გადაიდება. დასაწყისი საღამოს 9 საათ.

ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
დარბაზი
(ბაღში, პლეხანოვ. № 91)
აპოლლო
(არტოს ბაღში).
0—15 ნ. 1289

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს
„მისი უდიდებულესობის სოლისტკა“
(ყოფ. იმპერატ. თეატრების, ბალეტის სკოლების, კულისების და სცენის ცხოვრება).
ამ მოკლე ხანში ნაჩვენები იქნება: ეთერში—„ბანდიტი ქალი“ მილტონ სილსის მონაწილეობით, დარბაზში—„გრაფი კალიოსტრო“ კონრად ვეიდტის მონაწილეობით.

გარი ლიდკე, ჟენი პორტენ და ვერილო კრაუზ სეზონის ახალ სურათში
„ვენეციელი ვაჭარი“

ანონსი: მალე უკრაინის ფოტო-კინოს სამმართველოს უდიდესი ნაწარმოები „ჰ ა მ ბ უ რ გ ი“.

მიიღება ხელისმოწერა 1927 წლისათვის
ყოველთვიურ
სამკურნალო სამეცნიერო ჟურნალ
„თანამედროვე მედიცინა“-ზე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეგიუმის გამოცემა.
ჟურნალში შემდეგი განყოფილებებია:
თეორიული მედიცინა, კლინიკური მედიცინა, პრაქტიკული მედიცინა, საზოგადოებრივი მედიცინა, მიმოხილვები, ბიბლიოგრაფია, რეფერატები და სხვ.
თვითეულ ორიგინალურ შრომას დართული აქვს ავტორეფერატები რუსულ და ფრანგულ ენებზე.
ჟურნალის ფასი: 1 წლით . . 10 მან. ½ წლით . . 5 მან. ცალკე ნომერი 1 მან.
რედაქციის მისამართი: პლეხანოვის გამზირი № 58, ცენტრ. კლინიკ. ინსტიტუტი—ნერვ. სნეულებ. კლინიკა.
3062 25—1

ქ. თბილისის მე-4 რაიონ. სასამართ. აღმასრულებელი ს. გავსლოვიჩი

ამით აცხადებს, რომ ის 21 ივნისს 1927 წ. დღის 10 საათზე სახლში № 9 ნეკრასოვის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის დავით გრიგორის-ძე მაშულოვის მოძრავ ქონებას: ბუფეტის შკაფი, 2 ხალიჩა, კედლის სარკე, სასადილო მაგიდა, გარდერობის შკაფი და სხვა შეფასებულს 375 მანეთად, კამსარ ტერ-გალუსტიანის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-4 უბან. სახალხო სასამართლოსაგან 28 მაისის 1927 წ. თარიღით, № 5931 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 3070 1—1

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი ი. ი. გერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ „ჩოდრიშვილის“ შესახვევი, (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8.

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
საშარდე, სასქესო, ვენერ., სიფილისი, კანის და ქირურგ. ავადმყ.
(სიმსივნე, ბუასილი, სქესობრ. უძლურება, სიფილისი და ტრიპერი და მათი შედეგები) სპეციალისტი.
ელექტრო მკურნალობა და ოპერაცია. ავადმყოფების მიღება დილის 7 ს-დან 11 ს.-მდე, საღამოს 5—7 ს.-მდე. ქალების მიღება დილის 11 ს-დან 1 ს. პლეხანოვის პრ. № 10, მარქსის მოედანის ახლო, (ყოფ. ვორონცოვის) 13—1

სია

იმ პირთა და ორგანიზაციათა, რომელნიც გატარებულნი არიან რეგისტრაციაში ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოში. (გაგრძელება № 8).

№№ რიგ.	რეგისტრაციის დრო	საწარმოოს მეპატრონე	მისამართი	საწარმოოს საგანი	ძირითადი კაპიტალი	სარეწ. ან მოწმობის ხარისხი
199	14 ივნისი 27 წ.	ა.-კავკ. რკინის გზის მომხმარებელი საზ-ბა „ზაკტპო“.	ბორჯომი	მაღაზ. № 11	საკუთ. თანხა არ აქვს	მე-4-ე
200	„	„ „	ქიათური	„ № 15	„	„
201	„	„ „	სამტრედია	„ № 20	„	„
202	„	„ „	თბილისი პლეხანოვის გამზირი № 114	კაფე	„	„
203	„	„ „	თბილისი ვაგზლის ქ. № 13	წითელი სასადილო № 2	„	მე-5-ე
204	„	„ „	თბილისი საბჭოს ქ. № 100	წითელი სასადილო № 1	„	მე-4-ე
205	„	„ „	„ „	ცენტრ. პურის საცხობი	„	მე-6-ე
206	„	„ „	„ „	გასტრონ. და საბაკ სავაჭრო	„	მე-4-ე
207	„	„ „	თბილისი ვაგზლის ქ. № 3	„	„	„
208	„	„ „	თბილისი სანაოს ქ. № 35.	„	„	„
209	„	„ „	თბილისი კლარა ცეტკინის და გორის ქ. კუთხე	„	„	„
210	„	„ „	თბილისი კუთხე, იურიევის ქ. და იურიევის შეს.	„	„	„
211	„	„ „	თბილისი კახეთის ქ. №	„	„	„
212	„	„ „	თბილისი ანიევის და ვრონზის ქ. კუთხე	„	„	„
213	„	„ „	თბილისი საბჭოს ქ.	„	„	„
214	„	„ „	თბილისი პლეხანოვის გამზ. № 112	„	„	„
215	„	„ „	თბილისი კუთხე პლეხ. გამზ. და ჟორესის ქუჩ.	„	„	მე-5-ე
216	„	„ „	თბილისი ორჯონიკიძის ქ. № 114	„	„	მე-4-ე
217	„	„ „	თბილისი საბჭოს ქ. № 143	„	„	მე-5-ე
218	„	„ „	თბილისი ვაგზლის ქ. № 3	„	„	მე—ე

ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს საქმეთა მმართველი **შ. მჭედლიშვილი.**

ნ. 1341. სავა ჭრო რეგისტრაციის განყოფილების გამგე **ქ. ორჯონიკიძე**

ზაჰესის
დროებით ექსპლოატაციის სამართვ. აცხადებს
საჯარო ვაჭრობას.

ყველა სახის საამშენებლო სამუშაოებზე 4 ერთ სართულიან აგურის საცხოვრებელ სახლის ასაგებათ ზაჰესის (ზემო-ავჭალის) ცენტრალურ სადგურის რაიონში. თვითეული ერთსართულიანი სახლის კუბატურა იქნება 1200 კუბ. მეტრი.

იმ პირთ, რომელთაც სურთ აღნიშნულ სამუშაოს აღება, ამის შესახებ დაბეჭდილ კონვერტებში შემოაქვთ განცხადებები წარწერით: „ზაჰესის დროებით ექსპლოატაციის სამმართველოს 1927 წლის 28 ივნისის კონკურენციისათვის“, რომელ რიცხვშიაც მოხდება კონვერტების გახსნა.

განცხადებები შემოტანილ უნდა იქნეს არა უგვიანეს 27 ივნისის შუადღის 12 საათისა დაწესებულ ბლანკებზე სათანადო მარკებით, ცალკე და საერთო ფასების აღნიშვნით.

განცხადებებს დართული უნდა ექნეს ქვითარი ბეს შეტანის შესახებ განცხადებულ თანხის 5 პროცენტის რაოდენობით. ბეს შეტანისაგან განთავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ორგანოები და რეგისტრაციაში გატარებული მუშათა არტელები.

კონდიციების და ნახაზების მიღება საჯარო ვაჭრობისათვის შეიძლება ზაჰესის სამმართველოში (პუშკინის ქ. № 4) ყოველდღე დღის 10—12 საათამდე.

1—1 ნ. 1344

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 21 ივნისს 1927 წლ. დღის 2 საათზე სახლში № 10 ნახიჩევანის შესახ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ბაბალაძე და ზავაცკის მოძრავ ქონებას: შუშის ქარხანა მთელი მოწყობილობით, შეფასებულს 3165 მანეთად ქიმიკოსთა კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 4 მაისს 1927 წლ. თარიღით, № 2009 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეძლეულ ფასიდან. 1—1 ნ. 1324

სათვალეების მორგება
უფასოდ



ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 13—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა, №3. 25—1

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი არმენაკ წალიკიანცის სახელზე, ჩ. გ. 3069

დავკარგე საქ. კ. პ. (ბ) საწევრო წიგნაკი № 0863260 იოსებ ქებაძის სახელზე, ჩ. გ. 3066

დავკარგე აბგესის ადგილკომიდან გაცემული კავშირის წიგნაკი № 7620 აქსენტი წოწორიას სახელზე, ჩ. გ. 3073

დავკარგე ცხენის წიგნაკი № 180, ასან ასან-ოღლის სახელზე, ჩ. გ. 3074

დავკარგე მოწყალების დის კურსების გათავების და ცენზის მოწმობა ჩალაკაევა-მესხიძეს სახელზე, ჩ. გ. 3076

დავკარგე კავშირის საწევრო წიგნაკი №319, ალექსი ტყეშელაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3075

ამიერკომის სტამბა, კამოს ქ. 68.